სარიშვილი სააკაშვილს აფრთხილებს A2

როგორ შევქმნათ უკეთესი საინვესტიციო გარემო? A4

სარედაქციო ფოსტა B6

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ხუთშაბათი, 4 დეკემბერი, 2003 წელი. №314 (526)

ფასი 50 თეთრი

## პოლიტიკა

### არჩევნების გადაწევა გაზრდის დესტაბილიზაციის საფრთხეს

"ყოველი დღე საპრეზიდენტო არჩევნების გადაწევისა, ზრდის ქვეყანაში არასტაბილურობის საფრთხეს. ჩვენ კონსტიტუციურ ჩარჩოებს არ უნდა გავცდეთ და არჩევნები 4 იანვარს უნდა შედგეს," – აცხადებს სააკაშვილი.

A3

## ეკონომიკა

### სემეკ-მა ქუთაისს ერთიანი ენერგოსისტემიდან გამოყოფაზე უარი უთხრა

ელექტროენერგიის ძველი ტარიფის შენარჩუნების ხარჯზე ხალხის თვალში ქულების ჩაწერას ერთმანეთის მიყოლებით ცდილობენ როგორც პოლიტიკური ძალების, ისე სხვადასხვა სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლები.

A4

## უცხოეთი

### ბერლუსკონი პოზიციებს ახალი კანონით იმაგრებს

იტალიის საკანონმდებლო ორგანომ მასობრივი საინფორმაციო საშუალებების შესახებ ახალი კანონპროექტი მიიღო. დამკვირვებელთა და ექსპერტთა შეფასებებით კანონი მრავალ წინააღმდეგობას შეიცავს, რაც, საბოლოო ჯამში, იტალიაში სიტყვის თავისუფლებას და პლურალიზმს საგრძნობლად ზღუდავს.

A5

## საზოგადოება

### „არ ვიცით, როგორ მოგვექცევა ახალი ხელისუფლება"

"ჩვენ არ ვივიწყებთ ჩვენს თანამებრძოლებს, თორემ ჩვენს ხელისუფლებას არასდროს ვახსოვართ. აქამდე ასე იყო და ახალი ხელისუფლება როგორ მოგვექცევა არ ვიცით, "– განაცხადეს ვეტერანებმა.

A6

## სამართალი

### შეტევა ნარკოტიკებისა და ნარკომანი პოლიციელების წინააღმდეგ

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი უკან არ იხევს კანონის დარღვევის წინაშე და შინაგან საქმეთა სამინისტროს ეზოში დიდ კოცონს აგიზგიზებს. "თუ ამისთვის ვინმე მომხსნის, ან სამართლებრივ პასუხისმგებლობას დამაკისრებს, მზად ვარ, სასჯელი მოვიხადო", - აცხადებს გიორგი ბარამიძე.

A7

## ამინდი

| | |
|---|---|
| თბილისი | 11 |
| ქუთაისი | 16 |
| ბათუმი | 16 |
| სოხუმი | 14 |
| ფოთი | 16 |
| თელავი | 9 |
| ზუგდიდი | 16 |
| გორი | 8 |
| ახმეტა | 9 |
| ჭიათურა | 11 |
| გაგრა | 12 |
| სამტრედია | 16 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1800 |
| ევრო | 2.6341 |
| გირვანქა სტერლ. | 3.7668 |
| რუბლი | 0.0734 |

# ამერიკელები საქართველოს ლუპით შეისწავლიან

ლელა მჭედლიძე

*საქართველოს ახალ ხელისუფლებას ამერიკიდან ძველი ნაცნობები ესტუმრნენ. 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებიდან სულ რამდენიმე დღეში საქართველოს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მოადგილე ლინ პასკო ეწვია. პასკო, რომელიც, ამავე დროს, ევრაზიის საკითხთა ბიუროს ხელმძღვანელიც არის, წინა სტუმრობის დროს მთავრობასა და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებს არჩევნების შემდგომი მდგომარეობის გასაცნობად ხვდებოდა. ახლა პასკო რევოლუციის შემდგომ და საპრეზიდენტო არჩევნების წინა მდგომარეობის გასაცნობად ეწვია საქართველოს.*

გაგრძელება A3 გვერდზე



ამერიკული "დესანტი" საქართველოს ყველა მიმართულებით შეისწავლის.

# ტერორისტული აქტი სახელმწიფო ტელევიზიასთან

### გამარჯვებულ საზოგადოებაში პანიკის დათესვა გრძელდება

გუშინ, როდესაც პრეზიდენტობის მოვალეობის შემსრულებელი ნინო ბურჯანაძე კომენტარს უკეთებდა ბორის ბერეზოვსკის თბილისში ვიზიტს, "ღამის კურიერის" ეთერიდან მძლავრი აფეთქების ხმა გაისმა. როგორც მოგვიანებით გაირკვა, აფეთქება "ღამის კურიერის" საეთერო სტუდიიდან ორმოციოდე მეტრის მოშორებით, სახელმწიფო ტელევიზიის შენობასთან მოხდა. სავარაუდოდ, ასაფეთქებელი ნივთიერება ტელევიზიის კედელს მიდგმულ კომერციულ ჯიხურში, ან მის გვერდით, იმ ნიშაში იყო ჩადებული, სადაც წყალსადენი მილები გადის. ტელევიზიის თანამშრომელთა თქმით, ეს ჯიხური ზაფხულობით მუშაობს, წლის დანარჩენ დროს კი დაკეტილია. აფეთქების შედეგად ჩაიმსხვრა ჯიხურის თავზე განლაგებული ფანჯრების მინები და გასკდა წყალსადენი მილი.

შემთხვევის ადგილზე უმალ გაჩნდნენ ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლები და ხელმძღვანელები, თუმცა, ცხადია, გუშინ ღამით მომხდარს ვერავინ აძლევდა ზუსტ შეფასებას. ძალოვანები ტელევიზიასთან მომხდარ აფეთქებას ვერც წინა დღეებში მომხდარ თავდასხმასთან აკავშირებდნენ. როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს, ასევე გენერალური პროკურატურის პირველი პირები და უშიშროების სამინისტროს წარმომადგენლები მინიშნებას აკეთებდნენ იმ დესტრუქციულ ძალებზე, რომლებსაც



შემთხვევის ადგილზე მისული სამართალდამცველები მომხდარს ზუსტ შეფასებას ვერ აძლევდნენ.

ტერორისტული აქტების მოხდენით ქვეყანაში სრული ქაოსის გამოწვევა სურთ და რომელთა თაობაზეც სამართალდამცავ ორგანოებს კონკრეტული ოპერატიული ინფორმაცია მოეპოვებათ. მეტიც, უშიშროების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის ცენტრის უფროსის, ნიკა ლალიაშვილის განცხადებით, უკვე დღეს ამ ოპერატიული ინფორმაციის ირგვლივ ზოგიერთი რამ შეიძლება დაკონკრეტდეს.

რაც შეეხება ტელევიზიასთან მომხდარ აფეთქებას, რომელსაც, ერთ-ერთი მაღალჩინოსანი პოლიციელის თქმით, ხმაური უფრო მეტი მოჰყვა, ვიდრე ზიანი, სისხლის სამართლის საქმე ტერორისტული აქტის მუხლით აღიძვრება და გამოძიებას, სავარაუდოდ, უშიშროების სამინისტრო წარმართავს.

დაახლოებით ღამის პირველის ნახევარზე, სახელმწიფო ტელევიზიაში დარეკა მამაკაცმა, ხმის მიხედვით, ხანში შესულმა, და განაცხადა, რომ პირველ საათზე სახელმწიფო ტელევიზიის შენობა ჰაერში აიწეოდა. უშიშროების სამინისტრომ სასწრაფოდ დაიწყო შენობის შემოწმება, თუმცა პირველ არხზე გადაცემები არ შეწყვეტილა.

*24 საათი*

# რუსეთის დუმის არჩევნებში გამარჯვებული უკვე ცნობილია

*კვირას, 7 დეკემბერს რუსეთში სახელმწიფო დუმის ახალი შემადგენლობა უნდა აირჩიონ. თუმცა, არჩევნების შედეგები, ფაქტობრივად, წინასწარ არის ცნობილი. ახალ დუმაში მანდატების უმრავლესობას, სავარაუდოდ, პუტინის მომხრე გაერთიანება "ერთიანი რუსეთი" მოიპოვებს.*

დავით აფრასიძე

პოსტსაბჭოური არჩევნები ორი წვეთი წყალივით ჰგავს ერთმანეთს. ამ ქვეყნებში დემოკრატიული და ეფექტური პოლიტიკური სისტემა ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული. ძალიან დაბალია საარჩევნო ადმინისტრაციების დამოუკიდებლობის ხარისხი. არ არსებობს ძლიერი პოლიტიკური პარტიები და საერთოდ, პოლიტიკა მეტისმეტად პერსონიფიცირებულია. ამას თან ერთვის პოლიტიკურ კულტურაში ტრადიციული და ქარიზმატული ნიშნების სიმრავლე, რაც, ერთი მხრივ, მოსახლეობის მხრიდან სახელმწიფო ინსტიტუტებისადმი უნდობლობაში, ხოლო, მეორე მხრივ, ძლიერი ლიდერის მოთხოვნაში გამოიხატება. ამასთან, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები არის ის მინიმუმი, რითაც ნებისმიერი ქვეყნის დემოკრატიულობის ხარისხი იზომება. ამგვარი არჩევნების გარეშე წარმოუდგენელია დემოკრატიული სახელმწიფოს შენების ურთულესი პროცესის დაწყებაც კი.

გაგრძელება A5 გვერდზე




# დონალდ რამსფელდის ტურნესთან დაკავშირებული მოლოდინები

*ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო საქართველოში, ჯერჯერობით, არ ახმაურებს შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრის მოსალოდნელი ვიზიტის ზუსტ თარიღსა და პროგრამას. თუმცა, მიუხედავად ამისა, დონალდ რამსფელდის ჩამოსვლაზე აქტიურად საუბრობენ საქართველოს ახალი ხელისუფლების კულუარებში. ექსპერტთა ნაწილიც დარწმუნებულია, რომ პენტაგონის თავკაცის ვიზიტი სასარგებლოდ აისახება სამხრეთ კავკასიის რეგიონის უსაფრთხოებაზე. ასეთი ვარაუდების საფუძველს დონალდ რამსფელდის წინა ვიზიტის შედეგები იძლევა.*

კობა ლიკლიკაძე
„რადიო თავისუფლება", სპეციალურად "24 საათისთვის"

დეკემბრის პირველ დღეებში აზერბაიჯანსა და საქართველოში შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრს, დონალდ რამსფელდს ელოდებიან. ისევე, როგორც 2 წლის წინათ, პენტაგონის თავკაცის ტურნეს შესახებ ზუსტი ცნობები ოფიციალურ დონეზე წინასწარ არ ცხადდება. შესაძლოა, ამის მიზეზი იყოს ამერიკის თავდაცვის მინისტრის პირადი უსაფრთხოება – დონალდ რამსფელდი სამხრეთ კავკასიას, სავარაუდოდ, ტრადიციულად ავღანეთისა და ერაყის მონახულების შემდეგ სტუმრობს. ასეა თუ ისე, სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში დონალდ რამსფელდის ვიზიტს დიდი მოლოდინები უკავშირდება.

გაგრძელება A3 გვერდზე

# პარლამენტი ძველ სახეს იბრუნებს

### დეპუტატების ურთიერთშეურაცხყოფა და სხდომების გაცდენა "განახლდა"

გიორგი ასანიშვილი

ჯანსულ ჩარკვიანსა და სანდრო ბრეგაძეს შორის ჯერ კიდევ "რევოლუციამდელ ეპოქაში" დაწყებული დავა გრძელდება. მათი დაპირისპირების თემატიკაც უცვლელია: პოეტი-პარლამენტარი სანდრო ბრეგაძის მისამართით გამოთქმულ ძველ ბრალდებებს იმეორებს და შინაგან საქმეთა მინისტრს, გიორგი ბარამიძეს მოუწოდებს, **"ნარკომანებისა და დამნაშავეების დაკავება პარლამენტიდან დაიწყოს".**

ჯანსულ ჩარკვიანი, შეტევის პარალელურად, თავსაც იცავს. იგი უსაფუძვლოდ მიიჩნევს ახალგაზრდა კოლეგის მიერ უკვე მერამდენედ გაკეთებულ განცხადებას, თითქოს, 1992 წელს ის, ავტომატით ხელში, პარლამენტში მიუვარდა ზვიად გამსახურდიას და ამის გარდა, რეზო ამაშუკელთან ერთად, "18 წლის ყმაწვილი დაახვრეტინა".

გაგრძელება A2 გვერდზე

# ბერეზოვსკი საიდუმლო სერობისთვის თბილისში ჩამოდის

*საქართველოში შექმნილი ვითარების ფონზე, ცნობილი რუსი ოლიგარქის ბორის ბერეზოვსკის თბილისში გაელვებამ არაერთი ეჭვი აღძრა. თუმცა, რუსეთის ხელისუფლების მიერ ძებნილი ბიზნესმენის ვიზიტის მიზანი, ოფიციალური დოკუმენტაციის თანახმად, საქმიანი გახლდათ, თავად ბერეზოვსკიმ კი თბილისში რამდენიმესაათიან ჩამოსვლას მეტად გულისამაჩუყებელი სარჩული დაუდო – ძველი მეგობრის მონახულების სურვილი, საქართველოს სიყვარული და რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების პერსპექტივა.*

თამარ კაციტაძე

მსოფლიოს ერთ-ერთი უმდიდრესი და სკანდალური ბიზნესმენის საქართველოში გამოჩენამ საზოგადოება არასასიამოვნოდ გააკვირვა. ბუნებრივია, გაჩნდა კითხვა – რა იყო ბერეზოვსკის საქართველოს დედაქალაქში სტუმრობის მიზეზი. შესაძლებელია ამ კითხვაზე პასუხი ხელისუფლების უმაღლესი წარმომადგენლებისთვის ცნობილიც იყო, რაზეც მათი სიმშვიდეც მიანიშნებს, მაგრამ ფაქტია, რომ ჯერჯერობით, მთელი აქცენტი ცნობილი ოლიგარქის მიერ საქართველოს საზღვრის გადმოკვეთის კანონიერება-უკანონობაზე კეთდება.

გაგრძელება A7 გვერდზე

# ეუთო წინააღმდეგობას იწყებს

*მაასტრიხტში ეუთო-ს სამიტმა, რომელიც საქართველოს პირველ დიპლომატიურ გამარჯვებად შეფასდა, მსოფლიო პრესაში დიდი გამოხმაურება ჰპოვა. ამასთან დაკავშირებით გთავაზობთ გავლენიანი გამოცემის "უოლ სტრიტ ჯორნალის" რედაქციის მიერ გამოქვეყნებულ საკმაოდ საინტერესო სტატიას.*

რასაკვირველია, აპლოდისმენტებით ვერ შეხვდები იმ ფაქტს, რომ საერთაშორისო ორგანიზაციის ყოველწლიური სამიტი ჩიხით სრულდება. მაგრამ სადაც საუბარი ეუთო-ს შეეხება, ყველა ვარიანტი უკეთესია, ვიდრე კონსენსუსისაკენ გადახრა, რომლის დროსაც ორგანიზაცია ვერ ასრულებს ხოლმე თავის მისიას რუსეთისადმი მოწიწებული დამოკიდებულების გამო, რომელიც ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების საქმეებში ერევა.

გასულ წელს, პორტოში გამართულ სამარცხვინო სამიტზე, ეუთო დათანხმდა იმ გადაწყვეტილებას, რომ მოლდოვადან რუსეთის ჯარების გაყვანა მცირეოდენი დარღვევებით ხდებოდა და ამით რუსეთს მისცა სტიმული, რათა მის ჯარებს, რომლებსაც აქამდე ოკუპირებული აქვთ დნესტრისპირეთი, კიდევ უფრო გაბედული წინადადებები მიეღოთ ათწლიანი კონფლიქტის "დასარეგულირებლად", რაც რუსეთს დამპყრობლის უფლებას უზრდიდა.

ამგვარი ქცევით, ეუთო წინააღმდეგობაში მოექცა თავის უფრო მკაცრ ვალდებულებებთან, რომელიც 1999 წლის სტამბოლის სამიტზე იქნა მიღებული. რუსეთმა სტამბოლში ნაკისრი ვალდებულების იგნორირება მოახდინა, რაც გასული წლის დეკემბრისთვის მოლდოვადან თავისი არსენალის მნიშვნელოვანი ნაწილის გაყვანაში მდგომარეობდა.

გაგრძელება A5 გვერდზე

A2 პოლიტიკა | A3 პოლიტიკა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 რეგიონი

B1 სტუმარი | B2 რევიუ | B3 რევიუ | B4 სპორტი | B5 სპორტი | B6 ფოსტა | B7 სხვადასხვა | B8 სხვადასხვა

# სარიშვილი სააკაშვილს აფრთხილებს

*"მოსალოდნელია რამდენიმე სერიოზული პოლიტიკური ტერაქტი, როგორც ამჟამინდელი გარდამავალი ხელისუფლების, ისე მისი ოპოზიციის წინააღმდეგ; "ტროიკა" შეიძლება "დვოიკა" გახდეს, სააკაშვილს ტერაქტს უმზადებენ; დღეს ან ხვალ ირინა სარიშვილი-ჭანტურია შეხვდება ასლან აბაშიძეს, რომელიც საპრეზიდენტო არჩევნებს ბოიკოტს უცხადებს; "ტროიკა" ხუთპროცენტიანი ბარიერის დაწესებას აპირებს; უახლოეს დღეებში ირინა სარიშვილი-ჭანტურია საცხოვრებელს გამოიცვლის; დღეს ან ხვალ მოეწყობა სარიშვილის ზეპარტიული მოძრაობის "ახალი ძალის" პრეზენტაცია."*

ეს გახლავთ მოკლე ანონსი უახლოეს პერიოდში მოვლენათა განვითარების შესახებ, რომელიც გუშინ ირინა სარიშვილი-ჭანტურიამ გაგვაცნო.

**"ხავერდოვანი რევოლუციის" შემდეგ "ხავერდოვანი ტერორი დაიწყო",** - ამ განცხადებით დაიწყო გუშინდელი პრესკონფერენცია ედპ-ს ყოფილმა ლიდერმა. სარიშვილის თქმით, ბალისტიკური გამოძიების შედეგად დადგინდა, რომ 2 დეკემბერს მის სახლთან მომხდარი გასროლა განხორციელდა მკვლელობის მოტივით. სახელისუფლებო ბლოკის ყოფილი სპიკერი ინციდენტის მოტივებზე არ საუბრობს, მხოლოდ ერთს დასძენს, რომ იგი პოლიტიკით არის დაკავებული და ამიტომ სხვა სფეროში მტერი არ უნდა ჰყავდეს.

სარიშვილი, რომლის ინფორმაციითაც საქართველოში უამრავი ტერაქტია დაგეგმილი, აღნიშნავს, რომ ქვეყანაში შექმნილია **"უმძიმესი პოლიტიკური ვითარება, სადაც შეუძლებელია მხარეების გარჩევა, რადგან "ტროიკაც" იმ ხელისუფლების ნაწილია, რომელიც დაამხო და ერთი საფეხურით ზემოთ აიწია".** სარიშვილი კვლავ ავრცელებს ინფორმაციას იმის შესახებ, რომ სააკაშვილს თავისი თანამოაზრეებისგან ტერაქტი ელოდება: **"გუშინ მთელი დღის განმავლობაში ამაოდ ვურეკავდი მიხეილ სააკაშვილს. დღეს მინდა თქვენი საშუალებით ვაუწყო მოსალოდნელი საფრთხის შესახებ... რამდენიმე ადამიანის გონიერებაზეა დამოკიდებული, გახდება თუ არა "ტროიკა" "დვოიკა".** სარიშვილის თქმით, მიხეილ სააკაშვილი **"თავისი სპეციფიკური ფსიქიკის გამო, არ შეიძლება, რომელიმე ქვეყნის ინტერესებში შედიოდეს, განსხვავებით იმ ორი საკმაოდ ჭკვიანი ადამიანისგან, რომლებმაც დიდი ხნის წინ დაგეგმეს ის, რაც ქვეყანაში მოხდა."**

ირინა სარიშვილი საჯაროდ აცხადებს, რომ დღეს ან ხვალ იგი პირადად შეხვდება აჭარის ლიდერს ასლან აბაშიძეს. ასევე დღეს ან ხვალ მოეწყობა ზეპარტიული პოლიტიკური ორგანიზაციის "ახალი ძალის" პრეზენტაცია. ამ ძალის ლიდერი კი უახლოეს დღეებში საცხოვრებელს გამოიცვლის, ვინაიდან "ხავერდოვანი ტერორის" პირობებში სარიშვილი მეზობლების უსაფრთხოებაზე ფიქრობს და კორპუსიდან გადასვლას აპირებს.

# ასლან აბაშიძე: არჩევნების ვადამ უნდა გადაიწიოს

გუშინ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურმა მოსკოვში სპეციალური პრესკონფერენცია გამართა.

იგი საქართველოსთვის რამდენიმე უმნიშვნელოვანეს საკითხს შეეხო.

**"თუ საქართველოში საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების ვადა არ გადაიწევს, აჭარა მასში მონაწილეობას არ მიიღებს,"** – აცხადებს აბაშიძე. მისი თქმით, **"საქართველო არჩევნებისათვის, მით უმეტეს, ასეთი მაღალი დონის არჩევნებისათვის, მზად არ არის."**

**"ამ ვადებში სერიოზულ არჩევნებს არ ატარებენ, თუ, რა თქმა უნდა, ჩვენ არ გვსურს, რომ არჩევნები ფარსად იქცეს. მე ვგმობ ნაჩქარევ გადაწყვეტილებას არჩევნების ჩატარების შესახებ. ეს ქვეყნის, მათ შორის – აჭარის, ინტერესებს არ შეესაბამება. თუ საქართველოში არჩევნების ვადები არ გადაიწევს, აჭარა მასში მონაწილეობას არ მიიღებს,"** - განაცხადა აბაშიძემ.

მან ამგვარი ვადების გამოცხადება საზოგადოების გამოწვევა უწოდა. **"ერთ ან ორ პარტიას სურს, თავისი პირობები უკარნახოს მთელ საზოგადოებას,"** - თქვა აბაშიძემ.

ასლან აბაშიძე არჩევნების შვიდი თვით გადადების წინადადებით გამოდის. მისი აზრით, ეს ვადა სიტუაციის გასარკვევად საკმარისია. თუმცა, აბაშიძის პროგნოზით საეჭვოა, საქართველოს ახლანდელი "ხელმძღვანელი სამეული" ამ წინადადებას დათანხმდეს, რადგან უსწრაფეს ლეგიტიმაციას ესწრაფვის.

ამასთან ერთად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაური ასლან აბაშიძე საქართველოს სახელმწიფო მოწყობის საკითხისადმი მიბრუნების წინადადებით გამოდის, მისი თქმით, **"თუ მშვიდობის მიღწევის სურვილი არსებობს, მაშინ ხელისუფლება ამ საკითხს უნდა დაუბრუნდეს."**

მისივე ინფორმაციით, ამ პრობლემას შეეხნენ სახელმწიფო მინისტრ ზურაბ ჟვანიასთან ცოტა ხნის წინ შემდგარი სატელეფონო საუბრისას.

საქართველო ისტორიულად **"ცალკეული ქართული სახელმწიფოების ბაზაზე ჩამოყალიბდა. ამდენად, სახელმწიფო მოწყობის სათანადო ისტორიული წინაპირობები არსებობს და ამ ფორმულისადმი დაბრუნებაა საჭირო, კერძოდ, რეგიონებს ვალდებულებები და უფლებები უნდა დაეკისროთ, რის გარეშეც მშვიდობა არ იქნება,"** - თქვა აბაშიძემ.

მან კატეგორიულად უარყო საქართველოს შემადგენლობიდან აჭარის გასვლის შესაძლებლობა.

ასლან აბაშიძე აცხადებს, რომ **"თუ ედუარდ შევარდნაძეს საქართველოში არ დატოვებენ, ეს დემოკრატიაზე მეორე დარტყმა იქნება."**

**"არ არსებობს არანაირი დოკუმენტი, რომლითაც ედუარდ შევარდნაძის პრეზიდენტის თანამდებობიდან გადადგომა დასტურდება,"** – განაცხადა აბაშიძემ და დასძინა, რომ **"ეს ძალისმიერი ზეწოლის შედეგად გამოწვეული გადატრიალებაა და არა ხავერდოვანი რევოლუცია."**

მისივე თქმით, **"ხალხმა გააცნობიერა, რომ ახალი ხელისუფლება უფრო რადიკალურია, ვიდრე წინამორბედი, ამიტომაც ედუარდ შევარდნაძის პოპულარობა იზრდება."**

აჭარის ლიდერი ასლან აბაშიძე ახლო მომავალში საქართველოს ახალი ხელისუფლების წარმომადგენლებთან შეხვედრას არ გამორიცხავს.

მისი თქმით, ავტონომია დიალოგისათვის ღიაა, თუ ეს ლოგიკური დიალოგი იქნება. აჭარის ხელმძღვანელი, სავარაუდოდ, **"არა მხოლოდ მათ შეხვდება, რომლებმაც ხელისუფლების მართვის სადავეები ხელში აიღეს, არამედ სხვა პოლიტიკურ ლიდერებსაც, ასევე საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და ინტელიგენციის წარმომადგენლებსაც."**

აჭარის ლიდერი ასლან აბაშიძე ავტონომიის ტერიტორიიდან რუსეთის ჯარების გაყვანის შესაძლებლობას გამორიცხავს. აბაშიძის თქმით, ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობა, ტრადიციულად, კარგად არის განწყობილი აჭარაში დისლოცირებული რუსი სამხედრო მოსამსახურეების მიმართ. მისი თქმით, **"რუსეთის ჯარებსა და აჭარის მოსახლეობას შორის კონფლიქტური სიტუაცია არ არის და არც შეიძლება იყოს."**

აბაშიძე მიიჩნევს, რომ ხელისუფლებაში მოსული ახალი ძალები შეეცდებიან, ქვეყანაში შექმნილი სიტუაცია **"საკუთარი პოლიტიკური მიზნებისთვის გამოიყენონ"** და აჭარის ტერიტორიიდან რუსეთის ჯარების გაყვანა მოითხოვონ. **"თუმცა, მნიშვნელოვანია, აჭარაში მაცხოვრებელი ხალხის აზრი გავითვალისწინოთ და ანგარიში გავუწიოთ მას,"** - განაცხადა ასლან აბაშიძემ.

*ინტერ-პრესი, პრაიმ-ნიუსი*

# ასლან აბაშიძე პოლიტიკოსებს „არანორმალურებს" უწოდებს

აჭარის ლიდერი ასლან აბაშიძე "არანორმალურებს" უწოდებს იმ პოლიტიკოსებს, რომელთა აზრითაც, იგი გასულ კვირას, მოსკოვში ყოფნისას, რუსეთის ხელისუფლებასთან განიხილავდა საქართველოდან აჭარის ჩამოშორების პერსპექტივებს.

"ბიბისი"-სთვის მიცემულ ინტერვიუში ასლან აბაშიძე აცხადებს, რომ იგი არ განეკუთვნება ქართველ პოლიტიკოსთა იმ კატეგორიას, რომელიც ქვეყნის ფარგლებს გარეთ ყოფნისას ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობით არიან დაკავებულნი და იგი, **"მათგან განსხვავებით, რუსეთში ვიზიტებისას საქართველოს ინტერესების დასაცავად იღწვის".**

მისივე თქმით, აჭარის ლიდერს არ აინტერესებს საქართველოს ახალი ხელისუფლების წარმომადგენელთა შეფასებები მისი მოსკოვში ვიზიტის შესახებ, ვინაიდან ასლან აბაშიძე მათ საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლებად არ ცნობს, რადგანაც **"მათ დაამხეს საქართველოს კანონიერი ხელისუფლება, ფეხქვეშ გათელეს ქვეყნის კონსტიტუცია და დემოკრატიის პრინციპები".**

ასლან აბაშიძე "თავის მოტყუებად" მიიჩნევს იმ შეფასებას, რომ შევარდნაძის გადადგომა და ბურჯანაძე-ჟვანია-სააკაშვილის ხელისუფლებაში მოსვლა ქართველი ხალხის მხარდაჭერით განხორციელდა. მისივე მტკიცებით, შევარდნაძის გადაყენება მიმდინარე წლის თებერვალში დაიგეგმა და ნოემბერში მომიტინგეთა 2000-კაციანი მხარდაჭერით განხორციელდა.

ასლან აბაშიძის განცხადებით, აჭარის ლიდერი 4 იანვრისათვის დანიშნულ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას არ მიიღებს და "ვარდების რევოლუციის" ავტორებთან ქვეყნის კანონიერი პრეზიდენტის არჩევამდე არანაირი კონტაქტების დამყარებას არ აპირებს. **ინტერ-პრესი**

# პარლამენტი ძველ სახეს იბრუნებს

პირველი გვერდიდან

თავის მხრივ, სანდრო ბრეგაძე აცხადებს, რომ ჯანსულ ჩარკვიანის მსგავსი ადამიანები "სხვანაირ პასუხს იმსახურებენ", მაგრამ ასაკობრივი სხვაობის გამო, ამგვარი ქმედების უფლებას საკუთარ თავს ვერ მისცემს. მისივე თქმით, კარგად იცის, რომელი პარლამენტარები არიან ნარკომანები, მაგრამ ვინაიდან "ჩამშვები" არ არის, მათ ვინაობას ვერ დაასახელებს. სანდრო ბრეგაძე აღნიშნავს, რომ ჩარკვიანის მიერ მის მიმართ გამოთქმული ბრალდების გასაბათილებლად, გუშინ სპეციალურად გაიარა ნარკოლოგიური შემოწმება და სხვა დეპუტატებსაც ანალოგიური ნაბიჯის გადადგმისკენ მოუწოდებს.

**"ძალაუფლება დაკარგეს და მაინც რეებს კადრულობენ! თქვენ მაშინ გენახათ, რას იზამდნენ, ხელისუფლებაში რომ დარჩენილიყვნენ!"** - "ვარდების რევოლუციას" ემადლიერება სანდრო ბრეგაძე.



პარლამენტში ისევ გაჩნდა კვორუმის პრობლემა.

ლევან ხერხეულიძის ფოტო

აღნიშნული დაპირისპირება პარლამენტის გუშინდელ სხდომაზე სხვადასხვა დროს მოხდა: როდესაც ჯანსულ ჩარკვიანი, მისივე თქმით, "პარლამენტში სიტყვით უკანასკნელად გამოვიდა", სანდრო ბრეგაძე სხდომათა დარბაზში არ იმყოფებოდა, ხოლო ამ უკანასკნელის საპასუხო რეპლიკის დროს, საკანონმდებლო ორგანოს შენობა ჩარკვიანს უკვე დატოვებული ჰქონდა.

ალბათ, ამის გამო იყო, რომ სიტუაცია ძალიან არ დაძაბულა და ვნებათაღელვა მალევე ჩაცხრა.

ჩარკვიანისა და ბრეგაძის გარდა, "დესტაბილიზაციის მოხდენას" გუშინ ადა მარშანიაც შეეცადა. მისი ინტერესის საგანს კვირას გამართული სხდომა წარმოადგენდა, რომელზეც პარლამენტმა ცესკო-ს თავმჯდომარე დაამტკიცა. ადა მარშანიას თქმით, ეს პროცედურა კვორუმის არარსებობის პირობებში ჩატარდა და მას ამის დამამტკიცებელი "სერიოზული საბუთები" გააჩნია. აფხაზეთის დეპუტაციის წარმომადგენლის მოთხოვნა, რომ საკითხი დღის წესრიგში შესულიყო და მომხდართან დაკავშირებით დეპუტატებს ემსჯელათ, დაუკმაყოფილებელი დარჩა - პარლამენტარებმა ამის გაკეთება საჭიროდ არ მიიჩნიეს. მით უმეტეს, მანდატურის ინფორმაციის შემდეგ, რომლის თანახმადაც, კვირას გამართული სხდომის დროს კვორუმი იყო და, ამდენად, ცესკო-ს თავმჯდომარის დამტკიცება ლეგიტიმურად მოხდა. მიუხედავად ამისა, ადა მარშანია აცხადებს, რომ "სამართლიანობის აღსადგენად" ბოლომდე იბრძოლებს და ამ მიზნით, დეპუტატთა ჯგუფთან ერთად, საოლქო სასამართლოს მიმართავს.

ისე, რაც დრო გადის, "ვარდების რევოლუციით" გამოწვეული აღმაფრენა პარლამენტარებში სულ უფრო კლებულობს და ძველი სენი - კვორუმის პრობლემა - მოქმედ სპიკერს ხშირად ახსენებს თავს. სხდომის გახსნისთვის აუცილებელი დეპუტატთა რაოდენობა გიგი წერეთელმა გუშინაც მხოლოდ საღამოს ხუთი საათისთვის "შეაგროვა". თუმცა, საკანონმდებლო ორგანომ ქმედითუნარიანობა მალევე დაკარგა: პარლამენტარებმა ორი საკითხის კენჭისყრაში მიიღეს მონაწილეობა და... სადღაც აორთქლდნენ.

ამდენად, პარლამენტმა თავის გუშინდელ "აქტივში" მხოლოდ ის ჩაიწერა, რომ ვახტანგ გვარამიას სადეპუტატო უფლებამოსილება შეუჩერა (იგი საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი გახდა) და ცვლილებები შეიტანა მოქმედ კანონში "ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ".

ამ ცვლილებების თანახმად, ყაყაჩოს თესლი სპეციალური მოხმარების საგნად ცხადდება და მისი თავისუფლად ყიდვა-გაყიდვა იკრძალება.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** საქართველოში დიდი ბრიტანეთის საელჩოს ცნობით, საქართველოს საპრეზიდენტო არჩევნების ჩასატარებლად დიდი ბრიტანეთის მთავრობამ 500 ათასი ფუნტი სტერლინგი გამოყო. თანხის ნაწილი 4 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნებზე ბრიტანელი დამკვირვებლების საქართველოში გამოგზავნას მოხმარდება. საპრეზიდენტო არჩევნების მონიტორინგს "არჩევნების დამკვირვებელთა საერთაშორისო მისია" განახორციელებს, რომლის ხელმძღვანელი ბრიტანეთის მოქალაქეა. ბრიტანეთის მთავრობის მიერ საქართველოსთვის გამოყოფილი თანხების განაწილება საქართველოში ეუთო-ს მისიას დაეკისრა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** აფხაზი პოლიტოლოგი დალილა ფილია ქართულ ხავერდოვან რევოლუციას აფხაზეთისთვის საშიშროებად აღიქვამს და დარწმუნებულია, რომ ერის კონსოლიდირების შემთხვევაში, ადრე თუ გვიან, რევოლუციის ლიდერები აფხაზეთის კონფლიქტის ძალისმიერი გზით მოგვარების გადაწყვეტილებას მიიღებენ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საკონსტიტუციო სასამართლომ რეგისტრაციიდან მოხსნა სარჩელი, რომელიც სასამართლოში პარლამენტარებმა 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებისა და რეფერენდუმის არაკონსტიტუციურად ცნობისა და გაუქმების მოთხოვნით შეიტანეს. საკონსტიტუციო სასამართლოს პრესმდივნის ნათია ჯინჯოლავას თქმით, სარჩელს თან ახლდა ხარვეზები, რომელთა გამოსასწორებლად მოსარჩელეებს სამდღიანი ვადა ჰქონდათ. ხარვეზები არ გამოსწორდა და საკონსტიტუციო სასამართლომ სარჩელი რეგისტრაციიდან მოხსნა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დარეგულირებასთან დაკავშირებული მოლაპარაკებები თებერვლისათვის გადაიდო. განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრის მალხაზ კაკაბაძის თქმით, ეს ქართული მხარის თხოვნით მოხდა. **პრაიმ-ნიუსი**

btc

SCP South Caucasus Pipeline

**მოწვევა სატენდერო წინადადებების წარმოსადგენად - ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსის (HIV) და სხვა ვენერიული ინფექციების შესახებ ინფორმირების დონის ამაღლების თაობაზე**

**ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის (BTC) და სამხრეთ კავკასიის მილსადენის (SCP) პროექტები**

**ოპერატორი - კომპანია BP**

გამოცემის თარიღი: **2003 წლის 26 ნოემბერი**
დახურვის თარიღი და დრო: **2003 წლის 19 დეკემბერი, 16:00 საათი (თბილისის დროით)**

კომპანია BP, როგორც "ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის" (BTC) და ასევე "სამხრეთ კავკასიის მილსადენის კომპანიის" (SCP) სახელით მოქმედი ოპერატორი კომპანია, იწვევს სათანადო კვალიფიკაციის მქონე საქართველოს და საერთაშორისო ორგანიზაციებს განაცხადების წარმოსადგენად, რომელიც ითვალისწინებს საქართველოში HIV და სხვა ვენერიული ინფექციების შესახებ ინფორმირების დონის ამაღლების პროგრამის განხორციელებას.

ეს პროგრამა მიზნად ისახავს HIV და სხვა ვენერიული ინფექციების გავრცელების საფრთხის შემცირებას, მილსადენების მშენებლობაზე მომუშავე მუშახელსა და მშენებლობის მიმდებარე დასახლებების მოსახლეობას შორის, რაც ადამიანების პირადი ცხოვრების წესის შეცვლის ხელშეწყობის და დამცავი საშუალებების მოხმარებისაკენ მოწოდების გზით უნდა განხორციელდეს.

**გეგმის მიხედვით, პროგრამა უნდა მოიცავდეს შემდეგ კომპონენტებს:**
- მოსახლეობაში საგანმანათლებლო საქმიანობის წარმართვა, სადაც ყურადღება იქნება გამახვილებული მილსადენის პროექტის პირდაპირი ზემოქმედების არეალში მოქცეულ მოსახლეობის ჯგუფებზე;
- ტრეინინგები სქესობრივი დაავადებების თავიდან აცილების საკითხებზე, მილსადენის მშენებლობაზე დასაქმებული მუშახელისათვის;
- კონტაქტი ჯანდაცვის ადგილობრივ ორგანოებთან და მშენებლობის კონტრაქტორის სამედიცინო სფეროს წარმომადგენლებთან.

**BP მიესალმება ალიანსების შექმნას საერთაშორისო ორგანიზაციებს, საქართველოში მოქმედ ორგანიზაციებსა და სათემო ორგანიზაციებს შორის, ამ პროგრამის სისრულეში მოყვანის მიზნით.**

სატენდერო წინადადების წარმოდგენა შეუძლიათ ორგანიზაციებს, რომლებიც ქვემოთ ჩამოთვლილ კრიტერიუმებს აკმაყოფილებენ:
- არა-კომერციული, კერძო მოხალისე ორგანიზაციები (PVO) და არასამთავრობო ორგანიზაციები ან ასოციაციები, რომელთაც ოფიციალური რეგისტრაცია და საქართველოში საქმიანობის წარმოების ნებართვა გააჩნია.
- საქართველოში რეგისტრირებული კერძო ან კომერციული ფირმები, რომლებიც მზად არიან, იმუშაონ "ფაქტიური ღირებულების" პრინციპზე დაყრდნობით (ანაზღაურებაზე / მოგებაზე უარის თქმის პირობებში).
- საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელსაც საქართველოში საქმიანობისთვის რეგისტრაცია არ გააჩნია, მაგრამ მოქმედებს ადგილობრივ ორგანიზაციასთან პარტნიორული ხელშეკრულების / ოფიციალურად გაფორმებული ალიანსის ჩარჩოებში.
- ზემოხსენებული ორგანიზაციების ნებისმიერი კომბინაცია - პარტნიორული ხელშეკრულების/ოფიციალურად გაფორმებული ალიანსის საფუძველზე.

**ლიდერ ორგანიზაციას უნდა გააჩნდეს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი შესაძლებლობის დემონსტრირების უნარი, როგორიცაა:**
- დადასტურებული გამოცდილება, რომელიც მოიცავს საქართველოს მოსახლეობაში HIV და ვენერიული ინფექციების შესახებ ინფორმირების დონის ამაღლების და შესაბამისი ტრენინგების ჩატარების სამუშაოს შესრულებას, ადგილობრივი კულტურისა და ტრადიციებისადმი პატივისცემის პირობებში.
- საერთაშორისო აუდიტორიისთვის ტრენინგის ჩატარების დადასტურებული გამოცდილება.
- საქართველოს ჯანდაცვის ხელმძღვანელ ორგანოებთან მუშაობის გამოცდილება.
- დასაბუთებული გამოცდილება გრანტის ტიპის ისეთი პროექტების ან მისი ეკვივალენტური ინიციატივების მენეჯმენტის და/ან განხორციელების სფეროში, რომლის ბიუჯეტი მთელი პროექტის განმავლობაში მინიმუმ 50 000 აშშ დოლარს შეადგენს.
- სამუშაოს მთელი მოცულობის ისეთი ფორმით შესრულების უნარი, როცა მოცემულ საქმიანობაში ჩართული თითოეული ადამიანის ჯანმრთელობა და უსაფრთხოება არის დაცული.
- რევიზირებადი ანგარიშების აღრიცხვის წარმოების უნარი.

განაცხადების წარმოდგენის საბოლოო ვადა არის 2003 წლის 19 დეკემბერი, თბილისის დროით 16:00 საათი. დაინტერესებულ მონაწილეებს შეუძლიათ მიიღონ "სატენდერო წინადადებების მოწვევის" (RFP) დოკუმენტაციის სრული კომპლექტი 2003 წლის 26 ნოემბრიდან 5 დეკემბრამდე, მისამართზე:

**BP-ს პროექტის ოფისი**
**საქართველო, თბილისი, 380094**
**საბურთალოს ქუჩა N38**

"მოწვევის" დოკუმენტაციის გაცნობა 19 დეკემბრამდე ასევე შესაძლებელი იქნება ინტერნეტ-მისამართზე: www.caspiandevelopmentandexport.com

წინადადებები წარმოდგენილი უნდა იყოს ინგლისურ ენაზე და თავად "სატენდერო წინადადებების მოწვევის" დოკუმენტაციაც ქვეყნდება მხოლოდ ინგლისურ ენაზე. წერილობითი განმარტების მიღების თხოვნები მიიღება 2003 წლის 8 დეკემბრის 16 საათამდე (თბილისის დროით), ხოლო საპასუხო განმარტებები გამოიცემა 2003 წლის 12 დეკემბერს.

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

## მოკლედ

### იგორ გიორგაძეს გამარჯვების იმედი აქვს

**"პრეზიდენტობის კანდიდატი, უშიშროების ექსმინისტრი იგორ გიორგაძე წინასაარჩევნო კამპანიას თავად წარმართავს და ოფიციალურად მხოლოდ მას შემდეგ გამოჩნდება, როცა ამას საჭიროდ ჩათვლის",** - განაცხადა გიორგაძის ნდობით აღჭურვილმა პირმა გიორგი მეტრეველმა.

პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის "დიქტატორული მმართველობის" დასრულების შემდეგ იგორ გიორგაძეს იმედი აქვს, რომ დროებითი ხელისუფლება მას არჩევნებში მონაწილეობის საშუალებას მისცემს და ცენტრალური საარჩევნო კომისია პრეზიდენტობის ერთ-ერთ კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარებს.

გიორგი მეტრეველის ინფორმაციით, იგორ გიორგაძე იმედოვნებს, რომ დროებითი ხელისუფლება უფრო დემოკრატიული იქნება და მას ბრძოლას არ გამოუცხადებს, **წინააღმდეგ** შემთხვევაში "ამ საკითხზე ის საერთაშორისო ორგანიზაციები იმსჯელებენ, რომლებსაც სააკაშვილი-ჟვანია-ბურჯანაძის გუნდი დღეს თავის თანამოაზრეებად და მეგობრებად ასახელებენ", - აცხადებს მეტრეველი. **მედია-ნიუსი**

## ორი სიტყვით

**თბილისი.** საქართველოში განვითარებულ მოვლენებს გუშინ გამოეხმაურა საქართველოში ისრაელის საელჩო. საელჩოს მიერ გავრცელებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ ისრაელი კმაყოფილებას გამოთქვამს პოლიტიკური კრიზისის მშვიდობიანად მოგვარების გამო და იმედს გამოთქვამს, რომ მიმდინარე პოლიტიკური პროცესები დემოკრატიულად და კონსტიტუციის შესაბამისად განვითარდება. **"ისრაელი ასევე დიდ ყურადღებას აქცევს მომავალ საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებს და სჯერა, რომ ქართველი ხალხი ახალ მთავრობას სამართლიანი არჩევნების გზით აირჩევს,"** - ნათქვამია განცხადებაში. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** თავდაცვის ექსმინისტრი თენგიზ კიტოვანი აცხადებს, რომ მან მოსკოვიდან სამშობლოში დაბრუნების შესახებ გადაწყვეტილება მიიღო. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "საქართველოს ქრისტიან-დემოკრატიული კავშირი" ქვეყნის ახალი ხელისუფლების მიერ ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის "კანონდარღვევით დანიშვნას" აპროტესტებს. კავშირის წევრები მოუწოდებენ დე-ფაქტო ხელისუფლებას, ცესკო-ს დაკომპლექტებისას სრულად გაითვალისწინოს ჯეიმს ბეიკერის წინადადებები და კომისიის პარიტეტულ საწყისებზე, პარტიული ნიშნით დაკომპლექტება უზრუნველყოს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი. "აშშ-ს თავდაცვის მინისტრი დონალდ რამსფელდი თბილისს მიმდინარე კვირის ბოლოს ეწვევა",** - განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა გიგი წერეთელმა. მისი თქმით, ეს ვიზიტი კიდევ ერთი დასტური იქნება საქართველოს ახალი ხელისუფლების მიმართ აშშ-ს დაინტერესებისა. ვიზიტის დროს განიხილება სამხედრო სფეროში ორმხრივი თანამშრომლობის პერსპექტივები. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "ქრისტიან-დემოკრატიული კავშირის" ლიდერი, ყოფილი სახელისუფლებო ბლოკის "ახალი საქართველოსთვის" საარჩევნო სიის პირველი ნომერი ვაჟა ლორთქიფანიძე საქართველოში მომხდარ რევოლუციას სახელმწიფო გადატრიალებად აფასებს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის გიგი წერეთლის განცხადებით, საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება მზად არის, მოლაპარაკებები გამართოს აჭარის ლიდერთან ასლან აბაშიძესთან. არ არის გამორიცხული, ნინო ბურჯანაძე უახლოეს დღეებში აჭარაში ჩავიდეს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**რუსთავი.** ქვემო ქართლში პრეზიდენტის რწმუნებულმა ზურაბ მელიქიშვილმა სამხარეო ადმინისტრაციაში საკადრო წმენდა რწმუნებულის მოადგილეებით დაიწყო. მან თანამდებობიდან გაათავისუფლა გიორგი კახიანი და მერაბ ასანიშვილი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ეროვნულ-დემოკრატიული პარტია ქვეყანაში ძალადობის გამოვლინებად მიიჩნევს პარტიის ყოფილი ლიდერის ირინა სარიშვილ-ჭანტურიას საცხოვრებელი ბინისთვის სროლის ფაქტს და სამართალდამცავი სტრუქტურების ხელმძღვანელებისაგან მოითხოვს, მიიღონ შესაბამისი ზომები როგორც პოლიტიკოსების, ასევე მასმედიისა თუ ნებისმიერი მოქალაქის პირადი უსაფრთხოების დასაცავად. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** აფხაზეთის ვიცე-პრემიერმა ვლადიმერ ზანთარიამ ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, რომ აფხაზეთს, სამხრეთ ოსეთს, აჭარას, დნესტრისპირეთის რესპუბლიკასა და მთიან ყარაბახს შორის ურთიერთობა ძალიან მეგობრულია. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**ზუგდიდი.** ზუგდიდის მაჟორიტარი დეპუტატის გოჩა ფიფიას განცხადებით, იგი ხვალ პარტიას ქმნის, რომელსაც საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ შეურჩევს სახელწოდებას. მისი თქმით, ახალ პარტიაში გაერთიანდებიან სამეგრელოს ყველა რაიონის მაჟორიტარი დეპუტატები. შესაძლოა, ახალმა პოლიტიკურმა სუბიექტმა არჩევნებშიც მიიღოს მონაწილეობა. **მედია-ნიუსი**

# არჩევნების გადაწევა გაზრდის დესტაბილიზაციის საფრთხეს

**"ამერიკელები აპირებენ, სერიოზულად დაეხმარონ საქართველოს. რა თქმა უნდა, არა მაქვს ილუზია, რომ მათ ხარჯზე ვიცხოვრებთ, მაგრამ ჩვენ დღეს შევარდნაძემ დაგვიტოვა განადგურებული ქვეყანა და პირველადი დახმარების აღმოჩენა ჩვენს მეგობარ ქვეყნებს შეუძლიათ; რაც შეეხება გრძელვადიან მკურნალობას, ეს ჩვენი მთავრობის ხელშია. ჩვენ თვითონ უნდა შევძლოთ გადასახადების აკრეფა, პენსიებისა და ხელფასების გასტუმრება; გპირდებით, ჩემი პრეზიდენტობის შემთხვევაში ამით აქტიურად დავკავდები. ამერიკელები ნათლად მიანიშნებენ, რომ საქართველოს არავის დააჩაგვრინებენ და არავის მისცემენ უფლებას, საქართველოს შიდა საქმეებში ჩაერიოს,"** – განაცხადა პრეზიდენტობის კანდიდატმა მიხეილ სააკაშვილმა ევრაზიის საკითხებში აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მეორე მოადგილესთან ლინ პასკოსთან ერთსაათიანი შეხვედრის შემდეგ. დახურულ კარს მიღმა საუბრის თემას წარმოადგენდა საქართველოსთვის აუცილებელი ფინანსური დახმარება. პასკო საკრებულოს ამჟამინდელი თავმჯდომარის კაბინეტში აშშ-ის ელჩთან - რიჩარდ მაილსთან ერთად მივიდა.



ლევან ხერხეულიძის ფოტო

*ლინ პასკო და რიჩარდ მაილსი კანცელარიიდან სააკაშვილთან გაემგზავრნენ.*

სააკაშვილის თქმით, ამერიკა აპირებს, საქართველოს სერიოზული ფინანსური დახმარება აღმოუჩინოს. **"უფრო კონკრეტულად ამის შესახებ ხვალ შეიტყობთ, როცა ბატონი პასკო თავად გააკეთებს ძალიან მნიშვნელოვან განცხადებებს,"** – აღნიშნა მან.

რაც შეეხება ინტერპოლის მიერ ძებნილი ბორის ბერეზოვსკის ჩამოსვლას საქართველოში, სააკაშვილის თქმით, ყველა ბიზნესმენს აქვს უფლება, ჩამოვიდეს საქართველოში და აქ ფული დააბანდოს. **"ჩვენ ამას მხოლოდ მივესალმებით, მაგრამ ყველაფერი კანონის ჩარჩოებში უნდა ხდებოდეს. საქართველოს საზღვარი უკლებლივ ყველამ წესების დაცვით უნდა გადმოკვეთოს. საქართველო არ არის რაღაც დუქანი, სადაც შეგიძლია, შეხვიდე და გამოხვიდე ისე, რომ არავინ გააფრთხილო. ბერეზოვსკის სტუმრობაში ვერანაირ შიშს და საფრთხეს ვერ ვხედავ, თუმცა კიდევ ერთხელ ვაფრთხილებ ყველა მესაზღვრეს, დაიცვან კანონი,"** – განაცხადა მან.

სააკაშვილის თქმით, ასლან აბაშიძის მოთხოვნა საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების ვადის გადაწევასთან დაკავშირებით მიუღებელი და არაკანონიერია.

**"ყოველი დღე საპრეზიდენტო არჩევნების გადაწევისა, ზრდის ქვეყანაში არასტაბილურობის საფრთხეს. ჩვენ კონსტიტუციურ ჩარჩოებს არ უნდა გავცდეთ და არჩევნები 4 იანვარს უნდა შედგეს. ზოგიერთებს იმედი აქვთ, რომ არჩევნების გადაწევით ისარგებლებენ, რამეს მოიგონებენ და თავიდან მოიშორებენ ჩვენს გუნდს, მაგრამ ვერ ეღირსებიან,"** – აცხადებს სააკაშვილი.

*24 საათი*

# ამერიკელები საქართველოს ლუპით შეისწავლიან

პირველი გვერდიდან

თავის მხრივ, ძველი ნაცნობები, ოპოზიციური პარტიის ლიდერების სახით, მას გუშინ უკვე ახალი სტატუსით შეხვდნენ. ორ-სამ დღეში პასკომ აშშ-საქართველოს შემდგომი ურთიერთობების საკითხი უნდა გაარკვიოს. გარდა ამისა, საუბარი შეეხება იმასაც, თუ რა დახმარების გაწევა შეუძლია საქართველოსათვის შეერთებულ შტატებს ამ ეტაპზე, საამისოდ პასკოს ამჯერად მართლაც სერიოზული ძალა ჩამოჰყვა. იმ უწყებათაშორის დელეგაციაში, რომელსაც იგი ხელმძღვანელობს, თეთრი სახლის გარდა, სახელმწიფო დეპარტამენტის, სახაზინო, თავდაცვისა და იუსტიციის დეპარტამენტების, ვაჭრობისა და განვითარების სააგენტოების წარმომადგენლებიც შედიან.

პასკო, ტრადიციულად, სიტყვაძუნწი იყო. მოქმედ პრეზიდენტ ნინო ბურჯანაძესთან გამართული შეხვედრის შინაარსი მას გუშინ არ დაუკონკრეტებია. ბურჯანაძესთან შეხვედრას ესწრებოდნენ საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატი, "ნაციონალური მოძრაობის" ლიდერი მიხეილ სააკაშვილი, სახელმწიფო მინისტრი ზურაბ ჟვანია, შინაგან საქმეთა მინისტრი გია ბარამიძე და პარლამენტის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი გიგი წერეთელი. მოგვიანებით, პასკო კიდევ ერთხელ შეხვდა მიხეილ სააკაშვილს, როცა პოლიტიკური პარტიის ლიდერებისაგან კონკრეტული ინფორმაციის მიღება გადაწყვიტა. პოლიტიკური სპექტრის წარმომადგენლებთან შეხვედრები მან დღესაც უნდა განაგრძოს. მოქმედ პრეზიდენტთან გამართული შეხვედრის შემდეგ კი, პასკო მხოლოდ იმას აცხადებდა, რომ მაასტრიხტში გამართულ შეხვედრაზე ნინო ბურჯანაძის მიმართ ეუთო-სა და ევროკავშირის წევრი ქვეყნების წარმომადგენლების მხრიდან დიდი მხარდაჭერა იგრძნობოდა.

პასკო აღნიშნავს, რომ ამერიკის პოზიცია კვლავ უცვლელია. ოფიციალური ვაშინგტონი საქართველოს შიდა საქმეებში არ ერევა, ამდენად, პრეზიდენტობის რომელიმე კანდიდატის მიმართ განსაკუთრებული სიმპათიები არ აქვს. თუმცა, ამავე დროს, ამერიკა მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, რის შესახებაც აშშ-ს სახელმწიფო მდივან კოლინ პაუელს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ იგორ ივანოვთან სერიოზული საუბარი ჰქონდა. საერთოდ, ამერიკის ხელისუფლება, დემოკრატიული არჩევნების შედეგად არჩეული ხელისუფლების მხარდაჭერას აპირებს. ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლებს მართლაც არ ჰქონდათ დაზუსტებული, თუ კონკრეტულად რა ოდენობის დახმარებას შეიძლება ელოდონ ამ დელეგაციის ვიზიტის შემდეგ. გიგი წერეთელი თანხის დაზუსტებას ჟურნალისტებს ფინანსთა მინისტრ ზურაბ ნოღაიდელთან ურჩევდა.

6 დეკემბრამდე, დაახლოებით, ორმოცდაათკაციანმა უწყებათაშორისმა დელეგაციამ "რევოლუციაგადახდილი" საქართველო მართლაც რომ ლუპით უნდა შეისწავლოს. თავად ოფიციალური ვაშინგტონის წარმომადგენლებს მიაჩნიათ, რომ გასულ წლებში საქართველოს დასახმარებლად მართლაც რომ საკმარისი თანხა - მილიარდზე მეტი გაიღეს, აშკარა შედეგი კი არ შეიმჩნევა.

სააქციო საზოგადოება
საქართველოს ბანკი
BANK OF GEORGIA
JOINT-STOCK COMPANY

საქართველოს ბანკი, დაარსებიდან 10 წლის იუბილესთან დაკავშირებით,
აცხადებს კონკურსს
საიმიჯო ვიდეორგოლის ან ვიდეორგოლების სერიების სცენარზე.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ დამოუკიდებელ პროფესიონალებს, სარეკლამო კომპანიებს, კინო-ვიდეოსტუდიებს და საპროდუსერო ორგანიზაციებს.
გამარჯვებული წინადადებებისათვის დაწესებულია:

1. პირველი პრემია - 1000 ლარი
2. მეორე პრემია - 500 ლარი
3. მესამე პრემია - 300 ლარი

წინადადებების წარმოდგენის ბოლო
ვადაა 2004 წლის 2 თებერვალი.
განაცხადები შემოტანილი უნდა იქნას დევიზით
მისამართზე: ქ. თბილისი,
პუშკინის ქ. №3. ტელ. 444-248;
ელ.ფოსტა concurs@bog.ge

# დონალდ რამსფელდის ტურნესთან დაკავშირებული მოლოდინები

პირველი გვერდიდან

რადიო "თავისუფლების" აზერბაიჯანული სამსახურის თანამშრომლის, როვშან გამბაროვის თქმით, აზერბაიჯანში მოელიან, რომ ბაქოში დონალდ რამსფელდის ვიზიტის დროს საბოლოოდ გადაწყდება იმ პროექტის ბედი, რომელიც კასპიის ნავთობსაბადოების დაცვის ერთიანი უსაფრთხოების სისტემის შექმნას ითვალისწინებს.

**"მცირე ხნის წინ აზრებაიჯანს სტუმრობდა ამერიკელი მაღალჩინოსანი გენერალი, რომელმაც განაცხადა, რომ კასპიის აუზის კონტროლის უზრუნველსაყოფად, შეერთებული შტატები აპირებს 2004 წლის დასაწყისში დიდი სამხედრო დახმარება აღმოუჩინოს აზერბაიჯანს. ნიშანდობლივია, რომ ამის შემდეგ, დეკემბრის პირველ დეკადაში, აზერბაიჯანში იგეგმება დონალდ რამსფელდის ვიზიტი და ამ ვიზიტისგან ბაქოში სწორედ ამ საკითხის გადაწყვეტას მოელიან,"** - აცხადებს გამბაროვი.

ამერიკის თავდაცვის მინისტრის სტუმრობა საქართველოსაც კარგად აქვს დაცდილი: ზუსტად 2 წლის წინ, 2001 წლის 15 დეკემბერს დონალდ რამსფელდის 5-საათიან შეხვედრას საქართველოს პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძესთან, ერთი წლის თავზე "წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამის ამოქმედება მოჰყვა. ერთობლივ ქართულ-ამერიკული პროგრამის ფარგლებში, რომელზეც პენტაგონმა 64 მილიონი დოლარი გამოყო, ამერიკელმა სამხედრო ინსტრუქტორებმა საქართველოში სამი პროფესიული ბატალიონი გაწვრთნეს. თავის მხრივ, საქართველომ, ამ დახმარების "საზღაურად", 70-კაციანი შერეული ქვედანაყოფი გააგზავნა ერაყში, მესამე საველე არმიის განკარგულებაში.

ვინაიდან სამხრეთ კავკასიის რეგიონის მიმართ ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესი კიდევ უფრო ძლიერდება, პოლიტოლოგ დავით დარჩიაშვილს მიაჩნია, რომ ამერიკული დახმარება "წვრთნისა და აჭურვის პროგრამის" შემდეგაც გაგრძელდება. ოღონდ ყველაფერი იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ რამდენად მზად იქნება ახალი ხელისუფლება, გათავისუფლდეს საშიში მემკვიდრეობისგან და გზა გაუხსნას დემოკრატიულ პროცესებს.

**"ყველაფერი მაინც იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ რამდენად მოვახერხებთ იმის ჩვენებას, რომ სახელმწიფოებრივი უნარები გაგვაჩნია, ანუ იმას, თუ ვინ მოვა ჯარში, რა ხალხი იქნება სახელმწიფოს სხვადასხვა საკვანძო სტრუქტურებში, რამდენად ხელშესახები იქნება ბრძოლა კორუფციასთან. ხავერდოვანი რევოლუცია - ეს არის კარგი დასაწყისი, ახლა კი უნდა გამოჩნდეს საქმე,"** - ამბობს დარჩიაშვილი.

ახალ ხელისუფლებას კი საქმიანობა ცაიტნოტში და სრული ეკონომიკური კოლაფსის პირობებში უწევს. როგორც ორშაბათს გამართულ საგანგებო პრესკონფერენციაზე სახელმწიფო მინისტრმა ზურაბ ჟვანიამ განაცხადა, ვითარება იმდენად რთულია, რომ არმიის გამოსაზამთრებლად საქართველოს ხელისუფლებამ, შესაძლოა, საკვებით დახმარებაზე მეგობარ ქვეყნებს მიმართოს.

# შეხვედრები სახელმწიფო კანცელარიაში

ახალ ხელისუფლებას საზღვარგარეთიდან კეთილი მრჩევლები ნამდვილად არ აკლია. ერთ-ერთი - საქართველოს საკითხებში საერთაშორისო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე ჰარი ჯონსონიც გახლავთ, რომელიც საქართველოს რამდენიმე დღის წინ ესტუმრა, გუშინ კი მოქმედ პრეზიდენტ ნინო ბურჯანაძეს შეხვდა და საქართველოს უშიშროების საბჭოსთან ერთობლივად შემუშავებული უსაფრთხოების კონცეფცია წარუდგინა. კონცეფცია, რომელიც სამართალდამცავ ორგანოში რეფორმების გატარებას ეხება, შინაგან საქმეთა ახალ მინისტრს გარკვეულ სახელმძღვანელოდაც შეიძლება გამოადგეს. თავად ჯონსის თქმით, ბურჯანაძისათვის იგი იმდენად მოსაწონი აღმოჩნდა, რომ მრჩეველს ამ კონცეფციის განხორციელების პირობა მან გუშინვე მისცა.

ბურჯანაძის სტუმრებს შორის აღმოჩნდა გუშინ რუსეთის ელჩი საქართველოში ვლადიმერ ჩხიკვიშვილიც. როგორც მან მოგვიანებით ჟურნალისტებთან საკმაოდ ბუნდოვნად "დააკონკრეტა," ქალბატონ ნინოსთან მისი საუბრის თემა ბერეზოვსკის ვიზიტი არ ყოფილა და საქმე მხოლოდ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის ზოგად ასპექტებს ეხებოდა.

მოქმედ პრეზიდენტს დღეს გაერო-ს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი ჰაიდი ტალიავინი შეხვდება, რომელმაც, თავის მხრივ, უკვე მოასწრო სახელმწიფო მინისტრთან შეხვედრა. ზურაბ ჟვანიასთან საუბრისას, ტალიავინმა "გათქვა", რომ 5 დეკემბერს სოხუმში ჩასვლას გეგმავს, რათა სოხუმის ხელისუფლების მიერ მოსკოვში გამართული შეხვედრების დეტალები პირადად გაარკვიოს. გარდა ამისა, უნდა გაირკვეს ისიც, თუ კონკრეტულად რა სახით გეგმავს ახალ ხელისუფლებასთან ურთიერთობის გაგრძელებას აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ხელისუფლება, როდის გაიმართება საკოორდინაციო საბჭოს მეორე სხდომა, რომლის ჩაშლის მიზეზი "ვარდების რევოლუცია" გახდა. თავის მხრივ, ტალიავინი იმასაც აცხადებს, რომ გალში ეკონომიკური მდგომარეობის შესასწავლად უკვე მივლინებულია სპეციალური ჯგუფი.

*24 საათი*

# ნათელაშვილი სამი შევარდნაძის წინააღმდეგ

ვერიკო თევზაძე

ლეიბორისტული პარტიის ლიდერი შალვა ნათელაშვილი საქართველოს მოსახლეობას ბოდიშს უხდის იმის გამო, რომ **"იგი ვერ დაიცვა შევარდნაძის სამეფო კარზე აცქმუტებული ახალგაზრდებისგან. შედეგად, ერთი შევარდნაძის ნაცვლად სამი შევარდნაძე მივიღეთ."**

ნათელაშვილი ბოიკოტს უცხადებს 4 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნებს, რომელსაც უკანონოდ მიიჩნევს. ლეიბორისტთა ლიდერის წინასწარმეტყველებით, 4 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნები არამარტო ფალსიფიცირებული იქნება, არამედ - დამანგრეველიც ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისთვის: **"აჭარა არ მონაწილეობს საპრეზიდენტო არჩევნებში. ეს გამოიწვევს ამ ავტონომიის ქვეყნის კონსტიტუციური სივრციდან გასვლას."** როგორც ნათელაშვილი ბრძანებს, სამი შეთქმული ახალგაზრდა - ჟვანია, სააკაშვილი და ბურჯანაძე გააყალბებენ როგორც საპრეზიდენტო, ასევე საპარლამენტო არჩევნებს, ახალ პარლამენტში მოიყვანენ ორ მესამედს, კონსტიტუციურ ცვლილებათა გზით შემოიღებენ მინისტრთა კაბინეტის ინსტიტუტს და პრემიერ-მინისტრის პოსტზე დანიშნავენ "საქართველოს უკვდავ მტერს - ჟვანიას."

შალვა ნათელაშვილი გამოსავალს ხედავს იმაში, რომ ახლად არჩეულმა პარლამენტმა გააგრძელოს მუშაობა და დანიშნოს ხელახალი საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები.

გუშინდელ პრესკონფერენციაზე ნათელაშვილმა, ჟურნალისტის შეკითხვის პასუხად, დაადასტურა, რომ იგი ამ დღეებში ნამდვილად შეხვდა მიხეილ სააკაშვილს: **"ბატონმა მიხეილმა რამდენჯერმე შემომითვალა შეხვედრის თაობაზე და ქართულმა წესმა უფლება არ მომცა, იგი პარტიის ოფისში არ მიმეღო."** ნათელაშვილი აცხადებს, რომ მას და სააკაშვილს მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებზე არ უსაუბრიათ. ნათელაშვილის თქმით, ამ შეხვედრაზე "ნაციონალური მოძრაობის" ლიდერმა ლეიბორისტული პარტია ძლიერ ოპოზიციურ ძალად შეაფასა. ლეიბორისტთა ლიდერს ვერ გაუგია, რატომ შეიწუხა თავი მიხეილ სააკაშვილმა: **"ლეიბორისტული პარტია რომ ძლიერი ოპოზიციაა, ეს, სააკაშვილის აღიარების გარეშე, მეც და მთელმა მსოფლიომ ვიცით."**

დაბოლოს, ყველაზე ორიგინალური რამ, რაც გუშინდელ პრესკონფერენციაზე ბატონმა შალვამ ბრძანა: **"ნოემბრის გადატრიალება მიმართული იყო არა შევარდნაძის, არამედ ლეიბორისტული პარტიის წინააღმდეგ, მისი მაღალი რეიტინგის გამო."**

# მსოფლიო ბანკი საქართველოს ფულად-საკრედიტო პოლიტიკას იწონებს

3 დეკემბერს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი ირაკლი მანაგაძე საქართველოში ვიზიტად მყოფ მსოფლიო ბანკის სამხრეთ კავკასიის ქვეყნების რეგიონულ დირექტორს დონა დოუსეტ კოიროლოს და ბანკის ახალ წარმომადგენელს საქართველოში როი საუსვერსს შეხვდა. შეხვედრაზე საუბარი იყო საქართველოში შექმნილი ეკონომიკური ვითარების გაცნობასა და ქვეყნის საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან ურთიერთობის შემდგომ პერსპექტივებზე.

შეხვედრის დამთავრების შემდეგ მსოფლიო ბანკის სამხრეთ კავკასიის ქვეყნების რეგიონულმა დირექტორმა დონა დოუსეტ კოიროლომ ჟურნალისტებისათვის გამართულ ბრიფინგზე აღნიშნა, რომ კმაყოფილია ეროვნული ბანკის მიერ განხორციელებული ფულად-საკრედიტო პოლიტიკით. მან აღნიშნა, რომ საქართველოს ეროვნული ბანკი მიზანმიმართულად ახორციელებს ფულად-საკრედიტო, სავალუტო და საზედამხედველო პოლიტიკას, რაც მნიშვნელოვანია ქვეყნის მაკროეკონომიკური სტაბილურობისათვის.

შეხვედრა ძირითადად მიზნად ისახავდა მსოფლიო ბანკის წარმომადგენლების მიერ მიმდინარე პროცესებში გარკვევას და მათი მხრიდან საქართველოსთან შემდგომი თანამშრომლობის სურვილის დაფიქსირებას.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ირაკლი მანაგაძის თქმით, ამ ეტაპზე, როდესაც შეწყვეტილია საერთაშიროსო სავალუტო ფონდის პროგრამების დაფინანსება, ძალზე მნიშვნელოვანია მსოფლიო ბანკის წარმომადგენლებთან შეხვედრა.

*24 საათი*

# შევარდნაძე მიიჩნევს, რომ რუსეთის ენერგეტიკულ კაპიტალს საქართველოში არაფერი დაემუქრება

რუსეთის ენერგეტიკულ კაპიტალს საქართველოში დღემდე არაფერი ემუქრებოდა და საეჭვოა, მას რამე დაემუქროს. ასეთი აზრი გამოთქვა პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ. ქვეყნის ახალი მთავრობა რუსეთიდან გაზის და ელექტროენერგიის მიწოდებითაა დაინტერესებული, "ამიტომ საქართველოსა და რუსეთს შორის ენერგეტიკული თანამშრომლობა გაგრძელდება," - მიიჩნევს ედუარდ შევარდნაძე. მისი თქმით, საქართველო-რუსეთის ეკონომიკური თანამშრომლობისათვის საკმაოდ კარგი საფუძველი არსებობს, სადაც გადამწყვეტ როლს რუსეთიდან ბუნებრივი აირის და ელექტროენერგიის იმპორტი ასრულებს. თანამშრომლობის სანიმუშო მაგალითად შევარდნაძემ კომპანია "იტერას" მიერ რუსთავის სააქციო საზოგადოება "აზოტის" შეძენა დაასახელა, რომელიც ქიმიურ პროდუქციას აწარმოებს. ექსპრეზიდენტმა აღნიშნა, რომ საქართველომ "იტერას" საწარმო სიმბოლურ ფასად (500 ათასი აშშ დოლარი) გადასცა, რადგან ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი იყო, რომ "აზოტი კვლავ ამუშავებულიყო. საწარმოში 4 ათასი კაცია დასაქმებული და ის წესიერად უხდის გადასახადებს სახელმწიფოს", - განაცხადა საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა. მან ასევე აღნიშნა, რომ სახელმწიფოს მიმართ არსებულ დავალიანებას "აზოტი" 20 წლის განმავლობაში დაფარავს. **ინტერ-პრესი**

# რუსი ოლიგარქები შეგიძლიათ იყიდოთ და მიირთვათ

იმ დროს, როცა რუსი ოლიგარქები დარწმუნებულნი არიან, რომ ყველაფერი შეუძლიათ იყიდონ და გაყიდონ, ვაჭრობის ანუ ბიზნესის საგნად თავად ისინი იქცნენ:

სკულპტორმა ევგენი ვასილიევმა და ქალაქის რესტორნების შეფ-კონდიტერმა ვალენტინ ლეზერმა შვიდი ყველაზე მდიდარი რუსი პერსონის ბიუსტები შოკოლადისგან ჩამოასხეს.

ასეთი გადაწყვეტილება მიღებულ იქნა რუსულ ლექსიკონში სიტყვა "ოლიგარქის" გამოჩენის ხუთი წლისთავის აღსანიშნავად. ხადარკოვსკის, აბრამოვიჩის, ფრიდმანის, პოტანინის, ბერეზოვსკის, ჩუბაისის და დერიპასკის შოკოლადის თავები დედაქალაქის ერთ-ერთ კაფეში წარუდგინეს კლიენტებს. აქციის სახელწოდება გახლდათ: "ჩვენი ტკბილები".

ვასილიევმა ქანდაკებები "მსუბუქი შარჟის" ჟანრში შექმნა და გამოტყდა, რომ არ განიცდის ზიზღს ამ ადამიანებისადმი. ოლიგარქების შიგთავსი თეთრი შოკოლადისგან არის ჩამოსხმული, გარედან კი ამოვლებულია შავ შოკოლადში.

თითოეული ოლიგარქის საშუალო წონაა 4,5 კილოგრამი.

აღნიშნული ბიუსტები კაფეში წლის ბოლომდე იქნება გამოფენილი, საახალწლოდ კი ისინი აუქციონზე გაიყიდება. მათი სასტარტო ფასია 1 რუბლი, თუმცა აუქციონის ორგანიზატორები მიიჩნევენ, რომ ოლიგარქების თავებში არაერთი ათასი დოლარის აღებას შეძლებენ. ხოლო იმ ბიუსტს, რომლის გაყიდვაც არ მოხერხდება, ადგილზე დაამტვრევენ და მიირთმევენ.

*მონიტორინგი*

# საბიუჯეტო კრიზისს ბოლო არ უჩანს

**1 დეკემბრისათვის ჯერ კიდევ არ დასრულებულა ივლისის თვის პენსიების დაფინანსება, გარღვევა 5 მილიონი ლარია.**

**აგვისტოს თვის პენსიების დაფინანსებაში გარღვევა 9,9 მილიონი ლარია, სექტემბერში 11,1 მილიონი ლარია, ოქტომბერში – 13,6 მილიონი ლარი, ხოლო ნოემბრის დაფინანსება ჯერ არ დაწყებულა.**

უმწეოთა სოციალური დახმარება დაფინანსებულია ოქტომბრის თვის ჩათვლით.

**ძალოვანი სტრუქტურების და რეგრესული პენსიები დაფინანსებულია მხოლოდ სექტემბრის ჩათვლით. ცენტრალური ბიუჯეტიდან ოქტომბრის თვის რეგრესული პენსიის ტრანსფერი ჯერ კიდევ ოქტომბერში გადაირიცხა, თუმცა პირველი დეკემბრისათვის რეგრესული პენსია მხოლოდ სექტემბრის ჩათვლით არის დაფინანსებული.**

**1 დეკემბრისათვის პენსიების 11 თვის გეგმაში გარღვევა 60,33 მილიონი ლარია.**

უმძიმესი მდგომარეობაა ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამების დაფინანსებაში - **ჯერ კიდევ 10 თვის გეგმა არ არის შესრულებული.**

ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების 10 თვის გეგმა (?!) 1 დეკემბრისათვის დაფინანსებულია 84,5 პროცენტით, გარღვევა 9,2 მილიონი ლარია.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური ადაპტაციის ხელშეწყობის პროგრამები დაფინანსებულია 58,9 პროცენტით, გარღვევა 1,4 მილიონი ლარია.

უმუშევრის სოციალური დაცვისა და დასაქმების ხელშეწყობის პროგრამები დაფინანსებულია 60,4 პროცენტით, გარღვევა 1,8 მილიონი ლარია.

**საკონსულტაციო ფირმა "დამენია, ვარშალომიძე, ნოღაიდელი და ქავთარაძე"**

[illegible]

| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
|---|---|---|---|---|---|---|
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |

[illegible]

| [illegible] | [illegible] | [illegible] | % |
|---|---|---|---|
| [illegible] | 54,862 | 47,466 | 86.5% |
| [illegible] | [illegible] | 7,467 | 69.7% |
| [illegible] | 17,343 | 13,729 | [illegible] |
| [illegible] | 5,780 | 5,370 | [illegible] |
| [illegible] | 906 | 901 | [illegible] |
| [illegible] | 3,060 | 1,686 | [illegible] |
| [illegible] | 1,855 | 209 | [illegible] |
| [illegible] | 1,423 | 1,029 | [illegible] |
| [illegible] | 190 | 88 | [illegible] |
| [illegible] | 490 | 361 | [illegible] |
| [illegible] | 3,845 | 2,256 | [illegible] |
| [illegible] | 290 | 259 | [illegible] |
| [illegible] | 1,560 | 1,006 | [illegible] |
| [illegible] | 1,380 | 498 | [illegible] |
| [illegible] | 280 | 53 | [illegible] |
| [illegible] | 513 | 473 | [illegible] |

# სემეკ-მა ქუთაისს ერთიანი ენერგოსისტემიდან გამოყოფაზე უარი უთხრა

## დენის ტარიფი კი ისევ პოლიტიკური დაპირისპირების საგანია

ნინო ნარჩემაშვილი

*ელექტროენერგიის ძველი ტარიფის შენარჩუნების ხარჯზე ხალხის თვალში ქულების ჩაწერას ერთმანეთის მიყოლებით ცდილობენ როგორც პოლიტიკური ძალების, ისე სხვადასხვა სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლები. ამიტომ ფაქტი, რომ "ელექტროენერგიის ტარიფი უცვლელი დარჩება და მასში რაიმე ცვლილებების შეტანა არ მოხდება," უკვე რამდენიმე დღეა მთავარ ეკონომიკურ "ნიუსად ტრიალებს" საინფორმაციო საშუალებებში. ამასთან, "რაო ეეს როსიის" წარმომადგენლები აცხადებენ, რომ საუბარი 1 სექტემბრის შემდეგ ძველი ტარიფის შენარჩუნების შესახებ ნაადრევია.*



სემეკმა კვლავ ელექტროენერგიის ტარიფი განიხილა.

თავად ტარიფთან დაკავშირებული გადაწყვეტილება კი გუშინდელ სხდომაზე მიიღო ენერგეტიკის მარეგულირებელმა კომისიამ. ამით კომისიამ დააკმაყოფილა კომპანია "თელასის", "გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიისა" და კახეთის ენერგოდისტრიბუციის განაცხადები. ეს კი იმას მიშნავს, რომ მოხმარებული ელექტროენერგიის საფასური თბილისის მოსახლეობისათვის ერთ კილოვატსაათზე - 12,18, ხოლო რეგიონების მოსახლეობისათვის 8 თეთრი იქნება. მომსახურების განსხვავებული სისტემით ისარგებლებს აჭარის მოსახლეობა, სადაც შენარჩუნდება დიფერენცირებული ტარიფი 6,75-დან 7,5 თეთრამდე (დამატებითი ღირებულების გადასახადის გარეშე) და, ავტონომიური რესპუბლიკის წარმომადგენლის განცხადებით, მათ ამ ღონისძიების განხორციელების ტექნიკური საშუალებები გააჩნიათ.

"თელასის" გენერალური მენეჯერის დანგირას მიკალაიუნასის განცხადებით, მისი კომპანიის თხოვნა ტარიფების შენარჩუნების შესახებ განპირობებული იყო იმ მოტივებით, რომ "თელასს" არ ჰქონდა რეალური ეკონომიკური გათვლები, არ არის გაანგარიშებული 2002 წლის შედეგები და, რაც მთავარია, მხედველობაში იქნა მიღებული მოსახლეობის მძიმე სოციალური მდგომარეობა მათთვის ყველაზე რთულ, ზამთრის პერიოდში. კომპანიის გენერალური მენეჯერი დარწმუნებულია, რომ მიღებული გადაწყვეტილება რეალურად გაზრდის გადასახადების გადახდას. მისივე თქმით, "თელასი" მარეგულირებელ კომისიას ახალ განაცხადს 1 აპრილისათვის წარუდგენს, რომელშიც, რა თქმა უნდა, არ იქნება გათვალისწინებული ტარიფის გაზრდის ტენდენცია.

შეგახსენებთ, რომ სემეკ-ის მიერ მიღებულ საბოლოო გადაწყვეტილებას წინ უძღოდა სახელმწიფო მინისტრთან და ახალი მთავრობის სხვა წევრებთან ინტენსიური მოლაპარაკებები და კონსულტაციები, რომელთა შედეგიც პრეზიდენტის პრესმდივანმა გიორგი არველაძემ გაახმოვანა: **"ჩვენ შეგვიძლია ვახაროთ საქართველოს მოსახლეობას, რომ ტარიფის ზრდის კატასტროფული პროცესი საბოლოოდ შეჩერდა ..."** - აღნიშნა გიორგი არველაძემ.

ამ განცხადებამ ლეიბორისტების აღშფოთება გამოიწვია, რაც იმაში გამოიხატა, რომ შალვა ნათელაშვილის პარტიის აქტივისტი მალხაზ ვარდიძე სემეკ-ის სხდომის მიმდინარეობისას დარბაზში შეიჭრა და განაცხადა, რომ: **"ეს ახალი ხელისუფლების მორიგი პოლიტიკური ტყუილი გახლავთ და ელექტროენერგიის ტარიფის არგაზრდა მხოლოდ ლეიბორისტების დამსახურებაა. ლეიბორისტები 1 მაისამდე არ მოითმენენ და ყოველივეს წერტილს უფრო ადრე დაუსვამენ. ტარიფმა მირცხულავას მინისტრობის დროს მოიმატა და ამიტომ მისი პასუხისმგებლობის საკითხიც უნდა დაისვას."** ამის შემდეგ კი მან სხდომა ისევ დატოვა.

ენერგეტიკაში მომხმარებელთა უფლებების საზოგადოებრივმა დამცველმა დავით ებრალიძემ "თავისი წვლილი შეიტანა" სხდომის მუშაობაში და "არასწორი ინფორმაცია" უწოდა პრეზიდენტის პრესმდივნის გიორგი არველაძის გუშინდელ განცხადებას, თითქოს რუსული მხარე ტარიფის ძველი განაკვეთის დატოვებით ქართულ მხარესთან დათმობაზე წავიდა. **"ეს არ არის მომხმარებელთა გამარჯვება. მომავალში ტარიფი კიდევ დაიკლებს. ამაზე უკვე ვმუშაობთ და სულ მალე რეალური ტარიფის განაკვეთი დადგინდება,"** - აღნიშნა დავით ებრალიძემ.

თუმცა, გუშინვე რუსულმა საინფორმაციო საშუალებებმა გაავრცელეს კომპანია "რაო ეეს როსიის" პრესრელიზი, რომელშიც აღნიშნულია, რომ გავრცელებული ინფორმაცია 2004 წლის 1 აპრილის შემდეგაც ტარიფის უცვლელად დატოვების შესახებ სიმართლეს არ შეესაბამება. **"ქართული ოფიციალური პირების განცხადება ამის თაობაზე, მეტი რომ არ ვთქვათ, ნაადრევია. არავითარი ოფიციალური შეთანხმება აღნიშნულთან დაკავშირებით მიღწეული არ არის. მიმდინარეობს მუშაობა დენის ტარიფის გაანგარიშების მექანიზმზე და წინადადებები წარედგინება საქართველოს ეროვნულ მარეგულირებელ კომისიას,"** - აღნიშნულია განცხადებაში.

რაც შეეხება თავად სემეკ-ის სხდომის სხვა საკითხებს, სხდომაზე განიხილეს შპს "ახალი გართიანებული ენერგია - ქუთაისის" ელექტროგანაწილების ლიცენზიის განაცხადი, რაზეც ქუთაისის მერიას ცალსახად ეთქვა უარი. საქმე ის გახლავთ, რომ ქუთაისის მუნიციპალიტეტი საკუთარი შპს-ს შექმნას და "გაერთიანებული სადისტრიბუციო კომპანიის" დაქვემდებარებისაგან გამოყოფას მოითხოვს, რომლის მოტივადაც ქალაქში ელექტრომომარაგების გაუმჯობესებას ასახელებს. "გაერთიანებული სადისტრიბუციო კომპანიის" წარმომადგენლების განცხადებით, ასეთი ქმედება კანონსაწინააღმდეგოა (არღვევს საქართველოს კონსტიტუციის მესამე მუხლს). ენერგეტიკის სამინისტროს განცხადებით კი, ერთიანი სისტემიდან რომელიმე ობიექტის გამოყოფა ქვეყნის ენერგოსტრატეგიასა და ენერგოპოლიტიკას ეწინააღმდეგება. აღსანიშნავია, რომ ქუთაისის მერია არ ურიგდება შექმნილ წინააღმდეგობას და უკვე წამოიწყო საქმის სასამართლო წესით განხილვა. ასე რომ, საბოლოო სიტყვა სასამართლოს ეკუთვნის.

# სათბობ-ენერგეტიკის სამინისტრო ძველი ბლოკების ამოქმედებას გეგმავს

საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ გუშინ "თბილსრესისთვის" ელექტროენერგიის წარმოების ლიცენზიის მიცემა გადაწყვიტა. ცნობისათვის, "თბილსრესის" განკარგულებაში ამჟამად არსებული ენერგობლოკები მოძველებულია: ამ ბლოკებზე ელექტროენერგიის გამომუშავებისთვის იმდენად ბევრი სათბობი იხარჯება, რომ მათი ამოქმედების სურვილი არც ერთ უცხოელ ინვესტორს, მათ შორის, არც "რაო ეეს როსიის" არ გასჩენია. გარდა ამისა, ძველი ბლოკების კაპიტალური რემონტი დიდძალ თანხებს საჭიროებს. ამჟამად "თბილსრესი" ელექტროენერგიას მხოლოდ "რაო ეეს როსიის" კუთვნილი მეცხრე და მეათე 300-მეგავატიანი ენერგობლოკებით აწარმოებს. დანარჩენი ბლოკების ამოქმედებისათვის საჭირო ლიცენზიას კი ვადა "თბილსრესს" 2003 წლის 1 მაისს ამოეწურა.

*24 საათი*

# როგორ შევქმნათ უკეთესი საინვესტიციო გარემო?

*ქართული და უცხოური ინვესტიციების საერთო რაოდენობამ, გასულ წლებთან შედარებით, 2003 წელს ჩვენს ქვეყანაში მნიშვნელოვნად იკლო. არასტაბილური გარემოსა და არსებული კრიმინოგენული ვითარების გარდა, ბიზნესმენები საქართველოში ფულის დაბანდებას, ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების გამოც ერიდებოდნენ. ბიზნესმენთა და ექსპერტთა ერთი ნაწილი ვარაუდობს, რომ ქვეყანაში საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება მოსალოდნელია მხოლოდ ახალი საპარლამენტო არჩევნების ჩატარების შემდეგ, ანუ მაშინ, როცა საქართველოს ეკონომიკური სექტორის ტენდენციები და განვითარების კონკრეტული გეგმები აშკარად გამოიკვეთება.*

ეთერ მამულაშვილი

შეიძლება ითქვას, რომ უცხოელი ინვესტორების წინასწარი პროგნოზი, რომელიც საქართველოში ხელისუფლების რადიკალურ ცვლილებებს უკავშირდებოდა, გამართლდა. ხელისუფლების შესაძლო ცვლილებების გამო, ინვესტორთა ერთი ნაწილი წლის დასაწყისშიც თავს იკავებდა საქართველოს ეკონომიკაში თანხების ინვესტირებისგან. ამასთან, წლების განმავლობაში ქვეყანაში შექმნილი არასტაბილური ვითარება და ქვეყნის შერყეული იმიჯი, საქართველოში ფეხმოკიდებულ ინვესტორსაც ხშირად უკანმოუხედავად გააქცევდა ხოლმე.

სტატისტიკის დეპარტამენტის უკანასკნელი ცხრა თვის მონაცემებით, წელს საქართველოში, დაახლოებით, 280 მილიონი ლარის ოდენობის ინვესტიცია განხორციელდა. მათ შორის, ყველაზე ბევრი კავშირგაბმულობაში - 100 მილიონზე მეტი ლარი ჩაიდო, ხოლო ყველაზე ცოტა – 2 მილიონ 300 ათასი ლარი განათლების სექტორში. იანვრიდან სექტემბრის ჩათვლით ინვესტიციებმა ყველაზე მეტად თბილისის და აჭარის რეგიონები მოიცვა. უცხოური ბიზნეს-ჯგუფებიდან წელს განსაკუთრებულად აქტიურობდნენ თურქმენული, ჩინური, გერმანული და ინგლისური ბიზნეს-ჯგუფები. საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან 2003 წელს ყველაზე მეტი ინვესტიცია საქართველოში მსოფლიო ბანკმა განახორციელა.

არასრულყოფილი და მკაცრი საგადასახადო სისტემა, არაჯანსაღი კონკურენცია, ყოფილი ხელისუფლების მიერ ცალკეული ბიზნეს-ჯგუფების აშკარა ლობირება, კლანური ინტერესები, არასამართლებრივი გარემო, სხვადასხვა ადმინისტრაციული ბარიერები, და, რაც მთავარია, არაპროგნოზირებადი პოლიტიკური სიტუაცია – იყო ის მიზეზები, რის გამოც ცალკეული ბიზნესმენები საქართველოში გარკვეული თანხების ინვესტირებისაგან თავს იკავებდნენ.

რა უნდა გააკეთოს ახალმა ხელისუფლებამ უკეთესი საინვესტიციო გარემოს შესაქმნელად? რა რეფორმების გატარებაა საჭირო ამ კუთხით. ამ კითხვებით ჩვენ საქართველოში მოღვაწე, რამდენიმე ბიზნეს-ორგანიზაციას დავუკავშირდით და შევეცადეთ გაგვეგო, თუ როგორ რჩევებსა და რეკომენდაციებს აძლევენ ისინი ხელისუფლებას. იმ ხელისუფლებას, რომელიც პირობას დებს, რომ უახლოესი ოთხი წლის განმავლობაში მისთვის ერთ-ერთი პრიორიტეტი ბიზნესისა და ინვესტორების ხელშეწყობა იქნება.

**გივი კორინთელი – საპროექტო-სამშენებლო კომპანია "აქსისის" ფინანსური მენეჯერი** "ძალიან რთულია ამ გარდამავალ პერიოდში რაიმე კონკრეტული რეკომენდაციებისა თუ რჩევების მიცემა. იქიდან გამომდინარე, რომ ეკონომიკა და პოლიტიკა ერთმანეთთან მკვეთრად ინტეგრირებული სფეროებია, ამ უკანასკნელის ძირითადი კურსის საბოლოო ჩამოყალიბების გარეშე რთული იქნება ჯანსაღი საინვესტიციო გარემოს შესაქმნელად აუცილებლად გადასადგმელ ნაბიჯებზე ლაპარაკი. მასთან ერთად განსასაზღვრია ისიც, რომ რომელიმე ერთ-ერთი კომპონენტის ცვლილება მთლიანობაში საინვესტიციო გარემოს და მასზე უცხოელი ინვესტორების წარმოდგენას არ შეცვლის (მაგალითად, მხოლოდ კანონის მუხლების დამატება ან მათი ცვლილება და ა.შ.) ჩემი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანია ადგილობრივი მეწარმეებისათვის ჯანსაღი, თანაბარი და სწორი კონკურენტული პირობების ჩამოყალიბება სწორად განსაზღვრული საგადასახადო თუ სამართლებრივი გარემოს პირობებში.

ეს საშუალებას მისცემს ეკონომიკის ყველა სუბიექტს, იმოქმედოს პირდაპირი ინვესტიციების მოსაპოვებლად, რაც, საბოლოო ჯამში, ჯანსაღი საინვესტიციო გარემოს ჩამოყალიბებაში დაეხმარება ქვეყანას".

**ზეზვა ცისკარიშვილი – "თი-ბი-სი ბანკის" ვიცე-პრეზიდენტი**

"ქვეყნის საინვესტიციო გარემოს რამდენიმე ძირითადი ფაქტორი განსაზღვრავს, მათ შორის - ქვეყნის მაკროეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილურობის მაჩვენებელი, ეროვნული ვალუტის სიმყარე, საგადასახადო ადმინისტრირების ხარისხი და ა.შ.

რაც შეეხება საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების შესაძლებლობებს, ამ კუთხით, ვფიქრობ, უმთავრესია მაკროეკონომიკური სტაბილურობისა და ლარის კურსის სტაბილურობის უზრუნველყოფა, იმის მიუხედავად, რა სახის პოლიტიკური პროცესებიც არ უნდა განვითარდეს საქართველოში. ასევე ჩვენი ხელისუფლების გადაუდებელი ამოცანა უნდა იყოს საგადასახადო ადმინისტრირების გაუმჯობესება".

**ალექსანდრე ტუღუში – სადაზღვევო კომპანია "იმედი L"-ის მარკეტინგის მენეჯერი**

"ხელისუფლებამ მაქსიმალურად ხელი უნდა შეუწყოს ნორმალური კონკურენტული გარემოს შექმნას. ის ფინანსური ოლიგარქები და კლანური ინტერესები, რომელიც წლების განმავლობაში იქმნებოდა ჩვენს ქვეყანაში და განსაკუთრებით უხვად იყო ბიზნესის სფეროში, როგორმე უნდა მოიშალოს. ახალმა ხელისუფლებამ არ უნდა გაიმეოროს ძველის შეცდომები, როცა ამა თუ იმ ბიზნესმენს საჯაროდ თუ ფარულად მფარველობდნენ. სერიოზული ცვლილებებია გასატარებელი საკანონმდებლო დონეზე, მათ შორის, საგადასახადო კოდექსში".

**თორნიკე აბულაძე – არქიტექტურული კომპანია "არსის" გენერალური დირექტორი**

"უკეთესი საინვესტიციო გარემოს შესაქმნელად საჭიროა მთელი რიგი ბიუროკრატიული პრობლემების მოხსნა. წარმოებისა და მშენებლობის მაქსიმალური ხელშეწყობა, მოქმედი საგადასახადო კოდექსის გამარტივება. დამატებითი ღირებულების გადასახადის კოეფიციენტის შემცირება (ჩვენთან ეს 20 პროცენტია, ხოლო ეკონომიკურად ყველაზე ძლიერ ევროპულ სახელმწიფოში გერმანიაში – 16 პროცენტი). საჭიროა სახელმწიფო მოხელეების, განსაკუთრებით, მოსამართლეთა მკაცრი კონტროლი, რადგან ძალიან ბევრი ინვესტორი საქართველოდან გაიქცა სწორედ არასამართლიანი სასამართლო გადაწყვეტილების გამო".

***"24 საათი" ამ თემაზე მუშაობას განაგრძობს. ბიზნესის წარმომადგენელთა და ეკონომიკურ ექსპერტთა მოსაზრებებს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მომავალშიც შემოგთავაზებთ.***

*ორი სიტყვით*

**თბილისი.** გერმანიის საგარეო საქმეთა ფედერალური სამინისტრო საქართველოში არჩევნების ჩასატარებლად ფინანსურ დახმარებას გამოყოფს 750 ათასი ევროს ოდენობით. როგორც "პრაიმ-ნიუსისათვის" საქართველოში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საელჩოს მიერ მიწოდებულ განცხადებაშია ნათქვამი, დაფინანსდება საარჩევნო ადმინისტრაცია და ამომრჩეველთა განათლება, ამასთან, შესაძლებელი ხდება 40-მდე გერმანელი დამკვირვებლის, როგორც ეუთო-ს არჩევნებზე დაკვირვების საერთაშორისო მისიის ნაწილის გამოგზავნა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე ეროვნული ვალუტის კურსი აშშ დოლართან მიმართებაში 0,01 ნიშნულით შემცირდა და 2,18 ლარით განისაზღვრა. შუადღისათვის დოლარის შესყიდვის კურსი - 2,18, ხოლო გაყიდვის 2,19 ლარზე დაფიქსირდა. 4 დეკემბრიდან უცხოური ვალუტის მიმართ დადგენილია ლარის შემდეგი კურსი: 1 ევრო - 2,6341 ლარი; 1 რუსული რუბლი - 0,0734 ლარი, 1 ინგლისური გირვანქა სტერლინგი - 3,7668 ლარი. **24 საათი**

■ ■ ■

**თბილისი.** ბათუმთან სარკინიგზო სამგზავრო მიმოსვლა უახლოეს დღეებში აღდგება. შპს "საქართველოს რკინიგზის" გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის რამაზ გიორგაძის ცნობით, ამ საკითხზე აჭარის ხელისუფლებასთან ამჟამად აქტიური მოლაპარაკებები მიმდინარეობს. შეგახსენებთ, რომ საქართველოში მომხდარი "ხავერდოვანი რევოლუციის" შემდეგ თბილისი-ბათუმის მიმართულებით სამგზავრო მიმოსვლა შეჩერდა რეგიონში აჭარის მეთაურის ასლან აბაშიძის ბრძანებულებით შემოღებული საგანგებო მდგომარეობის გამო. რაც შეეხება რკინიგზით ტვირთის გადაზიდვას, ეს პროცესი არ შეწყვეტილა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ გუშინ დადებითად გადაწყვიტა საკითხი, რომელიც "თბილსრესისთვის" ელექტროენერგიის წარმოების ლიცენზიის მიცემას შეეხებოდა. ამჟამად "თბილსრესი" ელექტროენერგიას ახალი ბლოკების მეშვეობით აწარმოებს, რაზეც მას შესაბამისი ლიცენზია აქვს. ამჯერად საუბარი იყო "თბილსრესის" ძველი რვა ბლოკის ამუშავებაზე და ამისათვის საჭირო ლიცენზიის მიღებაზე. წინა ლიცენზიის ვადა "თბილსრესს" წლეულს, 1 მაისს ამოეწურა, მაგრამ ზაფხულის პერიოდში ძველი ბლოკების ამოქმედების საჭიროება არ ყოფილა. ზამთრის პერიოდში "თბილსრესს" ელექტროენერგიის წარმოების უფლება ყველა ბლოკით ექნება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "თბილგაზის" ახალი მენეჯერები მოსახლეობას მოხმარებული ბუნებრივი აირის ღირებულების დროულ დაფარვას სთხოვენ. "წინააღმდეგ შემთხვევაში შეიქმნება გარკვეული პრობლემები გენერალური მომწოდებლისთვის – "გაზექსპორტის" მიმართ გაზის ღირებულების სრული დაფარვისას," – აცხადებენ "თბილგაზში" და ურჩ გადამხდელთა მიმართ მკაცრი სადამსჯელო ღონისძიებების გატარებას, კერძოდ კი, მათ გამორთვას არ გამორიცხავენ. გაზმომარაგების გარეშე დარჩენის საშიშროება ემუქრებათ: სამგორის რაიონის მესამე მასივის პირველი კვარტლის მე-3, მე-4, მე-6, მე-10, მე-11, "გ" და "დ" კორპუსებს; ზემო პლატოს "ა", "ბ", მე-7, მე-8, მე-9, მე-10, მე-11, მე-13, მე-14, მე-16, 24-ე, 25-ე, 26-ე, 35-ე და 47-ე კორპუსებს; ქინძმარაულის მეორე შესახვევის მე-4, მე-6 ა, მე-8 და მე-12 კორპუსებს. ისნის რაიონის საექიმოს მე-2 და მე-4 კორპუსებს; ბოგდან ხმელნიცკის 44-ა - პირველ, მეორე, მესამე კორპუსებს და 48 - 4-ა, 4-ბ, 2-ა, 2-ბ, 3-ა, 3-ბ, 3-ვ და 3-გ, 8 და 9 კორპუსებს; წურწუმიას ქუჩა მე-8 ლეგიონი; კახეთის გზატკეცილის 36-ა, 36-ვ, 34, 34-ა, 44 და 38-ა კორპუსებს. **"თბილგაზის" პრესცენტრი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს საპრეზიდენტო არჩევნების ჩასატარებლად დიდი ბრიტანეთის მთავრობამ 500 ათასი ფუნტი სტერლინგი გამოყო. დღეს ამის შესახებ ოფიციალური ინფორმაცია გაავრცელა საქართველოში დიდი ბრიტანეთის საელჩომ. საელჩოს ცნობით, გამოყოფილი თანხის ნაწილი 4 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნებზე ბრიტანელი დამკვირვებლების საქართველოში გამოგზავნას მოხმარდება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისში დღეს დილით ჩამოსულმა მსოფლიო ბანკის სამხრეთ კავკასიის განყოფილების დირექტორმა დონა დოუსედ კოიროლომ პირველი შეხვედრა საქართველოს ახლად დანიშნულ ფინანსთა მინისტრთან ზურაბ ნოღაიდელთან გამართა. შეხვედრაზე სამოქმედო გეგმის გრძელვადიანი სტრატეგია დაისახა და მხარეებმა მსოფლიო ბანკის მიერ საქართველოში დაფინანსებული პროექტების მიმდინარეობის შესახებ იმსჯელეს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველო გაერო-ს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციასთან (FAO) თანამშრომლობას აფართოებს. საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრმა დავით კირვალიძემ განაცხადა, რომ მიღწეულია შეთანხმება, რომლის მიხედვითაც, 2004 წელს FAO საქართველოს ტერიტორიაზე სამ ახალ პროექტს განახორციელებს. პროექტები მოიცავს სუბტროპიკულ კულტურებს, მეცხოველეობას და ითვალისწინებს ფერმერებისათვის საკონსულტაციო ცენტრების შექმნას. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ვაშინგტონის ოფისის ენერგეტიკისა და ინფრასტრუქტურის განყოფილების დირექტორის მოადგილე ბობ არჩელი საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარეს დავით მირცხულავას შეხვდა. შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა ენერგეტიკის დარგში მოქმედი მარეგულირებელი ორგანოს დამოუკიდებელი გაძლიერების აუცილებლობასა და მის მნიშვნელოვან როლზე საქართველოს ენერგეტიკის გაჯანსაღებისა და სამომავლოდ ინვესტორების მოზიდვის კუთხით. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ხოშარაულის ქუჩა N24-ში ს/ს "კონცენტრატის" თანამშრომლები ამ დროისთვის შენობის ჩამორთმევის საშიშროების წინაშე არიან. როგორც "ინტერ-პრესს" ს/ს "კონცენტრატის" დირექტორმა ტარიელ ბოჭორიშვილმა განუცხადა, სააქციო საზოგადოებას "თბილუნივერსალბანკის" მიმართ 50 ათასი დოლარის ოდენობის დავალიანება გააჩნია. ბოჭორიშვილის თქმით, მათ ბანკის წარმომადგენლობას სთხოვეს, რომ ორი თვის განმავლობაში დაფარავდნენ დავალიანებას და ისედაც მძიმე სოციალურ პირობებში მყოფ სააქციო საზოგადოების ათეულობით თანამშრომელს ნუ დატოვებდნენ საარსებო წყაროს გარეშე. ს/ს "კონცენტრატი" მდოგვის, ჯემების და სხვა სახის პროდუქციის დამზადებით არის დაკავებული. **ინტერ-პრესი**

# ეუთო წინააღმდეგობას იწყებს

პირველი გვერდიდან

როდესაც მოსკოვმა მოულოდნელად შეწყვიტა ეუთო-ს მისიების მუშაობა ინგუშეთსა და ჩეჩნეთში, ამას არავითარი წინააღმდეგობა არ შეხვედრია. და თუმცა სტამბოლში რუსეთი დათანხმდა საქართველოში ორი სამხედრო ბაზის დახურვას და კიდევ ორის დახურვის გრაფიკის წარდგენას, ოთხი წლის შემდეგაც კვლავ გააჩნია სამი ბაზა საქართველოში და აშკარად აცხადებს, რომ კიდევ ათი წლით დარჩენას აპირებს.

კიდევ ერთი, შარშანდელმა სამიტმა წარმოშვა კითხვა: ხომ არ გახდა ეუთო კრემლის შვილობილი საწარმო. საბედნიეროდ, ამ წლის შეხვედრა სულ სხვა სცენარით წარიმართა, რაც, უმთავრესად, აშშ-ს ენერგიულმა მონაწილეობამ განაპირობა. აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტმა, თუმცა დაგვიანებით, მაგრამ მაინც გაიღვიძა და გააცნობიერა, რომ მხარდაჭერით, რომელსაც რუსეთი სსრკ-ს ორ ყოფილ რესპუბლიკაში სეპარატისტებს უწევს, ძირს უთხრის სტაბილურობას, დემოკრატიაზე რომ აღარაფერი ვთქვათ.

ორდღიან შეხვედრაზე ყველაზე დიდი დრო დაეთმო დისკუსიებს საქართველოს შესახებ, სადაც ამერიკა მხარს უჭერს საბჭოთა ეპოქის ლიდერის ედუარდ შევარდნაძისგან ხელისუფლების მშვიდობიანად გადაცემას ახალგაზრდა ოპოზიციური ჯგუფისათვის, რომელსაც სათავეში ქარიზმატული ლიდერი მიხეილ სააკაშვილი უდგას. თავის მიმართვაში აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა კოლინ პაუელმა ეუთო-ს მოუწოდა, სასწრაფოდ იქნას გაყვანილი რუსეთის ჯარები საქართველოდან და დაჟინებით მოითხოვა, რომ საქართველოს მომავალი რუსეთის ჩარევებისაგან სრულიად თავისუფალი უნდა იყოს.

**"არ შეიძლება მხარდაჭერა გაეწიოს ისეთ გამხლეჩავ ელემენტებს, რომლებიც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის შესუსტებას ცდილობენ,"** - ხაზგასმით აღნიშნა პაუელმა. ამან რუსეთი – ერთადერთი ქვეყანა 55 მონაწილეთაგან, აიძულა დაებლოკა კონფერენციის განცხადება, სადაც ნათქვამია, რომ რუსეთმა ოთხი წლის წინ ნაკისრი ვალდებულებები უნდა შეასრულოს.

რუსეთი ადუღებულია იმასთან დაკავშირებით, რომ დასავლეთი მის საქმეებში ერევა (რუსეთის ბევრ წარმომადგენელს მხედველობიდან გამორჩენილი აქვს ის ფაქტი, რომ ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები მას უკვე აღარ ეკუთვნიან და მართლაც ყოფილები არიან). ამერიკისგან და ეუთო-ს რამდენიმე ევროპელი წევრი-სახელმწიფოსაგან წაქეზებულმა მოლდოვას პრეზიდენტმა ვლადიმირ ვორონინმა არ მიიღო კრემლის უკანასკნელი წინადადება, რომლის თანახმად დნესტრისპირეთში ოკუპაცია და სეპარატიზმი ლეგიტიმური უნდა გამხდარიყო.

რუსულ გეგმაში რეგიონს პირდაპირ "მოლდოვა-დნესტრისპირეთის" რესპუბლიკა ეწოდება. კვირას ამ გეგმის წინააღმდეგ კიშინოვის ქუჩებში 30 ათასზე მეტი მოლდოველი გამოვიდა.

წინააღმდეგობის გაწევა რუსული ობსტრუქციონიზმისათვის ან მისი შეწყვეტა – ერთი და იგივე არ არის. შეწყვეტისათვის აუცილებელია უფრო ენერგიული და თანმიმდევრული პოლიტიკის გატარება მოლდოვას და საქართველოს სუვერენიტეტის მხარდასაჭერად. უნდა ვიმედოვნოთ, რომ ეს მხოლოდ დასაწყისი იქნება.

მაასტრიხტში ეუთო-ს სამიტი უკმაყოფილო ატმოსფეროთი დასრულდა. და ჩვენ ვიტყოდით, რომ - ძალიანაც კარგი.

## ორი სიტყვით

**პაკისტანი.** ქალაქ ყარაჩიში ნავთობკომპანია "შელის" ბენზინგასამართ სადგურზე მძლავრი აფეთქება მოხდა. მოულოდნელად აფეთქდა ავტომანქანა, რომელშიც ოთხი ადგილობრივი მცხოვრები იჯდა. დაწყებულია გამოძიება. ხელისუფლება ტერაქტის ვერსიას არ გამორიცხავს.

■ ■ ■

**ავღანეთი.** ავღანელმა პოლიციელმა მანქანას, რომელშიც ამერიკელი სამხედრო მოსამსახურეები ისხდნენ, ხელყუმბარა ესროლა. ინციდენტი ქალაქ ყანდაჰარის მთავარ მოედანზე მოხდა, რის შედეგადაც ერთი ამერიკელი ჯარისკაცი მძიმედ დაიჭრა.

# რუსეთის დუმის არჩევნებში გამარჯვებული უკვე ცნობილია

პირველი გვერდიდან


ვლადიმირ პუტინი


გენადი ზიუგანოვი

ამდენად, პოსტსაბჭოურ სივრცეში გამართულმა ნებისმიერმა არჩევნებმა გადამწყვეტი მნიშვნელობა შეიძლება შეასრულოს. მით უფრო, როცა საქმე ეხება ამ სივრცის ლიდერ ქვეყანას, რუსეთს, რადგან ნებისმიერი ცვლილება რუსეთში ლოგიკურად ახდენს გავლენას მეზობელ ქვეყნებზე. სხვაგვარად რომ ვთქვათ, რუსეთის დემოკრატიისაკენ შემობრუნება გადამდებ ეფექტს იქონიებდა პოსტსაბჭოურ ქვეყნებზე. სამწუხაროდ, პროცესების მსვლელობა მიგვანიშნებს, რომ დადებით ცვლილებებს რუსეთში ამჯერად არ უნდა ველოდოთ. რუსეთის არჩევნები პოსტსაბჭოური სცენარით განვითარდება.

რუსეთის პარლამენტის ქვედა პალატაში 450 ადგილია. ამ ადგილებს ერთმანეთს 23 ბლოკი და პარტია ეცილება. მანდატების ნახევარი პროპორციული საარჩევნო სისტემით, ხოლო ნახევარი - მაჟორიტარული წესით აირჩევა. არჩევნებში წარმატების შანსი კი, ბოლო გამოკითხვებით, ხუთ პარტიას აქვს. ესენია სახელისუფლო გაერთიანება "ერთიანი რუსეთი", რომელსაც სათავეში რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრი ბორის გრიზლოვი უდგას. ასევე, გენადი ზიუგანოვის "რუსეთის კომუნისტური პარტია", ვლადიმირ ჟირინოვსკის "ლიბერალურ-დემოკრატიული პარტია", გრიგორი იავლინსკის ბლოკი "იაბლოკო" და "მემარჯვენე ძალთა გაერთიანება", სადაც რეფორმატორებად ცნობილი ეგორ გაიდარი, ანატოლი ჩუბაისი და ბორის ნემცოვი არიან გაერთიანებულნი. მემარჯვენეებმა და "იაბლოკომ", შეიძლება, ხუთპროცენტიანი ბარიერი ვერ გადალახონ, თუმცა, როგორც ამბობენ, ასეთ დროს ამოქმედდება ყბადაღებული "სახელისუფლო ბერკეტი" და ამ პარტიების ბედი "შესაბამისი გარიგებით" გადაწყდება. ესეც კიდევ ერთი პარალელი პოსტსაბჭოურ რეალობასთან.

თავად ის ფაქტი, რომ "სახელისუფლო პარტიას" წარმატებას უწინასწარმეტყველებენ, მოულოდნელი არავისთვის ყოფილა. პოსტსაბჭოური ტიპის ნახევრადდემოკრატიებში არ არსებობს კლასიკური ტიპის "მმართველი პარტია", ანუ პოლიტიკური გუნდი, რომელიც არჩევნების შემდეგ ხელისუფლებას და, მასთან ერთად, პასუხისმგებლობას იბარებს. პოსტსაბჭოური ტიპის სახელისუფლო ძალები, როგორც წესი, სხვადასხვა შეხედულებებისა და ინტერესების მქონე ძალების გაერთიანებაა, რომლის მთავარ დუღაბსაც მმართველ ელიტასთან ახლოს დგომით ხეირის მიღება წარმოადგენს. მათი მთავარი რესურსი არა საარჩევნო პროგრამა ან იდეოლოგიაა, არამედ ხელისუფლების სათავეში მყოფი ლიდერი. ასევეა "ერთიანი რუსეთის" შემთხვევაშიც. ეს არის გაერთიანება პუტინის ირგვლივ. როგორც "ფაინენშელ ტაიმს დოიჩლანდი" წერს, გაერთიანებისათვის პუტინის სიტყვა პროგრამაცაა და ბრძანებაც. გაერთიანების რეიტინგი პუტინის პოპულარობაზეა ჩამოკიდებული. პარტიის მხარესაა ასევე ე.წ. "სახელისუფლო რესურსი". 30 გუბერნატორი პარტიის წევრია, 90 რეგიონიდან პარტია, სავარაუდოდ, 75 რეგიონში მოიგებს, რითაც მაჟორიტარების აბსოლუტურ უმრავლესობასაც თავად გაიყვანს. ბლოკის მხარესაა კრემლის რესურსებიც. მთელი სახელმწიფო აპარატი ჩართულია საარჩევნო კამპანიაში. კრემლს უმთავრეს კონკურენტად კომუნისტური პარტია მიაჩნია და მისთვის ამომრჩევლების წართმევას ყველა ხერხით ცდილობს. შეიქმნა ტაქტიკური ხასიათის გაერთიანებები, მაგალითად - "სამშობლო", რომელმაც თავისი ლოზუნგებით ხმების რამდენიმე პროცენტი უნდა ჩამოაჭრას კომუნისტებს. სხვათა შორის, ბლოკმა "სამშობლომ" პარლამენტში გასვლაც კი შეიძლება მოახერხოს.

კრემლის მიერ რუსი ოლიგარქების დევნის დაწყების შემდეგ, კომუნისტები ბრძოლას საკუთარ მოედანზეც აგებენ. პოპულისტურ იდეებში მათ ახლა კრემლი ეცილება. აღსანიშნავია, რომ რუსეთის მოსახლეობის ფართო ფენებში, სოციალური პრობლემების სიმწვავის გამო, ისევ ძლიერია მდიდარი ადამიანების მიმართ სიძულვილი. ამაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ "იუკოსის" შეფის, მიხაილ ხოდორკოვსკის დაპატიმრებას ზევრი ადამიანი, როგორც სამართლიანობის გამოვლინებას, მიესალმა და სულაც არ დაიწყო ამ ფაქტს მიღმა პოლიტიკური სარჩულის ძებნა. შესაბამისად, პოლიტიკური პარტიების უმრავლესობამ, ხმების დაკარგვის შიშით, არ დაიწყო ხოდორკოვსკის დაცვა. ეს მისია მხოლოდ მემარჯვენე ძალთა გაერთიანებამ იტვირთა, სადაც სხვა ცნობილი ოლიგარქი - ანატოლი ჩუბაისია გაერთიანებული. რთული დილემის წინაშე აღმოჩნდა გრიგორი იავლინსკი. მისი პარტიის ლიბერალური პრინციპებიდან გამომდინარე, პარტიას, წესით, ხოდორკოვსკი უნდა დაეცვა, მაგრამ იავლინსკის ახლა ხმების პრობლემა უფრო აწუხებს, ვიდრე ლიბერალიზმის ერთგულება.

დილემის წინაშე აღმოჩნდა კომუნისტური პარტიაც. პუტინის ხელისუფლებაში მოსვლამდე ზიუგანოვი ეფექტურად იყენებდა უკმაყოფილო ელექტორატს და სოციალური იდეების სეგმენტი, ფაქტობრივად, ცალსახად ჰქონდა დაკავებული. პუტინმა კი ელცინის რომანტიკულ-ქაოსურ დემოკრატიას წერტილი დაუსვა და ნახევრადავტორიტარული სისტემა შექმნა. ამით მან კომუნისტებისათვის ელექტორატის თანმიმდევრული წართმევა დაიწყო. პუტინის ხელისუფლება ასოცირდება წესრიგთან, რკინის ხელთან, რაც რუსეთის პოლიტიკურ კულტურაში ისევ რჩება მნიშვნელოვან ფასეულობად. "ერთიანი რუსეთის" რიგებში გაერთიანდნენ ყოფილი კომუნისტები და ნაციონალები, რომელთა გამოსვლებმაც მოსახლეობა პროლეტარული და ნაციონალურ-შოვინისტური იდეებით უნდა მოხიბლოს. ასეთ ფონზე კრემლი ეფექტურად იყენებს ძებნილი ოლიგარქის, ბორის ბერეზოვსკის მიერ კომუნისტების საარჩევნო კამპანიის დაფინანსების ფაქტს. "ადამიანი, რომელმაც ხალხის ქონება მიითვისა, აფინანსებს მათ, ვისაც, თითქოსდა ხალხის ბედი აღელვებთ," - ასეთია კრემლის ოფიციალური საინფორმაციო საშუალებების ძირითადი პათოსი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დამოუკიდებელი მასმედია რუსეთში, უკვე დიდი ხანია, არ არსებობს.

კრემლი არანაირ პრობლემებს არ უქმნის ვლადიმირ ჟირინოვსკის პარტიას. საქმე ისაა, რომ ამ პარტიამ თავისი რეალური სახე და ფუნქცია, კარგა ხანია, აჩვენა. სხვათა შორის, ამ ტიპის ლიდერისა და პარტიის არსებობაც საერთო პოსტსაბჭოურ მოვლენად შეიძლება შევაფასოთ. ჟირინოვსკი "ოპოზიციონერია" და ნაციონალისტურ-შოვინისტური და სხვა პოპულისტური იდეებით ინარჩუნებს პოპულარობას. თუმცა, ყველა კრიტიკულ მომენტში იგი ხელისუფლების მხარეს იკავებს, ანუ მისი ოპოზიციონერობა მხოლოდ მოჩვენებითია და კრემლთან თანამშრომლობას ეფექტურად ნიღბავს. როგორც ჩანს, ამ თანამშრომლობით ორივე მხარე კმაყოფილია.

არსებული პოლიტიკური ვითარების ფონზე, რუსეთის დუმის არჩევნები ახალ ცვლილებებს არ გვთავაზობს. ეს არჩევნები მხოლოდ კიდევ ერთხელ დაადასტურებს ქვეყანაში დემოკრატიული ინსტიტუტების მარტოოდენ ფორმალურ არსებობას.



## გარემოსდაცვითი საველე ოფიცერი

კომპანია "ბი-პი"-ს მილსადენების პროექტების ფარგლებში და "ბი-პი"-ს უშუალო ხელმძღვანელობით, შპს "IRA" კონკურსზე იწვევს სათანადოდ კვალიფიციურ პირებს **გარემოსდაცვითი საველე ოფიცრის** თანამდებობის დასაკავებლად.

სამუშაოს აღწერა:

გარემოსდაცვითი საველე ოფიცრის მოვალეობას შეადგენს უზრუნველყოს, რომ საველე ობიექტზე სამშენებლო საქმიანობის დროს დაცული იყოს კონტრაქტის გარემოს დაცვასთან დაკავშირებული პირობები, "ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის" (ESIA) პირობები და პროექტის უმთავრესი ფასეულობები. მას ურთიერთობა ექნება პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების ჯგუფთან. მშენებლობის კონტრაქტთან, ობიექტის ხელმძღვანელ პირებთან და პროექტის ჯგუფის წარმომადგენლებთან, საველე არქეოლოგებსა და დასავლეთის მარშრუტის საექსპორტო მილსადენის (WREP) გარემოსდაცვით ინსტრუქტორებთან. გარემოსდაცვითი საველე ოფიცერი ანგარიშვალდებულია მილსადენის პროექტის საველე წარმომადგენლის წინაშე ("პირდაპირი ანგარიში") და გარემოსდაცვითი და სოციალური სფეროს საველე ზედამხედველის წინაშე ("ფუნქციონალური ანგარიში"). გარემოსდაცვითი საველე ოფიცრის სამუშაო მოითხოვს ველზე ყოფნას და სამშენებლო ბანაკებში ცხოვრებას შედარებით ხანგრძლივი პერიოდებით.

**მოვალეობები და პასუხისმგებლობები:**

გარემოსდაცვითი საველე ოფიცრის მოვალეობებს შეადგენს (არ შემოიფარგლება რა ამით):

ზედამხედველობის განხორციელება საველე გარემოსდაცვით საქმიანობაზე;

კონტრაქტორის საველე საქმიანობის მონიტორინგი და კონტროლი გარემოსდაცვითი კუთხით, კონტრაქტის მოთხოვნების და ESIA-ს ანგარიშში ასახული ვალდებულებების დაცვის თვალსაზრისით;

გარემოსდაცვითი აუდიტის პროგრამების შესრულება, გარემოსდაცვითი და სოციალური სფეროს საველე ზედამხედველის ინსტრუქციების შესაბამისად;

მონაწილეობა გარემოსდაცვითი და სოციალური სფეროს საველე ზედამხედველის მიერ შემუშავებული ტრენინგების პროგრამაში;

სამუშაო პროგრამის შედგენა ისე, რომ ის მაქსიმალურად მოიცავდეს კონტრაქტორის საქმიანობის ყველა სფეროს;

გარემოსდაცვითი და სოციალური სფეროს საველე ზედამხედველისთვის რეგულარული ანგარიშის მიწოდება გარემოს დაცვის სფეროს მოთხოვნების დაცვის მხრივ შექმნილი მდგომარეობის შესახებ და მნიშვნელოვანი საკითხების დაუყოვნებლივ მოხსენება;

პროექტის ESIA-ს ანგარიშის მიხედვით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, როგორიცაა, მაგალითად, წინასამშენებლო დათვალიერება, მონიტორინგის და ანგარიშგების პროგრამა;

გარემოსდაცვითი და სოციალური სფეროს საველე ზედამხედველის ინფორმირება "შეუსრულებლობის" შემთხვევაში, შესაბამისი გაფრთხილებების გაცემა კონტრაქტორის მისამართით;

მილსადენის მარშრუტის კონკრეტულ მონაკვეთზე წარმოქმნილი ლოკალური საკითხების მოსაგვარებლად მითითებების გაცემა;

სამუშაოს წინმსწრები საინსტრუქტაჟო საუბრების გამართვა კონტრაქტორთან, კონკრეტულ გარემოსდაცვით საკითხებზე.

**მოთხოვნები:**

გარემოსდაცვით სფეროში მუშაობის მინიმუმ სამი წლის გამოცდილება. სასურველია ობიექტზე მუშაობის გამოცდილება მილსადენის პროექტის ფარგლებში;

შესაფერისი სამეცნიერო ან ტექნიკური დიპლომი;

პროგრამების - MS Word, Excel, PowerPoint, Exchange, MS Outlook - კარგად ფლობა;

- კომუნიკაციისა და ადამიანებთან ურთიერთობის დადებითი უნარი;
- კონტრაქტორის პერსონალთან მუშაობის სურვილი და შესაძლებლობა და თვითდაჯერებულობის ისეთი უნარი, რომელიც კონტრაქტორის საველე საქმიანობაზე ზეგავლენას უზრუნველყოფს;
- მოწესრიგებული, პრაქტიკული და პრაგმატული;
- კარგი თანამოსაუბრე, გუნდური სულისკვეთების, თვითმოტივირებული, ტაქტიანი და ავტორიტეტული.

**განაცხადის შემოტანის წესი / დამატებითი ინფორმაცია**

თუ თვლით, რომ გაგაჩნიათ საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება ზემოთ აღწერილი თანამდებობის დასაკავებლად, გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი Curriculum Vitae ქვემოთ მითითებულ მისამართზე და შეავსოთ შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელსაც იქვე მიიღებთ. განაცხადების მიღების საბოლოო ვადაა 2003 წლის 17 დეკემბერი, ოთხშაბათი, საღამოს 18.00 საათი.

კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე.

ყველა მიღებული განაცხადი განიხილება, რაც არ გულისხმობს იმას, რომ ყველა კანდიდატი გაივლის გასაუბრებას და მიიღებს სამუშაოს შემოთავაზებას.

**კადრების დეპარტამენტი**
**AGT მილსადენების პროექტი**
**საქართველო, თბილისი, საბურთალოს ქუჩა N38**



# ბერლუსკონი პოზიციებს ახალი კანონით იმაგრებს


სილვიო ბერლუსკონი ახალი კანონით კმაყოფილია.

REUTERS

იტალიის საკანონმდებლო ორგანომ მასობრივი საინფორმაციო საშუალებების შესახებ ახალი კანონპროექტი მიიღო. დამკვირვებელთა და ექსპერტთა შეფასებებით კანონი მრავალ წინააღმდეგობას შეიცავს, რაც, საბოლოო ჯამში, იტალიაში სიტყვის თავისუფლებას და პლურალიზმს საგრძნობლად ზღუდავს.

იტალიის ოპოზიციის წარმომადგენლები ცალსახად აცხადებენ, რომ ახალი კანონი პრემიერ-მინისტრის და მედია-მაგნატის სილვიო ბერლსუკონის ინტერესების შესაბამისად იქნა მიღებული, რაც მას სრულ შესაძლებლობას აძლევს, კვლავინდებურად დომინირებდეს იტალიის სამაუწყებლო სფეროში.

კანონი ბერლუსკონის ასევე უქმნის იმის პირობებს, რომ არ იქნას შესრულებული რამდენიმე ხნის წინ სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი, რომლის თანახმადაც ბერლუსკონიმ მისი კუთვნილი სამი ტელეარხიდან ერთ-ერთი უნდა გაყიდოს.

იტალიის მთავრობა კი თვლის, რომ ახალი კანონი იმისათვის არის საჭირო, რათა იტალიურმა მედია-კომპანიებმა საერთაშორისო კონკურენციას გაუძლონ. კანონი ასევე ხელს უწყობს მედია-ბაზარზე ახალი ციფრული არხების გაჩენას. თუმცა, ოპოზიცია ამ პერსპექტივით დიდად ვერ იხიბლება. მათ ბერლუსკონის გაძლიერება უფრო აწუხებთ.

სწორედ ამიტომ, იტალიური ოპოზიციური პარტიები ამ ახალი კანონის წინააღმდეგ საპროტესტო აქციების გამართვას აპირებენ. ამასთანავე, ისინი იტალიის პრეზიდენტს მიმართავენ თხოვნით, რათა მან კანონს ხელი არ მოაწეროს და მისი განხორციელება დაბლოკოს.

ოპოზიციის განსაკუთრებულ გაღიზიანებას იწვევს კანონში ჩადებული მუხლი, რომლის თანახმადაც ერთ პირს არ აქვს უფლება, რომ ერთდროულად სამაუწყებლო და ბეჭდვით საინფორმაციო საშუალებებს ფლობდეს. კანონი ამასთანავე იძლევა იმის ნებას, რომ სარეკლამო ბაზრის მნიშვნელოვან ნაწილს მხოლოდ ერთი ოპერატორი აკონტროლებდეს. ოპოზიციის აზრით, ეს ხელს შეუწყობს ერთი ადამიანის, კერძოდ კი, ბერლუსკონის ხელში მთელ მედიაზე კონტროლის თავმოყრას, ბაზარზე გამოჩენილი ახალი მოთამაშეების უფლებების დარღვევას. ყოველივე ეს კი ინფორმაციის თავისუფალი გავრცელებისათვის უდიდეს ბარიერებს შექმნის.

# მარსელი უბედურების ზონად გამოცხადდა



თითქმის ყველა ცენტრალური მაგისტრალი წყლით არის დატბორილი.

REUTERS

საფრანგეთის სამხრეთ რაიონებს სტიქიური უბედურება დაატყდა თავს. ქვეყნის ამ ნაწილში წყალდიდობამ დღეისათვის უკვე ხუთი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

ყველაზე მეტად სტიქიამ საპორტო ქალაქი მარსელი დააზარალა, სადაც მხოლოდ გუშინ ხუთასამდე ადამიანმა საშველად სახანძრო რაზმებს უხმო. მაშველებმა ერთ-ერთ სახლში შუახნის მამაკაცის გვამი იპოვეს, რომელსაც სახლში წყალი შეუვარდა და გარეთ გამოსვლა ველარ მოახერხა.

სამხრეთ საფრანგეთში თითქმის ყველა ცენტრალური მაგისტრალი წყლით არის დატბორილი და, შესაბამისად, ბლოკირებულია. არ მუშაობს სკოლები, გაჩერებულია სარკინიგზო მიმოსვლა. ცენტრალურმა ხელისუფლებამ სასწრაფოდ მიიღო გადაწყვეტილება ორი ატომური ელექტროსადგურის დახურვის შესახებ, რადგან მათი მწყობრიდან გამოსვლის და კატასტროფის საშიშროება გაჩნდა.

გუშინ ოფიციალურმა პარიზმა მთავრობის საგანგებო სხდომაზე ქალაქი მარსელი სტიქიური უბედურების ზონად გამოაცხადა. უკანასკნელი მონაცემებით, მდინარე რონამ რეკორდულ მოცულობას – წამში 12 ათას კუბურ მეტრს გადააჭარბა. სტიქიასთან საბრძოლველად ჟაკ შირაკმა 12 მილიონი ევროს გამოყოფის თაობაზე განკარგულებას უკვე მოაწერა ხელი.

# „არ ვიცით, როგორ მოგვექცევა ახალი ხელისუფლება"

*ოქტომბერში სამამულო ომის ვეტერანებმა კავკასიის ბრძოლების 60 წლის იუბილე აღნიშნეს. ამ დღესთან დაკავშირებით, გუშინ ქალაქის ვიცე-პრემიერის მოადგილემ კახა შენგელიამ მერიისა და საკრებულოს სახელით, ვეტერანებს სიგელები გადასცა. "ჩვენ არ ვივიწყებთ ჩვენს თანამებრძოლებს, თორემ ჩვენს ხელისუფლებას არასდროს ვახსოვართ. აქამდე ასე იყო და ახალი ხელისუფლება როგორ მოგვექცევა არ ვიცით, "– განაცხადეს ვეტერანებმა.*

თამარ დვალი

გუშინ მერიის შენობაში შეკრებილი 16 ვეტერანი სამამულო ომის ამბებს იხსენებდა. "ფრონტზე პირდაპირ სტუდენტის მერხიდან წავედი. 415-ე საარტილერიო პოლკში მეკავშირე რადისტად ჩავირიცხე. ჩვენმა ნაწილმა ორი თვითმფრინავი ჩამოაგდო. ნაწილში სულ გოგონები ვიყავით, ხელმძღვანელები გვყავდნენ მხოლოდ მამაკაცები. გავათავისუფლეთ კიევი, დერჟინსკი და ბერლინის პლაცდარმის აღებაშიც მივიღეთ მონაწილეობა. ჩვენი წარწერები დღესაც არის ბერლინის კედელზე, " – გაიხსენა ფრონტის ამბები ერთადერთმა ქალბატონმა, ზეინაბ თაქთაქიშვილმა.

ვეტერანებმა "24 საათთან" საუბრისას აღნიშნეს, რომ ყოფილ საბჭოთა კავშირის არცერთ ქვეყანაში სამამულო ომის ვეტერანები ისე მივიწყებულები არ არიან, როგორც საქართველოში. "სხვა ქვეყნის ვეტერანებთან მჭიდრო ურთიერთობა გვაქვს და როგორი დაფასებაც მათ აქვთ თავიანთ ქვეყანაში, ისეთივე ჩვენც რომ გვქონდეს, კარგი იქნება. პენსია 45 ლარი გვაქვს და ამის შესანარჩუნებლად სასამართლოებში გვიწევს სირბილი. შეღავათებიც გაგვიუქმეს და ორი თვის წინათ ძლივს შევძელით, რომ კვლავ აღედგინათ. ამჟამადაც, სამი თვის პენსია მიუღებელი გვაქვს. ბევრჯერ პურის ფულიც კი არ გვქონია. ამ მდგომარეობამდე მიგვიყვანა წინა ხელისუფლებამ და მომავალი რას გვპირებს, აწი გამოჩნდება."

თბილისის ვიცე-პრემიერის მოადგილემ კახა შენგელიამ ვეტერანებს განუცხადა, რომ დაუვიწყარია მათი ღვაწლი სამშობლოს წინაშე და ამ ღვაწლს მომავალი ხელისუფლება ნამდვილად არ დაუკარგავს.

# ინვალიდები იმედოვნებენ

მაკა ჭაიანი

*გუშინ, ინვალიდთა უფლებების დაცვის საერთაშორისო დღეს, საქართველოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა და ვეტერანთა კოალიციის წევრები პარლამენტის სპიკერის მოვალეობის შემსრულებელს, გიგი წერეთელს ესტუმრნენ. შეხვედრიდან გამოსულები კმაყოფილები ჩანდნენ. "ყველაზე ცოტა, რისი პირობაც მივიღეთ, იყო ის, რომ ჩვენი მდგომარეობა არ გაუარესდება," – ამბობენ ისინი.*

**"ნებისმიერ რევოლუციას, ვარდების იქნება ის, თუ არა, უკანსვლა მოჰყვება. ჯერჯერობით, დაგვპირდნენ, რომ ჩვენი მდგომარეობა არსებულზე უარესი არ იქნება,** - აცხადებს პარლამენტარი გიორგი კოხრეიძე, - **ძველი სისტემის დასასრული ლოგიკური იყო. სისტემა, რომელიც, ფაქტობრივად, სიცოცხლის ქურდობას აიძულებდა ადამიანს, დიდხანს ვერ გაძლებდა. ჩვენ ბევრ რამეზე ვჩუმდებოდით, მთავრობის ყურადღება რომ მიგვეპყრო, პარლამენტში საკუთარი წარმომადგენლის ყოლას ვცდილობდით, ჩვენთვის სისხლხორცეული საკითხების ლობირება რომ მოგვეხდინა. იმედია, სისტემა შეიცვლება და ახალი ხელისუფლება ამ "ტრადიციას" არ გაიზიარებს. ამის დიდი იმედი გვაქვს, რადგან ამ ხალხს ჩვენი პრობლემები ისევე ესმოდა, როგორც ჩვენ."**



*ჯერჯერობით, დაგვპირდნენ, რომ ინვალიდების მდგომარეობა არსებულზე უარესი არ იქნება, - აცხადებს პარლამენტარი გიორგი კოხრეიძე.*

შეზღუდული შესაძლებლობების მქონეთ იმის იმედიც აქვთ, რომ ხალხი, რომელიც ახალ ხელისუფლებაშია, გამოიყენებს თავის განსწავლულობას უცხოეთში, ურთიერთობას საერთაშორისო ორგანიზაციებთან, გაითვალისწინებს იმ სიკეთეს, რაც ევროპის ქვეყნებს საზოგადოებაში მსგავს მდგომარეობაში მყოფი ადამიანების ინტეგრირებამ მისცა და მათ შესაძლებლობებსაც მაქსიმალურად გამოიყენებს. **"ჩვენ გვინდა მონაწილეობა მივიღოთ იმ კანონების შემუშავებასა და განხორციელებაში, რომელიც ჩვენ გვეხება. არ უნდა გაგვათანაბრონ ავადმყოფებთან, პირიქით, დამოუკიდებელი საქმიანობის საშუალება უნდა მოგვცენ,"** – აცხადებს საქართველოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა და ვეტერანთა კოალიციის აღმასრულებელი დირექტორი კობა ნადირაძე.

უკეთესი მომავლის იმედს გამოთქვამს უსინათლოთა კავშირის თავმჯდომარე რევაზ მაისურაძეც: **"იმედი მაქვს, რომ დღითიდღე, წლიდან წლამდე უკეთესობა იქნება. ბევრ რამეში წარმატების მიღწევას მცირე დროშიც შევძლებთ."** ეს არ გახლავთ ბრმა რწმენა. კოალიციის წევრები არ აპირებენ, მდუმარედ გაატარონ რაიმეგვარი გადაწყვეტილება ახალი ხელისუფლების მხრიდან, თუკი იგი მათთვის მიუღებელი იქნა. **"არ გამორიცხავ, რომ სკამი ცვლის ადამიანს,** - ამატებს გიორგი კოხრეიძე, - **აქამდე ეს ხალხი ჩვენს გვერდით იდგა, ჩვენს შეხედულებებს იზიარებდა. თუ ისინი მართლა რეალური ცვლილებებისთვის მოვიდნენ, შეზღუდული შესაძლებლობების მქონეთა პრობლემები მართლა გადაწყდება. პროცესებს ჩვენ ობიექტურად დავაკვირდებით."**

# ყოვლადწმინდა ღმრთისმშობლის ტაძრად მიყვანება

მართლმადიდებლური სამყარო დღეს ყოვლაწმინდა ღმრთისმშობლის ტაძრად მიყვანების დღეს აღნიშნავს. ამასთან დაკავშირებით სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე სამედიცინო უნივერსიტეტის ეზოში მდებარე ღმრთისმშობლის ტაძრად მიყვანების სახელობის ტაძარში საზეიმო წირვას აღავლენს. აღნიშნული დღესასწაული ყოვლადწმინდა მარიამის ბავშვობას შეეხება. წმინდა წერილის თანახმად, ყოვლადწმინდა მარიამი მშობლებმა აღსაზრდელად ტაძარში მიიყვანეს, სადაც ღმრთისმშობელი 3-დან 15 წლამდე იზრდებოდა. **ინტერ-პრესი**

# ექიმების რეკომენდაციები ხელისუფლებისთვის

ნანა ქადაგიშვილი

გუშინ სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორებმა არასამთავრობო ორგანიზაცია "ჯანმრთელობის ეროვნული ინსტიტუტი" ჩამოაყალიბეს. **"აშშ-სა და იაპონიაში ჯანმრთელობის ინსტიტუტების ქსელია შექმნილი. საქართველოში კი ეს პირველი მსგავსი ორგანიზაციაა. ჯანმრთელობის ეროვნული ინსტიტუტი დამოუკიდებელ ექსპერტთა სამსახურია, რომელიც ყოველგვარი პოლიტიკური ზეგავლენისგან თავისუფალი იქნება,"** – აცხადებს ინსტიტუტის ერთ-ერთი დამფუძნებელი, სამედიცინო უნივერსიტეტის პათოლოგიური ანატომიის კათედრის პროფესორი გიორგი ბურკაძე.

ახლადშექმნილი ინსტიტუტი იმუშავებს სამი მიმართულებით: ჯანდაცვის სისტემაში ეფექტური გარდაქმნების მხარდაჭერა, სტრატეგიული და საკადრო გადაწყვეტილებების ანალიზი და მონიტორინგი. მართალია, აღნიშნულ ფუნქციებს ჯანდაცვის ნაციონალური ცენტრი და ექიმთა ასოციაცია ასრულებენ, მაგრამ ინსტიტუტის დამფუძნებლები აცხადებენ, რომ ყველაფერი ნულიდან არის დასაწყები. **"ჯანდაცვის სისტემის ზემოთაღნიშნულ სამ მიმართულებას ჩვენი ექსპერტები შეისწავლიან და რეკომენდაციებს, უპირველესად, ხელისუფლებას, ასევე ყველა დაინტერესებულ პიროვნებას მიაწვდიან. ჯანდაცვის სისტემაში უამრავი ხარვეზია. ამ სფეროში მიღებული არც ერთი კანონი სამინისტროს ჩვენთვის წინასწარ არ გაუცვნია. პათანატომიის ინსტიტუტში 12 წელია, გვამი არ გაკვეთილა, "კარგი" კანონი რომ გვაქვს, იმიტომ. ჩვენი რეკომენდაციები ხელისუფლებას ნამდვილად გამოადგება,"** – აცხადებენ ახალი ორგანიზაციის დამფუძნებლები. მათ ახალი ხელისუფლებისდმი მიმართვაც გააკეთეს და ჯანდაცვის სისტემის განვითარებაში თანამშრომლობას სთავაზობენ.

# საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის განცხადება

საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაცია მხარს უჭერს დემოკრატიულ უსისხლო სახელისუფლებო ცვლილებებს. იმედოვნებს, რომ იგი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში.

ამასთანავე, გონიერებისკენ მოუწოდებს ზოგიერთ დესტრუქციულ ძალას, თუ ცალკეულ პირს, რომლებიც თავიანთი ქმედებებით საზოგადოების სამართლიან გაღიზიანებას იწვევს. ისინი ცდილობენ, ხელყონ მედიის თავისუფლება და დემოკრატიის ფუნდამენტური პრინციპები; ავლენენ აგრესიას და ზოგ შემთხვევაში, ტერორისტული გამოხდომებით სურთ შექმნან დაშინების სინდრომი, როგორც მედიაში, ასევე ცალკეულ პიროვნებებში.

ყოველივე ეს ჯეროვნად შეამცირებს როგორც არსებული ხელისუფლების რეიტინგს, ასევე ხელს შეუშლის ურთულეს ვითარებაში მყოფ საქართველოს სახელმწიფოებრიობას – ხალხის ნებას, რაც ყოვლად დაუშვებელია.

*საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაცია*

# დროშები „კაი ყმისთვის"

ლელა მარგიანი

თითქმის, ერთი წელია, საქართველოში სტუმრად იმყოფება ამერიკელ მოქალაქეთა ორი ოჯახური წყვილი. სტივ და შარ პიტერსონები საერთაშორისო ორგანიზაცია "ხსნის არმიის" მისიონერები არიან და სოციალურად დაუცველ ფენებს ეხმარებიან, სელი და დინ ჰეკინგსები - პენსიონერი მასწავლებლები, საკუთარი ხარჯით ჩამოვიდნენ საქართველოში და ინგლისური ენის შესწავლის მსურველებს უფასოდ ამეცადინებენ მიცკევიჩის ქუჩაზე დაფუძნებულ "ინგლისური ენის შემსწავლელ ცენტრში".

ამერიკელი სტუმრები, რამდენიმე თვეა, მეგობრობენ თბილისის ეროვნული კულტურის სკოლასთან "კაი ყმა", სადაც ტრადიციულია საქართველოთი დაინტერესებული უცხოელების მასპინძლობა. დილმის მასივში დაფუძნებულ კერძო სკოლას ამერიკელი სტუმრები პირველად გასული სასწავლო წლის ბოლოს, ივნისში ესტუმრნენ და მოიხიბლნენ სკოლის მოსწავლეებით, ქართული ცეკვა-სიმღერით, ინგლისურ და გერმანულ ენებზე წარმოდგენილი სპექტაკლებით.

სულ ცოტა ხნის წინ ამერიკელები კვლავ ესტუმრნენ სკოლას. ქართველი ბავშვები მათ ჩვეული სტუმარ-მასპინძლობით დახვდნენ: შეასრულეს "მრავალჟამიერი" და ქართული ცეკვები, გასული შეხვედრისას ასე ძალიან რომ მოეწონათ ამერიკელ სტუმრებს. მოსწავლეებმა სტუმრებს ერთი სასიამოვნო სიურპრიზიც მოუმზადეს: სკოლის ინგლისური ენის მასწავლებლის თინიკო როდონაიას და მუსიკის პედაგოგის ლია ზირაქიშვილის დახმარებით, მათ შეისწავლეს ამერიკული სიმღერები და სტუმრებთან ერთად შეასრულეს - პიტერსონები და ჰეკინგსები სიამოვნებით მღეროდნენ მშობლიურ სიმღერებს ქართველ ბავშვებთან ერთად.

შეხვედრის ბოლოს სკოლის დამფუძნებელმა თამრიკო ჩანტლაძემ ჩვენთან საუბარში აღნიშნა, რომ ბავშვები ძალიან გაახარა ამერიკელი ბებია-ბაბუების საჩუქრებმა: სკოლის ყველა მოსწავლემ მათგან საჩუქრად მიიღო ოქსფორდში გამოცემული წიგნები და ლექსიკონები, ხოლო სკოლას საჩუქრად გადასცეს სპეციალურად მათთვის ამერიკიდან გამოგზავნილი დროშა.


ფონდი "ღია საზოგადოება - საქართველო"
OPEN SOCIETY - GEORGIA FOUNDATION

საერთაშორისო განათლების საკონსულტაციო ცენტრი
*INTERNATIONAL STUDENT ADVISING CENTER*

ღია საზოგადოების ინსტიტუტი
აცხადებს 3 კონკურს ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტთან (CEU) არსებულ საზაფხულო უნივერსიტეტში (SUN), სალექციო კურსის სარესურსო ცენტრსა (CRC) და კურსის განვითარების პროგრამაში (CDC) მონაწილეობის მისაღებად 2004 2005 აკადემიურ წელს

■ ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის საზაფხულო უნივერსიტეტი (SUN)
გთავაზობთ მაღალი დონის, ინტენსიურ, ერთ და სამ კვირიან კურსებს (5-30 ივლისი, 2004 წელი) სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებებში უნივერსიტეტების მასწავლებლებისთვის, მოწინავე დოქტორანტურის სტუდენტებისთვის, მკვლევრებისთვის და პროფესიონალებისთვის, რომლის მიზანია დაეხმარონ ახალგაზრდა პროფესიონალებს განავითარონ და დახვეწონ თავიანთი ცოდნა და მოახდინონ მისი ინტეგრაცია ინოვაციურ კვლევის მეთოდებთან.
განაცხადის შემოტანის ბოლო ვადა 15 იანვარი (სტიპენდიის მსურველთათვის). მათთვის ვისაც სურს სწავლის დამოუკიდებლად დაფინანსება განაცხადების შემოტანა შეუძლიათ 17 მაისამდე.

■ ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის სარესურსო ცენტრი (CRC)
აცხადებს კონკურსს უნივერსიტეტის მასწავლებლებისთვის 2004 წლის ერთკვირიან სესიებში მონაწილეობის მისაღებად თავიანთი სალექციო კურსის დასახვეწად და ახალი სასწავლო მასალების მოსამზადებლად.

■ სალექციო კურსის განვითარების პროგრამა (CDC) სთავაზობს გრანტებს
მასწავლებლებს პედაგოგებს ათთვიან გრანტს თავიანთი სალექციო კურსის განვითარებისა და ახალი საუნივერსიტეტო კურსის დანერგვისთვის.
შემოთავაზებული სალექციო კურსი უნდა იყოს ინოვაციური როგორც შინაარსობრივად, ასევე გამოყენებული მეთოდოლოგიისა და სასწავლო ხერხების თვალსაზრისით.
კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ როგორც ცალკეულ ინდივიდებს, ასევე ჯგუფებს და იგი ითვალისწინებს ყოველთვიურ სტიპენდიას და თანხებს წიგნებისათვის, ფოტოასლებისა და პედაგოგიური მასალების მოსამზადებლად და დამატებითი სამგზავრო ხარჯებისათვის.
განაცხადების შემოტანის ბოლო ვადაა 2004 წლის 31 იანვარი

ამ კონკურსებში მონაწილეებს ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპიდან, ყოფილი საბჭოთა კავშირიდან და მონღოლეთიდან საშუალება აქვთ მიიღონ დაფინანსება. კურსების დეტალური აღწერილობა და ინფორმაცია ფინანსური პირობების შესახებ შეგიძლიათ იხილოთ და ონლაინ რეგისტრაცია გაიაროთ ინტერნეტში შემდეგ მისამართებზე:
**SUN** - http://www.ceu.hu/sun/sunindx.html და https://online.ceu.hu/osun/osun/form.jsp
**CRC** http://www.ceu.hu/crc/sessions.html **CDC** www.ceu/hu/cdc/

სამუშაო ენა ინგლისურია

დამატებითი ინფორმაციისათვის შეგიძლიათ მიმართოთ საზაფხულო უნივერსიტეტს ან ადგილობრივ "ღია საზოგადოება საქართველოს" ოფისს.

ფონდი "ღია საზოგადოება საქართველო"
საერთაშორისო განათლების საკონსულტაციო ცენტრი
ჭოველიძის 10
ტელ: 252615



**Media Diversity Institute -**
**მედიის მრავალფეროვნების ინსტიტუტი**

**Tender Announcement for Publishing Companies**

Media Diversity Institute, (MDI) is a non-profit, non-partisan London-based organization that mobilizes the power of media to lessen inter-group conflict, advance minority and human rights, and support deeper public understanding of all types of social diversity.

MDI is looking for a company to publish two manuals: the *Media Relations Handbook for Non-Governmental Organisations* and the *Reporting Diversity Manual*. The layout design and the cover design have already been done for one language version of the manual. We need a company to insert translated text into the layout for further language versions, prepare it for print, print and distribute the finished products. If your company would like to submit a tender for this job please contact: Marina Rennau at marina.rennau@media-diversity.org for details about the contract.

The deadline for submissions is December 10, 2003

**მოწვევა სატენდერო წინადადებების წარმოსადგენათ**
**საგამომცემლო კომპანიების საყურადღებოდ**

მედიის მრავალფეროვნების ინსტიტუტი (MDI) წარმოადგენს საქველმოქმედო, აპოლიტიკურ ორგანიზაციას, რომელიც ახდენს მასმედიის სიძლიერეების მობილიზაციას ჯგუფთაშორისი კონფლიქტების შემცირების, უმცირესობების და ადამიანის უფლებების დაცვის და საზოგადოების მიერ სოციალური მრავალფეროვნების ყველა სახეობის უფრო ღრმა წვდომის ხელშეწყობის მიზნით.

MDI ეძებს კომპანიას ორი სახელმძღვანელოს გამოქვეყნების მიზნით: "სახელმძღვანელო არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის მასმედიასთან ურთიერთობების შესახებ" და "მრავალფეროვნების გაშუქების სახელმძღვანელო".

სახელმძღვანელოს მაკეტი და ყდა უკვე მომზადებულია. გვესაჭიროება კომპანია, რომელიც ჩასვამს თარგმნილ ტექსტს მაკეტში სხვა ენებზე გამოსაცემად, მოამზადებს მას დასაბეჭდად და გაავრცელებს საბოლოო პროდუქციას. თუ თქვენი კომპანია მოისურვებს მონაწილეობა მიიღოს აღნიშნულ სამუშაოზე გასამართ ტენდერში, გთხოვთ პროექტის დეტალებზე დაუკავშირდეთ მარინა რენაუს, ელ-ფოსტით m. მონაწილეობის მიღების თაობაზე განაცხადები მიიღება 2003 წლის 10 დეკემბრამდე.


## ორი სიტყვით

**თბილისი.** საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით, ამ დროისათვის ქვეყანაში ჯერ კიდევ არ დასრულებულა ივლისის თვის პენსიების დაფინანსება. გარღვევა 5 მილიონ ლარს შეადგენს. 1 დეკემბრისათვის, პენსიების 11 თვის გეგმაში გარღვევა 60,33 მილიონ ლარს შეადგენს. რაც შეეხება ჯანდაცვის პროგრამებს - ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამების წლიური გეგმა დაფინანსებულია მხოლოდ 60 პროცენტით. გარღვევა 34,2 მილიონ ლარს უტოლდება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა ამირან გამყრელიძემ თემქაზე მოქმედი მოხუცთა თავშესაფარი "სავანე" მოინახულა. მინისტრმა მოხუცებს დღეგრძელობა უსურვა და დაჰპირდა, რომ სამომავლოდ სახელმწიფო ამ კატეგორიის ადამიანების მიმართ გაცილებით მეტ ყურადღებას გამოიჩენს. საქართველოში დღეისათვის 200 ათასი უნარშეზღუდული პირია, აქედან 8 ათასი - ბავშვი. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის ამირან გამყრელიძის შეფასებით, საერთაშორისო ინვესტიციების გარეშე სოციალურ სფეროში კრიზისი ვერ აღმოიფხვრება. ამგვარი შემაშფოთებელი განცხადება გამყრელიძემ დღეს უნარშეზღუდულ პირთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით პარლამენტში ინვალიდებთან გამართულ შეხვედრაზე გააკეთა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** მერიის ადმინისტრაციულმა ინსპექციამ წინასაარჩევნო პლაკატებისაგან ქალაქის გაწმენდა თავად დაიწყო. მანამდე ინსპექციამ 2 ნოემბრის არჩევნებში მონაწილე ყველა პოლიტიკური სუბიექტი გააფრთხილა იმ მოსალოდნელი პასუხისმგებლობის შესახებ, რაც მათ საარჩევნო პლაკატების ჩამოუხსნელობის შემთხვევაში დაეკისრებათ. მუნიციპალიტეტს ქალაქში გაკრული წინასაარჩევნო პლაკატების 1 კვ. მეტრზე ჩამოხსნა 10-დან 25 ლარამდე უჯდება. სამუშაოების შესრულების შემდეგ დაანგარიშდება თანხის ოდენობა და დედაქალაქის ბიუჯეტის ზარალის მიხედვით პარტიების წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელებს შეიტანენ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** მერიის ბავშვთა უფლებების დაცვის ცენტრის 12 მუშაკი სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მე-5 იზოლატორს ესტუმრა, სადაც ამჟამად 49 არასრულწლოვანი სასამართლოს გადაწყვეტილებას ელის.

სპეციალისტები სამი დღის განმავლობაში არასრულწლოვანთა ჯანმრთელობის, ფსიქო-სოციალური და გონებრივი განვითარების მდგომარეობას შეისწავლიან. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** წყალსადენისა და საკანალიზაციო ქსელის განვითარების პროექტი თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილებით ჯერჯერობით შეჩერებულია, თუმცა არ არის გამორიცხული, რომ პროექტის აღდგეს. მსოფლიო ბანკის მისია თბილისში უახლოეს დღეებში „თბილწყალკანალის" განვითარების პროექტზე იმსჯელებს. დედაქალაქის წყალმომარაგების ქსელის რეაბილიტაციის მსოფლიო ბანკის პროექტი წლის ბოლოს უნდა ამოქმედებულიყო. დონორი ორგანიზაცია ამ პროექტისთვის 25 მილიონი დოლარის ოდენობის კრედიტის გამოყოფას აპირებს. ამ კრედიტის უმეტესი ნაწილი, დაახლოებით 20 მილიონი დოლარი, უშუალოდ მილსადენების და ნაგებობების რეაბილიტაციაზე დაიხარჯება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** მიწისქვეშა გადასასვლელები კარგა ხანია არ შეკეთებულა. დედაქალაქის მერიის კეთილმოწყობის სამსახური ამჟამად მათ დასუფთავებას ცდილობს. მოწესრიგებულია ლეონიძის ქუჩის კუთხეში, თავისუფლების მოედანზე, რუსთაველის გამზირზე და ფილარმონიასთან მდებარე მიწისქვეშა გადასასვლელები. **მედია-ნიუსი**

## ორი სიტყვით

**ქუთაისი.** გუშინწინ, ღამის ოთხ საათზე, ზესტაფონის რაიონის სოფელ ილემში, ყაჩაღური თავდასხმა მოხდა. ჯერჯერობით დაუდგენელი სამი ბოროტმოქმედი, რომლებიც გადაჭრილი თოფებითა და დანებით იყვნენ შეიარაღებულნი, თავს დაესხნენ სოფელ ილემში მცხოვრებ ტარიელ შავიძის ოჯახს, საიდანაც ყაჩაღურად გაიტაცეს 300 ლარი, საოჯახო ნივთები და ძვირად ღირებული მაჯის ოქროს საათი. ზესტაფონის პოლიციამ მომხდარ ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე 179-ე მუხლის მეორე ნაწილით აღძრა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ქუთაისი.** გუშინ, გამთენიისას, თერჯოლის რაიონის სოფელ ჭოგნართან გამავალ გზატკეცილზე, ავტომანქანა ფეხით მოსიარულე მამაკაცს დაეჯახა. ქუთაისელმა ოთარ ჩახუნაშვილმა, რომელიც მართავდა ავტომანქანა "ვაზ 2109"-ს, ვერ უზრუნველყო უსაფრთხო მოძრაობა და ქვეითად მოსიარულე მამაკაცს დაეჯახა, რომელიც ადგილზე გარდაიცვალა. ჩახუნაშვილი თვითონ გამოცხადდა პოლიციაში. ჯერჯერობით, დაუდგენელია გარდაცვლილის ვინაობა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინწინ საქართველოში აღირიცხა 19 დანაშაული, გახსნილია - 13. ჯანმრთელობის დაზიანებისა და ძარცვის თითო შემთხვევა გახსნილია; ასევე გაიხსნა ხულიგნობის ორივე შემთხვევა; ორი ავტოსაგზაო შემთხვევა სიკვდილით დასრულდა; ყაჩაღობის ოთხი შემთხვევიდან გაიხსნა ერთი; ასევე, ქურდობის ორი შემთხვევიდან გაიხსნა ერთი; ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის ხაზით დაფიქსირდა 16 შემთხვევა; ამოღებულია სამი ცეცხლსასროლი იარაღი; დაკავებულია ხუთი ძებნილი; არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილია ორი დანაშაული. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**ხარაგაული.** ხარაგაულის რაიონის სოფელ უბისში ავტომანქანა „გაზ-24“, რომელსაც მართავდა სოფელ იგოეთში მცხოვრები, 34 წლის გიორგი მაჭავარიანი, გადავარდა მდინარე ძირულას ხეობაში, რის შედეგად ადგილზე გარდაიცვალნენ მძღოლი და მისი მგზავრები - დაბა ხარაგაულში მცხოვრები, ნუნუ ავალიშვილი და სოფელ იგოეთში მცხოვრები ზურაბ მაჭავარიანი, ხოლო ორი მგზავრი ჯანმრთელობის დაზიანებით მოთავსებულია საავადმყოფოში. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**წალენჯიხა.** წალენჯიხის რაიონისა და ზემო სვანეთის სამხარეო შს მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა დააკავეს ნასამართლევი, 20 წლის ლევან შანავა, რომელმაც საშა ახალაიას პისტოლეტისა და დანის მუქარით გასტაცა ავტომანქანა „ვაზ-2106“. დაკავებისას შანავას ჩამოართვეს 5,7 გრამი მარიხუანა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ 52 წლის ანზორ ნადოევი ძარცვის ბრალდებით დააკავეს მეტროსადგურ "ნაძალადევის" მიმდებარე ტერიტორიაზე. თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს ცნობით, ნადოევი მას შემდეგ დააკავეს, რაც მან სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფის შემდეგ მობილური ტელეფონი გასტაცა შორენა ბახტაძეს. დაკავებისას ნადოევმა პოლიციას ფიზიკური წინააღმდეგობა გაუწია. მის მიმართ აღძრულ საქმეს თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონის საგამოძიებო სამსახური იძიებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თურქეთის მოქალაქე, 54 წლის იაკობ პატეში თბილისში, წერეთლის გამზირზე, მის მიერ ნაქირავებ ბინაში, 1 დეკემბერს მკვდარი იპოვეს. თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს პრესსამსახურის ცნობით, პატეშმა, წინასწარი მონაცემებით, რეგისტრირებული საფანტის სისტემის პისტოლეტიდან გასროლით თავი მოიკლა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ 15 წლის ხვიჩა ჩ.-ძემ თავი მოიკლა საკუთარ სახლში, რომელიც თბილისში, მოსკოვის გამზირზე მდებარეობს. როგორც თბილისის პოლიციის მთავარ სამმართველოში აცხადებენ, ხვიჩა ჩ. სახლში თოკზე ჩამომხრჩვალი იპოვეს. დანიშნულია სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**ქუთაისი.** სამტრედიის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის გია მიქელაძის საარჩევნო შტაბის გაძარცვაში 23 წლის შოთა თუაშვილია ეჭვმიტანილი. ქურდობა 2 დეკემბერს, სამტრედიის რაიონის სოფელ კულასში მოხდა. საარჩევნო შტაბიდან წაღებულია ვიდეოტექნიკა და სხვა ნივთები, რომლებიც პოლიციამ ამავე სოფლის მკვიდრის - თუაშვილის საცხოვრებელ სახლში აღმოაჩინა. თავად ეჭვმიტანილმა მიმალვა მოასწრო. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ქუთაისი.** სამტრედიაში, წულუკიძის ქუჩაზე მდებარე პურის გასაყიდ ჯიხურთან, თხევადი გაზის ბალონი აფეთქდა. აფეთქებას მსხვერპლი არ მოჰყოლია. სხეულის დაზიანება მიიღეს დაცვის პოლიციელებმა - იური ლაღაძემ და ლევან ნიკურაძემ, რომლებიც აფეთქების მომენტში ადგილზე იმყოფებოდნენ. ისინი სამტრედიის რკინიგზის საავადმყოფოდან უკვე გაწერეს. მომხდარის მიზეზებს რაიონის პოლიცია იკვლევს. **ინტერ-პრესი**

# ბერეზოვსკი საიდუმლო სეირნობისთვის თბილისში ჩამოდის

პირველი გვერდიდან


თამარ სახოკაშვილის ფოტო

ვალერი ჩხეიძე: "თუ დანაშაული გამოვლინდება, მზად ვარ უშუალო დამნაშავეებთან ერთად ვაგო პასუხი".

საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის ცნობით, ბორის ბერეზოვსკი საქართველოს დედაქალაქში ბიზნესმენ ბადრი პატარკაციშვილის თვითმფრინავით, "ლონდონი - თბილისის" კერძო რეისით 00 საათსა და 15 წუთზე ჩამოფრინდა. თბილისის აეროპორტში რუსეთის გენპროკურატურის მიერ ძებნილმა, დიდი ბრიტანეთის პოლიტემიგრანტმა ბერეზოვსკიმ რეგისტრაცია პლატონ ელევინის სახელით გაიარა და გამარტივებული წესით ვიზაც მიიღო. ბერეზოვსკიმ და მისმა თანმხლებმა სამმა პიროვნებამ (მისი მეუღლე და დაცვის ორ წევრი), რომელთაც აეროპორტში პატარკაციშვილის დაცვა და ავტომანქანა უცდიდათ, ასევე უპრობლემოდ "გაისეირნეს" თბილისში და გამთენიისას, 5 საათზე კვლავ ლონდონში დაბრუნდნენ.

როგორც საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარემ ვალერი ჩხეიძემ განაცხადა, ბერეზოვსკი საზღვრის დაცვის თანამშრომლებმა ფოტოზე ამოიცნეს. კანონის თანახმად, მათ შეამოწმეს კომპიუტერული მონაცემები, მაგრამ იქ ვერც ბერეზოვსკიზე და ვერც ელევინზე საეჭვო ვერაფერი ნახეს. ანუ, ჩხეიძის მტკიცებით, ბერეზოვსკი, რომელზეც რუსეთის სამართალდამცველებს საერთაშორისო ძებნა აქვთ გამოცხადებული, საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტში არსებულ ძებნილთა სიაში აღრიცხული არ არის. ამიტომ, არანაირი კანონიერი საფუძველი არ არსებობდა იმისათვის, რომ ბერეზოვსკი-ელევინი დაეპატიმრებინათ. მით უმეტეს, რომ ქართველ მესაზღვრეებს საეჭვო არც მის პასპორტში დაუფიქსირებიათ. ვალერი ჩხეიძის განცხადებით, ბორის ბერეზოვსკის, უფრო სწორედ პლატონ ელევინს დიდი ბრიტანეთის მიერ გაცემული საბუთები სრულ წესრიგში ჰქონდა.

აქედან გამომდინარე, საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე სკანდალურ სტუმრობასთან დაკავშირებით ამ ეტაპზე თავისი თანამშრომლების მხრიდან დაშვებულ კანონდარღვევას ვერ ხედავს და რეაგირებას მხოლოდ იმაზე აპირებს, რომ "ძვირფასი სტუმრის" ვიზიტის შესახებ მან ინფორმაცია გამგზავრების შემდეგ მიიღო. მიუხედავად ამისა, პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა უშიშროების საბჭოს მდივანს ბერეზოვსკის ვიზიტის კანონიერების შესწავლა გუშინვე დაავალა და შესაძლო დამნაშავეთა დასჯაც მოითხოვა.

**"ჩატარდეს გამოძიება და თუ დანაშაული გამოვლინდება, მზად ვარ უშუალო დამნაშავეებთან ერთად ვაგო პასუხი",** – განაცხადა ვალერი ჩხეიძემ გუშინ გამართულ ბრიფინგზე.

ერთი სიტყვით, სკანდალური პიროვნების სტუმრობამ საქართველოში გარკვეული უხერხულობა უკვე გამოიწვია. რუსეთისათვის დიდი ხნის ნანატრი პიროვნების თბილისში გამოჩენამ, არ არის გამორიცხული, მეზობლური ურთიერთობა კვლავ დაძაბოს. ამის საშიშროებას კი ხელისუფლება აშკარად გრძნობს.

**"ბორის ბერეზოვსკის ვიზიტს საქართველოში არანაირი კავშირი არ აქვს საქართველოსთან.**

**რა საკითხს შეეხებოდა ბერეზოვსკის და პატარკაციშვილის შეხვედრა, ჩვენთვის უცნობია. თუკი, ბერეზოვსკის მიერ საქართველოში ჩამოსვლას თან ახლდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სასაზღვრო პროცედურების დარღვევა, შესაბამისი უწყებები უმოკლეს ვადაში განახორციელებენ კანონით გათვალისწინებულ ქმედებებს და გამოავლენენ დამნაშავეებს.**

**საქართველოს ახალი ხელისუფლება არ აპირებს გადადგას ნაბიჯები, რომლებიც დაძაბავენ და გაართულებენ რუსეთთან ურთიერთობას",** –ასეთი შინაარსის განცხადება გაავრცელა გუშინ საქართველოს სახელმწიფო საინფორმაციო სამსახურმა.

ბერეზოვსკის თემას გუშინ სხვა სახელმწიფო წარმომადგენლებიც გამოეხმაურნენ.

**"თუ ბორის ბერეზოვსკის ვიზიტი რაიმე პოლიტიკურ მოვლენებს უკავშირდება, ეს არ დაიმალება და ყველას ეცოდინება - რატომ ჩამოვიდა ბერეზოვსკი საქართველოში, რომელიც, გარდა იმისა, რომ სერიოზული ბიზნესმენია, სკანდალური პიროვნებაცაა",** – განაცხადა პარლამენტის სპიკერის მოვალეობის შემსრულებელმა გიგი წერეთელმა.

პრეზიდენტობის კანდიდატი, "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ლიდერი მიხეილ სააკაშვილი კი ამბობს: **"საქართველოს საზღვრის გადაკვეთა ყველა წესის დაცვით უნდა ხდებოდეს. შევარდნაძის დროის "დუქანი", როდესაც ნებისმიერს შეეძლო სათანადო კონტროლის გარეშე ქვეყნის ფარგლების გადალახვა, უკვე დაიხურა. ბორის ბერეზოვსკის თბილისში ჩამოსვლასთან დაკავშირებით არანაირი შიში არ არსებობს, თუმცა, პირებმა, რომლებმაც აეროპორტის საკონტროლო-გამშვებ პუნქტზე დარღვევები დაუშვეს, დაისჯებიან".**

პოლიტიკოსებისგან განსხვავებით, ბერეზოვსკის ვიზიტს შედარებით მშვიდად შეხვდა შინაგან საქმეთა მინისტრი გია ბარამიძე: **"საქართველოსთვის ცნობილი ოლიგარქი ბორის ბერეზოვსკი, კრიმინალური თვალსაზრისით, ნაკლებად საინტერესოა, თუმცა იგი თბილისში გასასეირნებლად არ ჩამოვიდოდა. ამ ვიზიტთან დაკავშირებით გარკვეული ინფორმაციების გადამოწმება ხდება. მოცემულ ეტაპზე შს სამინისტრო უფრო კრიმინალური ფაქტების აღკვეთითაა დაინტერესებული",** – ამბობს შს მინისტრი.

ერთი სიტყვით, საქართველოში ბერეზოვსკი-ელევინის ვიზიტმა გარკვეული დაძაბულობა მაინც გამოიწვია. თავად ბერეზოვსკი კი ამ სტუმრობას ჩვეულებრივ მოვლენად ხსნის და აცხადებს, რომ იგი საქართველოში სავსებით ლეგალურად ჩავიდა.

ბერეზოვსკი თავის ინტერვიუში აღნიშნავს, რომ პლატონ ელევინის სახელზე გაცემული პასპორტიც, რომელიც მან საქართველოში შემოსვლისას გამოიყენა, ნამდვილია და ის ბრიტანეთის ხელისუფლების მიერ მისი უსაფრთხოების დაცვის მიზნით არის გაცემული. თუმცა კი, ბერეზოვსკისთვის ასეთი პასპორტის გაცემის ფაქტი მოგვიანებით ბრიტანეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა უარყო.

**"მე პოლიტიკური თავშესაფარი მივიღე და არსებობს ქვეყნები, რომლებიც მას ცნობენ. მათ რიცხვში საქართველოც შედის",** - აღნიშნა ბერეზოვსკიმ რადიოსადგურ "ეხო მოსკვისთვის" მიცემულ ინტერვიუში.

ბიზნესმენმა დააზუსტა, რომ საქართველოში თავის მეგობართან ბადრი პატარკაციშვილთან ჩავიდა, რომელიც ძალიან უყვარს. მისივე თქმით, იგი საქართველოს საშინაო საქმეებში ჩარევას არ აპირებს, თუმცა მისთვის, როგორც **"ლიბერალური პარტიის" ლიდერისათვის, სულერთი არ არის, რა ხდება ამ ქვეყანაში. ასევე სულერთი არ არის რუსეთი-საქართველოს ურთიერთობა".**

ბერეზოვსკის საქართველოსთან ურთიერთობა სულერთი არ არის რუსეთისთვისაც. ძებნილი ბიზნესმენის თბილისში ჩასვლის ფაქტზე რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ საქართველოსგან ინფორმაცია უკვე მოითხოვა.

რა მასალებს მიაწვდის ქართული მხარე მეზობელ ქვეყანას და რითი ახსნის ბერეზოვსკის საქართველოში თავისუფლად ჩამოსვლას და გადაადგილებას, ალბათ მომავალი გვიჩვენებს.

# შეტევა ნარკოტიკებისა და ნარკომანი პოლიციელების წინააღმდეგ




გიორგი ბარამიძე ორი დღეა შინაგან საქმეთა სამინისტროს ეზოში ყაყაჩოს თესლის კოცონს აბრიალებს.

სოფიკო ჩხაიძე

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი უკან არ იხევს კანონის დარღვევის წინაშე და შინაგან საქმეთა სამინისტროს ეზოში დიდ კოცონს აგიზგიზებს.*

*"თუ ამისთვის ვინმე მომხსნის, ან სამართლებრივ პასუხისმგებლობას დამაკისრებს, მზად ვარ, სასჯელი მოვიხადო", - აცხადებს გიორგი ბარამიძე.*

გუშინ და გუშინწინ შინაგან საქმეთა სამინისტროში იმ ყაყაჩოს თესლს წვავდნენ, რომელიც, ქარხნული წესით დაფასოებული, პოლიციამ თბილისის სავაჭრო ქსელიდან ამოიღო. როგორც ცნობილია, სულ რაღაც ერთ ლარად ღირებული, კანონმდებლობის მიხედვით, საკონდიტრო ნაწარმად მიჩნეული ყაყაჩოს თესლისგან, რომელიც აქამდე თავისუფლად იყიდებოდა დედაქალაქის სუპერმარკეტებსა და ბაზრობებზე, უმარტივესი წესით მზადდება ნარკოტიკული ნივთიერება.

**"ამ პროდუქციის ასე ლიად გაყიდვის შედეგად პატარა ბავშვები დაჯდნენ ნემსზე, გაუხმათ ხელები, ტვინები, გაუბედურდა ათასობით ჩვენი თანამემამულის ოჯახი",** - განაცხადა გუშინ საგანგებოდ მოწყობილ პრესკონფერენციაზე გიორგი ბარამიძემ, რომელიც აპირებს, პარლამენტს იმ კანონის შეცვლის მოთხოვნით მიმართოს, რომლის დახმარებითაც შედარებით სუსტი, მაგრამ მაინც ნარკოტიკული საშუალების ლეგალიზება გახდა შესაძლებელი. თუმცა, როგორც მინისტრი ამბობს: **"პირდაპირ ვაცხადებ, არ დაველოდები ამ საკითხის საკანონმდებლო რეგულაციას. ყაყაჩოს თესლი მანამდე იქნება სავაჭრო ქსელიდან ამოღებული და ამ პროდუქციის გასაღებას მე, როგორც შინაგან საქმეთა მინისტრი, ავკრძალავ. შესაძლოა, ამან იმ ბიზნესმენებისა და მოვაჭრეების პროტესტი გამოიწვიოს, რომლებიც ამ პროდუქციით ვაჭრობენ, მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია დაველოდოთ ერთი დღეც კი, რადგანაც ახალგაზრდები, სასკოლო ასაკიდან დაწყებული, ამ ნარკოტიკის მოხმარებაზე გადავიდნენ".**

სწორედ ამით ამართლებს შინაგან საქმეთა მინისტრი ყაყაჩოს თესლით ლიად ვაჭრობის წინააღმდეგ წამოწყებულ ბრძოლას და კატეგორიულად აცხადებს: **"შესაძლოა, ვინმემ კანონის დარღვევა დამწამოს, მაგრამ მე ვიღებ ამ პასუხისმგებლობას ჩემს თავზე და არ დავუშვებ არანაირი კანონიერი მეთოდებით ამგვარი პროდუქციით ლიად ვაჭრობას. მე გავეცი ეს ბრძანება და სანამ შინაგან საქმეთა მინისტრი ვარ, ამ ბრძანების განხორციელებას უზრუნველვყოფ. თუ ამისთვის ვინმე მომხსნის, ან სამართლებრივ პასუხისმგებლობას დამაკისრებს, მზად ვარ სასჯელი მოვიხადო".**

მეორე ნაბიჯი, რომელსაც გიორგი ბარამიძე ნარკომანიასა და ნარკობიზნესთან ბრძოლის გზაზე დგამს, თვით შინაგან საქმეთა ორგანოების ნარკომანებისგან გაწმენდაა.

**"შინაგან საქმეთა სამინისტროს უნდა ჰქონდეს მორალური უფლება, რომ ებრძოლოს ქვეყანაში დანაშაულს,** - ამბობს მინისტრი, - **როცა საქართველოში ნარკომანია და ნარკოტიკების გავრცელება სულ უფრო ფართო მასშტაბებს იღებს, ბუნებრივია, ეს ყველაფერი დაკავშირებულია იმასთანაც, რომ ჩვენს სტრუქტურაშიც არიან ნარკომანები, რომლებიც ვერანაირად იბრძოლებენ ნარკომანიის წინააღმდეგ".**

სტრუქტურის შიგნით ნარკომანიასთან ბრძოლა, ბარამიძის თქმით, უკვე დაწყებულია და ბოლო რამდენიმე დღეში გენერალური ინსპექციის მონაცემების საფუძველზე სამსახურიდან გათავისუფლებული პოლიციის 13 თანამშრომლიდან, ექვსი სწორედ ნარკომანობის გამო დაისაჯა. ესენი არიან გლდანი-ნაძალადევის რაიონული ინსპექტორი გოდერძი საჯაია, იქვე მომუშავე ზაზა კრიჭაშვილი, ვაკე-საბურთალოს რაიონული პოლიციის თანამშრომელი ზურაბ ბერიაშვილი, დიდი დიღმის სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების ინსპექტორი გიორგი ცხადაძე, საგზაო პოლიციის განყოფილების უფროსი გურამ ლიპარტელიანი და პოლიციის აკადემიის კურსანტი ლაშა კოლუა. თუმცა, პოლიციის თანამშრომლებს შორის ნარკომანების ძებნა და დასჯა ამით არ დასრულებულა:

**"ყველამ უნდა გააცნობიეროს ამ პრობლემის სერიოზულობა,** - აცხადებს გიორგი ბარამიძე, - **გუშინ ხელი მოვაწერე ბრძანებას, რომლითაც ყველა შესაბამისი სტრუქტურის ხელმძღვანელს დაევალა, გაატაროს შესაბამისი ზომები და მაქსიმუმ ერთი კვირის ვადაში უნდა გაიწმინდოს იმ კადრებისგან, რომლებიც შემჩნეულნი არიან ნარკოტიკებთან ურთიერთობაში. ამ ვადის ამოწურვის შემდგომ უმკაცრესად დაისჯებიან არა მარტო ნარკოტიკების მომხმარებლები, არამედ მათი უშუალო ხელმძღვანელებიც - ისინი დათხოვნილი იქნებიან თანამდებობიდან. ასევე იქნება გატარებული ყველა ის ზომა, რომელიც გათვალისწინებულია კანონმდებლობით და ამგვარი დანაშაულის ჩამდენი პირები მთელი სიმკაცრით დაისჯებიან".**

# "დამნაშავეები საკადრისად დაისჯებიან"

ხათუნა ჯანგირაშვილი

**"შინაგან საქმეთა სამინისტრო კონცენტრირებულია იმაზე, რომ "ცენტრ-პოინტთან" დაკავშირებული ინციდენტი, ირინა სარიშვილი-ჭანტურიას სახლზე თავდასხმისა და ლუბა ელიაშვილის საცხოვრებელი სახლის დაცხრილვის ფაქტები უმოკლეს ვადებში გაიხსნას",** - აცხადებს შინაგან საქმეთა მინისტრი და ყველა დამნაშავესა და კრიმინალს აფრთხილებს, რომ შს სამინისტრო კანონის მთელი სიმკაცრით იმოქმედებს და დასჯის იმ პირებს, რომლებიც აღნიშნულ დანაშაულებებში იქნებიან გამოვლენილნი.

ბარამიძის თქმით, შსს არავის მისცემს საშუალებას, ქუჩაში იარაღით იაროს, ხალხს ესროლოს და პოლიტიკურ ლიდერებზე თავდასხმები განახორციელოს. **"შესაძლოა, ამგვარმა ფაქტებმა ქვეყანაში დესტაბილიზაცია გამოიწვიოს და ერთმანეთს შეაჯახოს პოლიტიკური ძალები, ეს ყველფერი კი, საბოლოოდ, საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების პროცესების გადატანას შეუწყობს ხელს, რის საფუძველზეც გაურკვევლობის და დროებითობის პერიოდი გარკვეული ვადით გაგრძელდება",** - აცხადებს ახალი მინისტრი.

ვინ, რატომ და რისთვის ესროლა გუშინწინ ირინა სარიშვილის სახლს, ჯერჯერობით, უცნობია. შემთხვევის ადგილიდან ამოღებულია ტყვიის გულა, რომელიც ექსპერტიზას გადაეცა და უახლოეს მომავალში დადგინდება ტყვიის ტრაექტორია. ცნობილია, რომ გასროლა მეოთხე სართულის სიმაღლიდან მოხდა. ნასროლია ერთი ტყვია, სავარაუდოდ, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან, რომელმაც ფანჯარა ჩაამტვრია.

გუშინ მომხდართან დაკავშირებით აღიძრა სისხლის სამართლის საქმე განზრახ მკვლელობის მცდელობის მუხლით.

ვაკე-საბურთალოს რაიონის საგამოძიებო ნაწილის უფროსის მოადგილის ვაჟა არობელიძის განცხადებით, ზოგადად, სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, როდესაც განზრახ მკვლელობის მცდელობა მიმართულია რომელიმე პოლიტიკური პარტიის ლიდერის მიმართ, საქმე ტერორისტული აქტის კვალიფიკაციით უნდა აღიძრას.

როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, არ არის გამორიცხული, აღნიშნული ფაქტის გამოძიება უშიშროების სამსახურის დაქვემდებარებაში გადავიდეს.

**"შსს კოორდინირებულად და შეთანხმებულად მოქმედებს უშიშროების სამინისტროსთან. ყველა სერიოზული ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია ქვეყანაში უსაფრთხოებასთან, კრიმინოგენული სიტუაციის კონტროლთან, შეთანხმებულია უშიშროების სამინისტროსთან. ეს ფაქტი აუცილებლად იქნება გამოძიებული და დამნაშავეები საკადრისად დაისჯებიან. ეს არ არის სახუმარო საქმე",** - აცხადებს შინაგან საქმეთა მინისტრი.

რაც შეეხება გუშინ, გამთენიისას, ვაკეში მდებარე სამშენებლო ფირმა "ცენტრ-პოინტის" სათაო ოფისზე მომხდარ თავდასხმას. დაახლოებით შვიდ საათზე, დაუდგენელმა პირებმა "ცენტრ-პოინტის" ოფისს ქვები დაუშინეს, ორმაგი მინები ჩაამტვრიეს და გაიქცნენ. გაქცეულებმა შენობის კედლებზე დატოვეს წარწერა - "კმარა რჩეულიშვილები". როგორც ცნობილია, ფირმა "ცენტრ-პოინტი" ვახტანგ რჩეულიშვილის მეუღლის, მაია რჩეულიშვილის კუთვნილი სამშენებლო კომპანიაა. მომხდარ ფაქტს ვაკე-საბურთალოს რაიონის პოლიცია იძიებს. ჩვენი ინფორმაციით, სისხლის სამართლის საქმე ხულიგნობის მუხლით აღიძვრება. მომხდარს ჰყავს თვითმხილველები, რომლებიც გუშინვე დაიკითხნენ. არ არის გამორიცხული, დაკითხონ მოძრაობა "კმარას" აქტივისტებიც, რომლებიც კატეგორიულად უარყოფენ მომხდარ ფაქტთან რაიმე კავშირს. **"გამოძიება პოლიტიკურ ვერსიებსაც გადაამოწმებს, მიმდინარეობს მოკვლევა. შემთხვევის ადგილიდან ამოღებულია ნასროლი ქვები, რომლებსაც ექსპერტიზა ჩაუტარდება",** - გვითხრეს ვაკე-საბურთალოს რაიონის სამართალდამცველებმა.

"ცენტრ-პოინტის" წარმომადგენელი ირაკლი პეტრიაშვილი გამორიცხავს ოფისზე განხორციელებულ თავდასხმაში "კმარას" მონაწილეობას და აცხადებს, რომ ეს ყველაფერი ქვეყანაში დესტაბილიზაციის ფონის შექმნას ისახავს მიზნად. **"ეს არის ფორმა, რომელიც მიზნად ისახავს ურთიერთობის დაძაბვას სხვადასხვა ძალებს შორის. ასეთი ქმედებები საერთო ფონის არევასა და ისტერიის დამკვიდრებას ემსახურება,"** - ასეთი გახლავთ დაზარალებული სამშენებლო ფირმის წარმომადგენლის პოზიცია.

პეტრიაშვილის განცხადებით, ამ თავდასხმამდე "ცენტრ-პოინტის" სათაო ოფისში ან მის ხელმძღვანელობასთან მუქარის ზარები არ ყოფილა. მომხდარს მოძრაობა "კმარას" ვერც ვახტანგ რჩეულიშვილი უკავშირებს.

# მძიმე დასაწყისი ახალდანიშნულთათვის

ბექა სისაური
ქუთაისიდან

საკადრო ცვლილებები იმერეთის სამართალდამცველ ორგანოებსაც შეეხო. როგორც ცნობილია, თავდაპირველად, თანამდებობის დატოვება იმერეთის სამხარეო პოლიციის უფროსს ზაზა ძნელაძეს მოუწია. მის ნაცვლად სამხარეო პოლიციის უფროსად ზურაბ ჩიკვაიძე დაინიშნა. იგი 1997 წლიდან რეგიონში სამხედრო პროკურორის მოვალეობას ასრულებდა.

რაც შეეხება პოლიციაში მისი მუშაობის სამომავლო გეგმებს, ზურაბ ჩიკვაიძე ამაზე საუბრისგან თავს იკავებს. იგი აცხადებს, რომ ჟურნალისტებს გეგმებზე მას შემდეგ დაელაპარაკება, რაც ამ საკითხებს შს მინისტრთან გია ბრამიძესთან შეათანხმებს. ამისათვის კი მან ორდღიანი ვადა მოითხოვა.

საკადრო ცვლილებები, ჯერჯერობით, არ შეხებია ქუთაისისა და იმერეთის სხვადასხვა რაიონების პოლიციის უფროსებს, არადა, სავარაუდოდ, თანამდებობის დატოვება ყველა მათგანს მოუწევს. **"რაიონების პოლიციის განყოფილებებში საკადრო ცვლილებები აუცილებლად მოხდება. თუმცა, ცვლილებებს მას შემდეგ განვახორციელებთ, როდესაც მინისტრი კოლეგიის სხდომას მოიწვევს და შექმნილ ვითარებაში ბოლომდე გავერკვევი",** - აცხადებს ზურაბ ჩიკვაიძე.

საკადრო ცვლილებებს ვერ გაექცა იმერეთის სამხარეო პროკურატურაც. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი დარწმუნებული იყო, სამხარეო პროკურორი თანამდებობას შეინარჩუნებდა, ვარაუდები არ გამართლდა და თამაზ ჭუმბურიძეს თანამდებობის დატოვება მოუწია. **"ქვეყანაში ცვლილებები მიმდინარეობს, მოდის ახალი ხელისუფლება და სისტემას ახალი სისხლის გადასხმა სჭირდება. ეს ჩვეულებრივი პროცესია და მტკივნეულად არავინ უნდა აღიქვას. როდესაც თანამდებობაზე ვიყავი, ყოველთვის მქონდა იმის განცდა, რომ მუდმივი არაფერია. ჩემი აზრით, ქვეყანაში რაც ხდება, ცუდი არ არის; პირიქით, ჩვენგან ხელის შეწყობას მოითხოვს",** - აცხადებს ჭუმბურიძე. სამხარეო პროკურორის სავარძელი კი მიხეილ ჩოგოვაძემ დაიკავა. მანამდე იგი სამხარეო პროკურატურაში საგამოძიებო ნაწილს კურირებდა და მის აქტივშია ენერგეტიკის სექტორსა და ჩვილი ბავშვების უცხოეთში ვაჭრობის რამდენიმე გახმაურებული საქმის გამოძიება.

**"სამხარეო პროკურორად კადრი სწორად შეარჩიეს. ჩოგოვაძე ახალგაზრდა, ნიჭიერი კაცია, აქვს ლიდერის და ხელმძღვანელის თვისებები. არა მგონია, პროკურატურის სისტემაში მას მხარი არ დაუჭირონ",** - აცხადებს ახლა უკვე ყოფილი პროკურორი, რომელიც, სხვათა შორის, ჩოგოვაძის მასწავლებლად ითვლება.

უნდა ითქვას, რომ ახალდანიშნულ ხელმძღვანელებს საკმაოდ მძიმე მემკვიდრეობა ერგოთ. ამაზე მეტყველებს ბოლო პერიოდში იმერეთში მომხდარი კრიმინალური შემთხვევები.

ქუთაისში სამი დღის წინ მძიმე მკვლელობა მოხდა. ჯერჯერობით დაუდგენელი პირების მიერ ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით, საკუთარ საცხოვრებელ სახლთან მოკლული იქნა 1942 წელს დაბადებული, ორჯერ ნასამართლევი ზაურ ჟღენტი. შემთხვევის ადგილიდან ამოღებულია "აკს"-სისტემის ავტომატის 4 ცალი ვაზნა. აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, გამოძიებას ქუთაისის პროკურატურა აწარმოებს. ქალაქის პოლიციის უფროსის თემურ ნოზაძის ინფორმაციით, ზაურ ჟღენტს სერიოზული კრიმინალური წარსული გააჩნდა და ორჯერ იყო ნასამართლევი; ბოლოს კი 12-წლიან სასჯელს ადამიანის გატაცებისთვის იხდიდა. თუმცა, აქედან 9 წელი მოიხადა და ვადაზე ადრე გათავისუფლდა. **"უცნობმა პირებმა მის მეზობელს დაუძახეს, რომელთანაც ზაურ ჟღენტს ერთი ღობე ყოფდა. ჟღენტი გამოვიდა და იგი ადგილზევე ავტომატით დაცხრილეს. მკვლელობა მის კრიმინალურ წარსულს უკავშირდება. იგი ქალაქში შავბნელი ძალა იყო",** - განაცხადა ჩვენთან საუბრისას თემურ ნოზაძემ. ქალაქში გავრცელებული ხმების თანახმად კი, შესაძლოა, მკვლელობა გატაცებული ადამიანის ახლობლებმა შურისძიების მოტივით ჩაიდინეს. ამბობენ იმასაც, რომ გატაცებული პიროვნება ჟღენტის ნათლული იყო. გამოძიება აღნიშნულ ვერსიებზე მუშაობს, ამ ეტაპზე პროკურატურას მკვლელობის თვითმხილველი მოწმეები არა ჰყავს.

# რწმუნებული რწმუნებულის ინსტიტუტის წინააღმდეგ

ვასილ გულეური
გორიდან

*"ვარდების რევოლუციის" შემდეგ, შიდა ქართლის სამხარეო რწმუნებულმა დავით ქობლიანიძემ თანამდებობა დატოვა. მისი კაბინეტი 3 დეკემბრიდან "ნაციონალური მორაობის" ერთ-ერთმა ლიდერმა ირაკლი ოქრუაშვილმა დაიკავა, თუმცა, როგორც იგი აცხადებს, სულაც არ აპირებს კაბინეტში ჩაიკეტოს და იქიდან უყუროს სიტუაციას.*

ახალი რწმუნებული შიდა ქართლის საზოგადოებას ახალმა სახელმწიფო მინისტრმა ზურაბ ჟვანიამ წარუდგინა, თუმცა თავადვე აღნიშნა, რომ გორელებთან დიდი წარდგინება არ სჭირდება ირაკლი ოქრუაშვილს, რომელმაც დამაჯერებლად გაიმარჯვა საპარლამენტო არჩევნებში და მაჟორიტარი დეპუტატის მანდატი მოიპოვა. როგორც ზურაბ ჟვანიამ აღნიშნა, ახალ ხელისუფლებას კარგად ესმის, რომ ხალხის იმედგაცრუება არავის შერჩება. **"მე დავიწყე სახელმწიფო მინისტრობა იმით, რომ სახელმწიფო კანცელარიის წინ მოვხსენი გისოსები. პატარა, სიმბოლური ჟესტი იყო, მაგრამ ამაში ჩავდეთ ის, რომ ხალხს და ხელისუფლებას, რომელიც ხალხმა მოიყვანა, არ შეიძლება, ჰქონდეს ბარიერი... მიხარია, რომ ამ ხელისუფლების მთავარი წარმომადგენელი შიდა ქართლში იქნება ის პიროვნება, რომელსაც ნამდვილად შესწევს უნარი, ასეთი პოლიტიკა განახორციელოს...**

**მას მეტი შესაძლებლობა ექნება, ვიდრე რიგით მაჟორიტარ დეპუტატს პარლამენტში. ყველა უფლება მის ხელში იქნება. მას აქვს ყველა ის თვისება, რაც სჭირდება ახალი ხელისუფლების ყვლა წარმომადგენელს. სადაც საჭიროა, მას მუშტის დარტყმაც შეუძლია (მაგიდაზე დარტყმას ვგულისხმობ), სადაც საჭიროა, შეუძლია იყოს მკაცრი და შემტევი. ყველას შეუძლია ფართოდ გაუღოს კარი საიმისოდ, რომ არავინ იგრძნოს თავი დამარცხებულად და გარიყულად იმ პროცესებიდან, რაც დღეს იწყება საქართველოში."**


ვასილ გულეურის ფოტო

*ოქრუაშვილმა ხალხთან ურთიერთობა პირდაპირ დარბაზიდან დაიწყო.*

ირაკლი ოქრუაშვილმა თავიდანვე აღნიშნა, რომ არ აპირებს კაბინეტური სისტემით მუშაობას და ვერც სხვისგან მოითმენს ამას: **"ჩვენ გვაქვს სრული მანდატი ხალხისგან და უნდა გვქონდეს ყოველდღიური კონტაქტი, ყოველდღიური შეხვედრები ხალხთან, რათა რეალურად ვიცნობდეთ იმ პრობლემებს, რაც მოსახლეობას აწუხებს. მარტოკაცი ჭამაშიაც ბრალიაო, ამიტომ თქვენი იმედი მაქვს. ჩვენ ვიწყებთ ახალი ქვეყნის მშენებლობას."**

მოსალოდნელ საკადრო ცვლილებებთან დაკავშირებით ახალმა გუბერნატორმა განაცხადა, რომ **"არანაირი საკადრო ცვლილებები იმ ნიშნით, რაც აქამდე ქვეყანაში მიღებული იყო - ნათესაობის, ქრთამის, ნაცნობობის ნიშნით - აღარ იქნება. ყველა ადამიანს ექნება საშუალება, დაწინაურდეს ან დაინიშნოს სახელმწიფო სამსახურში მისი პროფესიონალიზმიდან, პატიოსნებიდან და განათლებიდან გამომდინარე."**

"24 საათისთვის" მიცემულ ინტერვიუში ირაკლი ოქრუაშვილმა აღნიშნა, რომ შიდა ქართლში პირველ რიგში მოსაგვარებელია კრიმინალური სიტუაცია და კონტრაბანდის პრობლემა. **"საკმაოდ მძიმე პრობლემებია სოციალურ სფეროში, განათლებაში... იმ პირებმა, რომლებიც საკუთარ თანამდებობას ჯიბის გასასქელებლად იყენებენ, უნდა დატოვონ სამსახური."**

კითხვაზე, თუ რატომ თქვა უარი დეპუტატის მანდატზე და რატომ დათანხმდა სამხარეო რწმუნებულის თანამდებობს, ირაკლი ოქრუაშვილმა გვიპასუხა, რომ ეს არასწორი მოსაზრებაა და მანდატზე უარი არ უთქვამს. **"ჩემი უფლებამოსილება ჯერ ცნობილი არ არის, მე ველოდები ახალი პარლამენტის შეკრებას და ჩემს მეგობრებთან ერთად გადავწყვეტ, თუ საიდან და რა დოზით უფრო შემიძლია ჩემი ქვეყნისათვის მეტის გაკეთება."** მან არ გამორიცხა, რომ შესაძლებელია, შემდეგ უარი თქვას ამ თანამდებობაზე და აღნიშნა, რომ **"სამხარეო რწმუნებულის ინსტიტუტი არის სრულიად ამორფული ინსტიტუტი. დებულებას რომ გადახედოთ, ვერ ნახავთ ვერც ერთ ლოგიკურ ფუნქციას, რომელიც მას გააჩნია. ეს ინსტიტუტი გასაუქმებელია და მას შევინარჩუნებთ მხოლოდ გარდამავალ პერიოდში."**

# ახალი გუბერნატორი "სუფთა ხელებით ბრძოლას" იწყებს

მაია მოსიაშვილი

ქვემო ქართლის ახალ გუბერნატორს ზურაბ მელიქიშვილს აქ რვა წლის მანძილზე მოღვაწე ლევან მამალაძემ არც თუ სახარბიელო მემკვიდრეობა დაუტოვა - სამხარეო აპარატის რამდენიმეთვიანი სახელფასო დავალიანება, მიწასთან დაკავშირებული მწვავე პრობლემები, ღატაკი მაღალმთიანი რაიონები და ა.შ. მიუხედავად უამრავი პრობლემისა, წლების განმავლობაში არსებობდა ამ რთული რეგიონისათვის მამალაძის ფიგურის აუცილებლობის მითი. **"ასეთივე მითი არსებობდა შევარდნაძესთან დაკავშირებით, თუმცა ერთი კვირის წინ ის, ფაქტობრივად, გაქრა. ასეთი მითების არც მე მჯერა და, საბედნიეროდ, არც საქართველოს მოსახლეობის დიდ ნაწილს,"** - განაცხადა ქვემო ქართლის ახალმა გუბერნატორმა, რომლის წარსადგენად რუსთავში სახელმწიფო მინისტრი ზურაბ ჟვანია ჩამოვიდა. მათ მასპინძლობას რუსთავის მერი მერაბ ტყეშელაშვილი უწევდა.

**"ეს არის უმწიკვლო ადამიანი, კარგი ორგანიზატორი. მან უნდა დაუბრუნოს მოსახლეობას სამართლიანობის განცდა. ქვემო ქართლი, ძალიან რთული და ამავე დროს მდიდარი მხარე, მალე იგრძნობს, რომ მოვიდა სრულიად ახალი ტიპის ხელისუფლება. აქაურებმა კარგად იციან, რა ძვირი დაუჯდა ჩვენს საზოგადოებას მამალაძის მხრიდან მხოლოდ საკუთარი თავისა და გარემოცვის გამდიდრებაზე ზრუნვა. ჩვენ ვივიწყებთ იმას, რაც იყო და კარს ვუხსნით ყველას,"** - განაცხადა ახალმა სახელმწიფო მინისტრმა.

32 წლის ზურაბ მელიქიშვილი ამბობს, რომ კარგად ერკვევა მხარის პრობლემატიკაში, თუმცა კონკრეტიკას, ასევე ლევან მამალაძესა და მხარეში მის ფინანსურ ინტერესებზე პირდაპირ საუბარს, თავს არიდებს.

**- ზურაბ ჟვანიამ განაცხადა, რომ ქვემო ქართლი მდიდარი რეგიონია და ეს სიმდიდრე წლების განმავლობაში ყოფილი გუბერნატორისა და მისი გარემოცვის ჯიბეში მიდიოდა. როგორ აპირებთ ამ კორუფციული სისტემის დარღვევას?**

- არ არსებობს მოუგვარებელი პრობლემა. წინა ხელისუფლება კორუფციას კი არ ებრძოდა, პირიქით, აღრმავებდა. ჩვენ გვაქვს სუფთა ხელები და ეს არის ძირითადი იარაღი, რითიც ვაპირებთ ბრძოლას. მჯერა, საზოგადოება მხარში დამიდგება და კანონიერების ფარგლებში, ვინც იქნება დასასჯელი, დაისჯება. ამას ხალხი მალე დაინახავს. კანონს ყველა ერთნაირად უნდა ემორჩილებოდეს გუბერნატორიც და ჩვეულებრივი მოქალაქეც.

**- რეგიონის მართვას საკმაოდ ართულებს ის, რომ ის ეთნიკურად ჭრელია. ლევან მამალაძეს მხარის არაქართულ მოსახლეობასთან ურთიერთობის საკმაოდ ეფექტური მეთოდები ჰქონდა, თქვენ?**

- მე ვეცდები, რომ ადამიანებს შორის იყოს მეგობრული ურთიერთობა და იმის განცდა, რომ ისინი ერთი ქვეყნის მოქალაქეები არიან. ყველამ უნდა დაიწყოს სახელმწიფოებრივად აზროვნება - პენსიონერი უნდა იყოს დაცული, ადამიანმა არ უნდა მოიპაროს და ასე შემდეგ. ჩვენ უნდა ავაშენოთ, ფაქტობრივად, ახალი ცნობიერების სახელმწიფო, რომლის მთავარი შემადგენელი ნაწილი ხალხია. მე ყველა საღად მოაზროვნე ადამიანთან ვაპირებ თანამშრომლობას.

**- თუ იცით, რამდენი გექნებათ ხელფასი?**

- (ყოყმანობს) სიმართლე გითხრათ, ზუსტად არა...

**- მე გეტყვით. თქვენი ხელფასი 145 ლარი იქნება. დღემდე გუბერნატორებსა და მინისტრებს 150-ლარიანი ხელფასი ხელს არ უშლიდათ, შეეძინათ რამდენიმე ძვირადღირებული მანქანა, ვილები და ასე შემდეგ. თქვენ გამონაკლისი რის საფუძველზე იქნებით?**

- მე გარწმუნებთ, რომ ზურა მელიქიშვილი რა ეკონომიკური შესაძლებლობითაც ჩამოვიდა, იგივეთი წავა აქედან. მე არ ვაპირებ ხალხის ხარჯზე რაღაცის მოხვეჭას. საქართველო ძალიან პატარაა, ამიტომ მის ერთ ბოლოში დღის პირველ ნახევარში რას გააკეთებ, დღის ბოლოს მეორე ნახევარში უკვე იციან. რაც უნდა ამტკიცო მერე, ასეთი ვარ და ისეთიო, ვერაფერი გიშველის. გარწმუნებთ, რომ მე პატიოსანი ადამიანის სახელი მეტად მიღირს, ვიდრე ფინანსური უზრუნველყოფა.

**- წარდგენის დროს სოციალურ პრობლემებთან ერთად მიწის პრობლემასაც შეეხეთ.**

- დაახლოებით ასეთი სიტუაციაა: რამდენიმე ადამიანმა გადაწყვიტა, ხელში ჩაეგდო იჯარით თუ არენდით გასაცემი მიწები, შემდეგ ისევ ჩვენი მოქალაქეები დაექირავებინა და ემუშავებინა. იქ სადაც მიწა ჩალის ფასად არის გადაცემული, საქმეში სამართალდამცველები ჩაერთვებიან. მე ამ საქმეს ბოლომდე მივყვები. მიწა იმ ადამიანების ხელში უნდა გადავიდეს, ვინც მას ამუშავებს. სხვანაირად სახელმწიფოს ვერ ავაშენებთ.

**- ჟვანიას თქმით, თქვენზე ვერავინ იტყვის, რომ აქვს წილი ცემენტის ქარხანაში, მადნეულში ან სადახლოს ბაზრობაზეო. რა ბედი ელით ამ "წილებს"?**

- ყველაფერი გაკეთდება, რომ სახელმწიფომ, ანუ ხალხმა გააკონტროლოს ის, რასაც აქამდე რამდენიმე ჩინოვნიკი აკონტროლებდა. მთელი თანხა ხალხის სასარგებლოდ უნდა იხარჯებოდეს.

**- საკადრო ცვლილებები მასშტაბური იქნება?**

- უკვე შევხვდი აპარატს და წამყვანი სამსახურების უფროსებს. მე მათ განვუცხადე, თუ იმუშავებენ ხალხის სასარგებლოდ, ამოვიყენებთ გვერდით. თუმცა იმ ადამიანებმა, რომლებიც წლების განმავლობაში ხალხის ხარჯზე ცხოვრობდნენ, პასუხი უნდა აგონ და ამაში სამართალდამცავი ორგანოები ჩაერთვებიან.

*კულუარები*

# კახეთში პოლიციის ახალი შეფი დაინიშნება

ზვიად რუაძე
კახეთიდან

სულ მალე კახეთის რეგიონში სამხარეო პოლიციის უფროსის თანამდებობა გათავისუფლდება. ამის შესახებ საუბარი ჯერ კიდევ შინაგან საქმეთა ექს-მინისტრის, კობა ნარჩემაშვილის წასვლის შემდეგ დაიწყო. ზურაბ ტუშურს, რომელიც რამდენიმე წელია ამ საპასუხისმგებლო სამსახურის შეფია, გავრცელებული ინფორმაციით, სამინისტროში დიდ თანამდებობას ჰპირდებიან. ტუშური რომ თანამდებობას ტოვებს, ეს ინფორმაცია სამხარეო ადმინისტრაციაშიც დაგვიდასტურეს. **"ჩვენ ამის შესახებ ზოგადი ინფორმაცია გვაქვს, თუმცა, მას რამდენად ვიცი, გადადგომის შესახებ განცხადება ჯერ არ დაუწერია,"** - ამბობს კახეთში პრეზიდენტის რწმუნებულის მოვალეობის შემსრულებელი გოგი მაჩხაშვილი. ამბობენ, რომ ზურაბ ტუშურის გათავისუფლება თანამდებობიდან უკავშირდება ჩალაუბნის საგზაო პოლიციის საგუშაგოზე მომხდარ ინციდენტს, სადაც ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის ხელჩართულ ბრძოლაში, სამართალდამცველების მხრიდან ცეცხლსასროლი იარაღით მანდილოსანი დაიჭრა. ამ ბრალდებას ზურაბ ტუშური ჩვენთან საუბარში კატეგორიულად უარყოფს, დაკავებული თანამდებობიდან გადადგომის შესახებ კი კომენტარს არ აკეთებს.

როგორც "24 საათს" სანდო წყარომ განუცხადა, ზურაბ ტუშურის ადგილს იუსტიციის ექს მინისტრის როლანდ გილიგაშვილის ძმა, ერთ დროს გურჯაანის პოლიციის უფროსი, ლექსო გილიგაშვილი დაიკავებს. თავდაპირველად ეს ინფორმაცია გილიგაშვილმა არ დაგვიდასტურა, თუმცა განაცხადა, რომ იგი ქვეყნის სამსახურისთვის მზად არის. **"არ ვიცი ეს ინფორმაცია თქვენ ვინ მოგაწოდათ, მაგრამ გეტყვით, რომ ქვეყნის სამსახურისთვის მზად ვარ,"** - გვითხრა გილიგაშვილმა.



www.24hours.ge 24 B

ნომრის სტუმარი

# გზაჯვარედინზე ცხოვრება მძიმეც არის და ადვილიც

## მოთმინება, სიფრთხილე და შორს გახედვაა საჭირო

მაია ჭალაგანიძე

*ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი ალექსანდრე ჩიკვაიძე სამი სხვადასხვა ტიპის და სიძლიერის ქვეყნებს წარმოადგენდა ხოლმე. ამ მხრივ მისი ბიოგრაფია უნიკალურია: დაამთავრა მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტის ინგლისური ენის ფაკულტეტი, საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემია, სწავლობდა ლონდონში. მისი პირველი დიპლომატიური თანამდებობა ბომბეიში სსრკ-ს საელჩოს ვიცეკონსულობა იყო. შემდეგ, ინგლისში სსრკ-ს საელჩოს პირველ მდივნად გადავიდა. ლონდონის შემდეგ თბილისში დაბრუნდა და სხვადასხვა პარტიულ თანამდებობებზე იმუშავა. შემდეგ სწავლობდა მოსკოვის დიპლომატიურ აკადემიაში, საიდანაც 1979 წელს სან-ფრანცისკოში გენერალურ კონსულად გაუშვეს. შემდეგ იყო სსრკ-ს ელჩი კენიაში და შემდეგ - ჰოლანდიაში. მძლე კავშირის დანგრევის გამო ამ ქვეყანაში ის რუსეთს წარმოადგენდა. ამასობაში, დამოუკიდებელ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი დასჭირდა... ოთხი წლის მერე ამ თანამდებობიდან ჯერ საბერძნეთში გაუშვეს ელჩად და შემდეგ - შვეიცარიაში. ბატონი ალექსანდრე ვატიკანში და სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში წარმოადგენს საქართველოს.*

*მის ბიოგრაფიას ხან აჩრდილივით და ხანაც აშკარად, მუდამ გასდევდა ედუარდ შევარდნაძის ფიგურა. სადაც არ უნდა წასულიყო სამუშაოდ, თბილისსა თუ მოსკოვში, ყველგან უფროსად ხვდებოდა. ელჩის ამჟამინდელი ჩამოსვლა უპრეცედენტო იყო - ედუარდ შევარდნაძე მას გადამდგარი დახვდა.*

**- თქვენი ჩამოსვლა ახალი მთავრობისგან ახალ შემოთავაზებას ხომ არ უკავშირდება?**

- ორ კონკრეტულ საქმეზე ჩამოვედი - 1991 წელს ცხინვალის მოვლენების დროს სხვა ძვირფას ნივთებთან ერთად მუზეუმიდან XI-XII საუკუნეებით დათარიღებული სპილოს ძვლის სამნაწილიანი ხატი-ტრიპტიქონი მოიპარეს და ქვეყნის ფარგლებს გარეთ გაიტანეს. ეს ხატი ჟენევაში, კრისტის აუქციონზე აღმოჩნდა. რუსეთის მოქალაქე 2 მილიონი დოლარის ნომინალური ღირებულებით აპირებდა მის გაყიდვას. შვეიცარიაში საქართველოს საელჩოს ორგანიზებით, საელჩოს თანამშრომლის - დავით ბაქრაძის დიდი მონდომებით - ბადრი ბიწაძის (მაშინ ის გენერალური პროკურორის მოადგილე იყო) და ლაშა ნაცვლიშვილის (უშიშროების მინისტრის მოადგილე) შვეიცარიის შესაბამისი სტრუქტურების ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკებების შედეგად, ყველა ფორმალობა მოგვარდა. ძალიან გვეხმარებოდა ვალერი ხაბურძანიაც და უახლოეს მომავალში ხატის გადმოცემის ოფიციალური ცერემონია გაიმართება.

მეორე საკითხი ფინანსებს უკავშირდება - 4 თვეა, საელჩოს თანამშრომლებისთვის ხელფასები არ დაგვირიგებია. იქ ვერავის სთხოვ დახმარებას. ხელფასის გარდა დაქირავებული ბინების 4 თვის ქირაა გადასახდელი. დაზღვევის საკითხიც ღიად რჩება - დაზღვევის გარეშე, ავად რომ გახდე და 3 დღით კლინიკაში დარჩენა მოგიწიოს, მკურნალობა 2 თვის ხელფასი დაჯდება. ბინების დაცლის თაობაზე წერილიც კი მოგვივიდა.

**- ძველ მთავრობას ჩამოუსწარით?**

- ვერა. შევხვდი ქალბატონ ნინოს და მიხეილ სააკაშვილს. ამ დღეებში ჟვანიასაც შევხვდები. ტელეფონით ვესაუბრე თედო ჯაფარიძეს და, რაც მთავარია, ზურაბ ნოღაიდელს.

**- რას დაგპირდათ?**

- მისი მესმის, მძიმე ვითარებაა. თუ ასე გაგრძელდა, საელჩო უნდა დავხურო. ჩემს თავს არ ვაკადრებ იმას, რომ გამომაგდონ და ქუჩაში დავრჩე. ეს ხომ ჩვენს იმიჯზე მოქმედებს? დამტკიცებული ბიუჯეტის ზევით არაფერს ვთხოულობთ... უახლოეს მომავალში ჟენევაში დიდი კონფერენცია ტარდება. ყველა ქვეყნის პირველი პირები განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის ინფორმაციის მიწოდების თაობაზე ურთიერთკავშირებს განიხილავენ. არ ვიცი, როგორ დავხვდებით ჩვენი ქვეყნის მეთაურს, საელჩო უკაპიკოდ არის.

**- საქართველოში განვითარებულ მოვლენებს შვეიცარიიდან ადევნებდით თვალს...**

- საელჩო მაქსიმალურად იყო ინფორმირებული. "რუსთავი 2-ს" ვერ ვაცილებდი თანამშრომლებს. დაძაბული სიტუაცია იყო. როდესაც ქვეყანას ხარ მოცილებული, უფრო მეტად გაღელვებს იქ მიმდინარე ამბები. აქვე მინდა გითხრათ, რომ ამ რევოლუციაში, საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაში უდიდესი როლი შეასრულა მასმედიამ. არ მინდა ეს სიტყვა ვიხმარო, მაგრამ მასმედიამ ხალხს თავს მოახვია აზრი, რომ სისხლისღვრა არ უნდა მომხდარიყო, რომ სიმშვიდე უნდა შეენარჩუნებინათ. მედიამ აუხსნა მოსახლეობას, რომ სხვა გზა არ არსებობდა და ყველაფერი უნდა გაეკეთებინათ ამისთვის. ალბათ, არსებობდა ისეთი ხალხი, ვისაც ჩახმახისთვის ხელის გამოკვრა უნდოდა. მასმედიის წყალობით, ამას ვერ გაბედავდნენ.

დიპლომატიურ სამსახურში 40 წლის მუშაობის მანძილზე არ მახსოვს, ასე დიდხანს დაეთმოთ ეთერი საქართველოსთვის. ყველა ენაზე გადმოსცემდნენ, გაოცებული ვიყავი.

**- თქვენ როგორ ხსნით ამ ინტერესს?**

- საქართველო გზაჯვარედინზეა. გზაჯვარედინზე ცხოვრება მძიმეც არის და ადვილიც. აქ სხვადასხვა ქვეყნის ინტერესები იხლართება. არ გამოვრიცხავ, რომ დიდია დასავლეთის ინტერესი ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენისადმი. გვერდით თურქეთია, ნატო-ს ქვეყანა, მოპირდაპირედ - რუსეთი. ბევრმა ფაქტორმა წამოიწია წინა პლანზე. გაფაციცებით აკვირდებოდნენ იმასაც, რომ სისხლი არ დაღვრილიყო. ერთადერთხელ, ჰაველის დროს არ დაღვრილა სისხლი და ამისთვის მას ნობელის პრემია მისცეს. მეორე ასეთი შემთხვევა საქართველოში მოხდა - ქედს ვიხრი მასმედიის წინაშე.

მომხდარით ყველა კმაყოფილია, მაგრამ დასავლეთში მაინც არჩევნების შედეგებს ელიან.

დსთ-ს ქვეყნებში რთული ვითარებაა. საბჭოთა კავშირი კი დაიშალა, მაგრამ ყოფილი რესპუბლიკების გაერთიანების საშიშროება მაინც არის. საქართველოს მაგალითმა გავლენა იქონია სხვა რესპუბლიკებზე. ამას ჯაჭვური რეაქცია ექნება. ამით რუსეთიც შეშფოთებულია. მოკლედ, საკითხების კომპლექსმა საქართველოსადმი აქტიური ინტერესი გამოიწვია.

**- როგორ შეაფასებდით ნინო ბურჯანაძის დიპლომატიურ მისიას ჰოლანდიაში მიმდინარე ეუთო-ს ქვეყნების შეხვედრაზე?**

- მიმაჩნია, რომ ბრწყინვალედ არის ჩატარებული. ჩემი დიპლომატიური გამოცდილებით გეტყვით, რომ დიდი საქმეები გაკეთდა. დასავლეთი შემოტრიალებულია. მათ ესმით, რომ ჩვენთვის ფინანსური დახმარება ახლა ძალზე მნიშვნელოვანია.

**- პაუელის აშკარა მხარდაჭერა რუსეთს ხომ არ გააღიზიანებს? მასთან შებმა, ჯერჯერობით, არ შეგვიძლია.**

- ამა თუ იმ ქვეყნის პოლიტიკური ნება სხვადასხვა ჯგუფების მიერ ყალიბდება. რუსეთში არიან ძალები, რომლებმაც პრეზიდენტ პუტინს სულ სხვაგვარად შეიძლება წარმოუდგინონ სურათი. რუსებს საქართველოს საკითხში ჩამოყალიბება სურთ. საქართველომ ღიად უნდა აჩვენოს, რას ფიქრობს რუსეთთან მომავალ ურთიერთობებზე, მანამდე რუსებს აზრი არ ჩამოუყალიბდებათ.

**- ახალი ხელისუფლება ამბობს, რომ კეთილმეზობლური ურთიერთობის მომხრეა.**

- ასეც უნდა იყოს. გზაჯვარედინზე მდებარე პატარა ქვეყანას სხვა გზა არა აქვს. როდესაც საგარეო საქმეთა მინისტრი ვიყავი, ყველას მიმართ გაწონასწორებულ, გათანაბრებულ, მეგობრულ ურთიერთობებს ვაყალიბებდი.

**- თქვენ იყავით დიდი ქვეყნის ელჩი. საქართველო პატარა ქვეყნების რიგშია, რამდენად რთულია, აქტუალური გახადო შენი ქვეყანა? შევარდნაძის ხელისუფლება შეცდომებს უშვებდა. როგორ გამოდიოდით სიტუაციიდან?**

- შევარდნაძის შესახებ არავითარი კომენტარის გაკეთება არ მინდა. ქართველებს ერთი ჩვეულება გვაქვს - რომანტიზმია, ემოციაა თუ რა, არ ვიცი, მაგრამ ყოველთვის უკან, წარსულში ვიყურებით. ის კაცი არ ვარ, რომ მაგ დონეზე დავიდე და შევარდნაძის მოღვაწეობასა და პირად ურთიერთობებზე შეფასებები გავაკეთო. შევარდნაძეს ხალხი და ისტორია შეაფასებს. ისტორია იტყვის, სად იყო მართალი და სად - არა. არ მინდა, შევარდნაძეს შევეხო.

წიგნის დაწერას ვაპირებ, მონახაზებიც მაქვს. სათაური წიგნის შინაარსსაც გამოკვეთავს - "სამი ქვეყნის ელჩის თვალით" - ასე ერქმევა წიგნს. ეს ისეთი ტევადი სათაურია, რომ საშუალებას გაძლევს, ყველაფერზე ილაპარაკო. ვიყავი სსრკ-ს ელჩი, რუსეთის ელჩი და საქართველოს ელჩი - ისტორიაში ასეთი მაგალითი არ არსებობს. პრესკონფერენციაზე ერთმა ძლიერმა ამერიკელმა ჟურნალისტმა ისიც კი მკითხა, გინესის წიგნში რატომ არ შეხვალთო?

**- საგაზეთოდ, მოკლედ ხომ არ ჩამოაყალიბებდით, რომელ ამპლუაში გრძნობდით თავს უკეთ?**

- დიდი ქვეყნის ელჩი სხვაგვარად გრძნობს თავს. თუმცა, შეიძლება დიდი ქვეყანა გედგას უკან, მაგრამ (ბოდიშს ვიხდი), დეგენერატი იყო. თუ ამას დაინახავენ, ურთიერთობებს აღარ აღრმავებენ.

**- რუსების დიპლომატიის საბჭოთა მეთოდოლოგია ისევ ჭრის დღევანდელ მსოფლიოში?**

- რუსულ დიპლომატიას ძალიან საინტერესო მექანიზმი აქვს. ძლიერი სკოლაა და თქვენ წარმოიდგინეთ, ჭრის. დღევანდელი რუსეთი სრულიად განსხვავებულია. პრეზიდენტი ჰყავთ ძლიერი პიროვნება. რუსეთის ხელში აყვანა ადვილი არ არის, პუტინს კი ქვეყანა ხელში უჭირავს. რუსეთთან სერიოზული საქმიანი ურთიერთობები უნდა დამყარდეს.

**- თქვენ 90-იან წლებში საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი იყავით. როგორ იწყებოდა ქართული დიპლომატიის ახალი ისტორია?**

- მაშინ რუსთის ელჩი ვიყავი ჰოლანდიაში. თვენახევარი ვიმსახურე. ერთ დღეს, თენგიზ სიგუა მირეკავს (მას არ ვიცნობდი) და საგარეო საქმეთა მინისტრობას მთავაზობს. არაფერი ვუპასუხე, გავჩუმდი. მან მითხრა, "ალბათ, ფიქრობთ, წამოხვიდეთ მაგ დაწყობილი ქვეყნიდან საქართველოში თუ არაო..." ვუპასუხე - "იმიტომ გავჩუმდი, რომ ვფიქრობ, როდის მოფრინავს პირველი თვითმფრინავი..." დაუფიქრებლად წამოვედი... რაც მე აქ დამხვდა, კინაღამ ცუდად გავხდი - გაუპარსავი ხალხი, ავტომატები... როგორ უნდა დამელაგებინა ეს ყველაფერი? თამამად ვიტყვი - ოთხ წელიწადში სამინისტროს დალაგება შევძელი. ერთი-ორი წელიც რომ ეცლიათ, სამინისტრო თავის გზას დაადგებოდა და არსად არ გადაუხვევდა. ირაკლი მენაღარიშვილი წესიერი კაცია და, რასაკვირველია, რაც შეძლო, გააგრძელა.

**- საბერძნეთში საქართველოს ელჩი დიდხანს იყავით. ჩვენს ქვეყანაში იმ დროსაც შიდა არეულობა იყო, როგორ ცხოვრობდით?**

- მაშინ პირველად გაგვიჭირდა. მივედი საბერძნეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან და ჩვენი გასაჭირის შესახებ ვუამბე. 10 წუთში გადამიწყვიტა ყველაფერი - პროცენტისა და დაბრუნების გარეშე 2 მილიონი დოლარი გვაჩუქეს. მთელი თანხა საქართველოში გადმოვრიცხე და სად წავიდა, კაცმა არ იცის. საბერძნეთში ჩვენს საელჩოს ეს ფული თვალით არ უნახავს.

**- ცნობილია, რომ განსაკუთრებით ჰოლანდია გიყვართ...**

- ბრწყინვალე ქვეყანაა. უნიკალური ენა აქვთ, ქართულივით არის. მხოლოდ ჰოლანდიაში საუბრობენ და კიდევ - სამხრეთ აფრიკაში. სხვათა შორის, იქ მუშაობისას გამომადგა ეს ენა.

ახლა ძალიან მყუდროდ ვერ ვგრძნობ თავს, ენამ მივიწყება იცის. სხვათა შორის, ამ ენაზე ტელეფონით სააკაშვილის მეუღლესაც ვესაუბრე. ძალიან სიმპათიური ქალბატონია. ინტილიგენტური ქართულით საუბრობს, იცით, ეს რამდენს ნიშნავს?! ქართველებს გვიყვარს, რომ ყველაფერი ჩვენებურად იყოს, მით უმეტეს, თბილისელებს. თბილისი ყოველთვის მანათობელი იყო, სწორედ აქედან ნათდებოდა მთელი ჩვენი ქვეყანა.

ჰოლანდიაში სსრკ-ს ელჩი ვიყავი. ამხელა ქვეყნის ელჩმა ნერწყვიც რომ გადაყლაპოს, უკვე პოზიციაა. სსრკ დაიშალა და რუსეთის ელჩის ამპლუაში დამტოვეს.

ნიდერლანდების დედოფალი ნამდვილად ქვეყნის დედაა. მასთან არაჩვეულებრივი ურთიერთობები მქონდა. მიღებაზე მეუღლესთან ერთად ვიყავი ხოლმე, მაგრამ ვცდილობდი, მარტო მესაუბრა მასთან, ასეთ დროს უფრო იხსნებოდა დედოფალი. მეუღლემ კინაღამ იეჭვიანა.

ერთი საინტერესო შემთხვევა მახსენდება - ამსტერდამში მალევიჩის გამოფენა იყო. სუფრა 500 პერსონაზე იყო გაწყობილი. "შავი კვადრატისა" და "წითელი კვადრატის" სანახავად მთელმა ელიტამ მოიყარა თავი. იმ მაგიდასთან დამსვეს, სადაც დედოფალი იჯდა. მოულოდნელად, დედოფალმა სიტყვით გამოსვლა შემომთავაზა. ტრიბუნასთან მივდიოდი და არ ვიცოდი, რა უნდა მეთქვა. მაინც დავიწყე - თქვენო უდიდებულესობავ, ქალბატონებო და ბატონებო, უნდა გამოგიტყდეთ I can't understend "black square" (მე არ მესმის "შავი კვადრატი")... პაუზა გავაკეთე. კალაშნიკოვი რომ ჰქონოდათ, დარბაზიდან დაუნანებლად მესროდნენ. მცირე ხნის მერე, დავსძინე - but, i do understand "red square" (მაგრამ მე მესმის წითელი მოედანი). მოედანი და კვადრატი ინგლისურად ერთი და იგივე სიტყვაა... დარბაზი იცინოდა, მაგიდასთან რომ დავჯექი, დედოფალი კიდევ განაგრძობდა სიცილს.

იმ ქვეყნიდან რომ მოვდიოდი, ჩემს საპატივცემულოდ გამართულ გამოსამშვიდობებელ სადილზე დედოფალმა ისურვა – იქნებ, ერთ დღეს საქართველოს ელჩად დაგვიბრუნდეო...

**- არა მხოლოდ ევროპულ ქვეყნებში გიმუშავიათ. განსხვავებული ურთიერთობები ხომ არ იყო საჭირო კენიაში, სადაც თქვენ საბჭოთა კავშირს წარმოადგენდით?**

- სამხრეთ აფრიკაში ძალიან კარგი ხალხია. როგორც გითხარით, ურთიერთობებში ჰოლანდიური ენის ცოდნა ძალიან გამომადგა. დიპლომატია კი ყველგან დიპლომატიაა...

წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა კილიმანჯარომ. თვალით ნანახი - სულ სხვაა. ეს მთა ღრუბლით არის დახურული. ჩამოდიან ტურისტები და ელოდებიან, როდის გაიხსნება. ღრუბელი ფარდასავით იხსნება. პატარა ბიჭები დარბიან და ყვირიან: "გაიხსნა, "გაიხსნა"... ერთსაათიანი გახსნის შემდეგ ორი თოვლით დაფარული მთა გამოჩნდება (სხვათა შორის, საქართველოს ბუნებას სულაც არ სჯობია. საერთოდ, ჩვენნაირი ბუნება მსოფლიოში ძალიან ცოტა ქვეყანას აქვს). ხალხი, ზოგჯერ, 2 კვირა ელოდება კილიმანჯაროს გახსნას, ან შეიძლება, სამი დღე იყოს დაფარული - არავითარი კანონზომიერება, როგორც უნდა, ისე იქცევა. გახსნა-დახურვის დროს კილიმანჯაროს წინ, რაც კი ცხოველი არსებობს ამ ქვეყანაზე, ერთად იყრის თავს, ერთმანეთს არ ერჩიან. როგორც კი გაიხსნება, ალგზნებული ტურისტები გარბიან და ამ სანახაობას სურათს უღებენ - ეს ულამაზესი კადრია.

**- ვატიკანში ჩვენი ქვეყნის ელჩიც ბრძანდებით. ხომ არ გაგიფუჭდათ ურთიერთობები კათოლიკურ ეკლესიასთან ამ ცოტა ხნის წინ მომხდარი სკანდალის გამო?**

- არანაირი ურთიერთობები არ გამფუჭებია. სანამ ვატიკანის საგარეო საქმეთა მინისტრი თბილისში ჩამოვიდოდა, რომის პაპისთვის რწმუნებები უნდა გადამეცა და ბუნებრივია, საუბარი გვქონდა. ძალიან მეგობრული განწყობით იყვნენ ჩვენდამი. ამ უსიამოვნების თავიდან აცილება შეიძლებოდა. ვატიკანის წარმომადგენლის ვიზიტის შესახებ აუცილებლად უნდა ეცნობებინათ უწმინდესისთვის. ხელშეკრულების შესახებ არც მე ვიცოდი არაფერი. მაშინ ურთიერთობა კი დაიძაბა, მაგრამ არაფერი გაფუჭებულა. ვატიკანმა კარგად იცის, რომ ორთოდოქსული ეკლესიები ასე ადვილად არ თმობენ. გავა გარკვეული დრო და დარწმუნებული ვარ, ყველაფერი ნორმალურად იქნება.

**- აქ ჩამოსულს ხელისუფლებამ რაიმე ახალი სამსახური ხომ არ შემოგთავაზათ?**

- ძალიან კეთილი განწყობა დავინახე. სიმართლე გითხრათ, ცვლილების შესახებ არაფერი მსმენია და არც პრეტენზიები მაქვს. თუ სურთ, რომ კიდევ ოთხი წელი დავრჩე შვეიცარიაში, ამას სიამოვნებით გავაკეთებ.

**- ხელისუფლებაში, განსხვავებული ხედვით, პოლიტიკოსთა ახალი თაობა მოვიდა - როგორ ფიქრობთ, საგარეო პოლიტიკაში ბევრი რამ შეიცვლება?**

- საერთაშორისო პოლიტიკა და ურთიერთობები შიდა პოლიტიკით არის განპირობებული - ეს ფორმულაა და ამან უნდა იმუშაოს.

ქვეყნის ხელმძღვანელობაში მოსული ახალგაზრდები წინ დიდ პერსპექტივებს ხედავენ. ალბათ, გადაფასებები მოხდება, სტრუქტურები და კადრები შეიცვლება - ქვეყნის შიგნით თვისობრივად განსხვავებული გარემო იქმნება და მომავალსაც ეს გარემო განაპირობებს.

ძალაუფლება რთული რამაა. ერთია, ხელისუფლებაში მოხვიდე და მეორე - შეინარჩუნო იგი. ფილიგრანულად უნდა იმუშაო. ცხოვრებაში გასავლელი გზა რთულია. ყველა მხრიდან ტალახი მოდის. მთავარია, ეს ტალახი აიცდინო, არ გაისვარო და ბოლოში გახვიდე.

ახალმა ხელმძღვანელებმა საგანი იციან, კარგად ლაპარაკობენ. ახლა საქმეა მთავარი. ყველა სახელმწიფოსთან უნდა მოწესრიგდეს ურთიერთობები. რა თქმა უნდა, ყველა ქვეყანას აქვს თავისი ინტერესები. უნდა მიხვდე და გრძნობდე, სად უნდა დათმო და სად - არა. უხეში გაგებით, დიპლომატია ვაჭრობაა, ამ ვაჭრობის დროს მოთმინება, სიფრთხილე და შორს გახედვაა საჭირო.

ქვეყნის საგარეო ორიენტაციები არ უნდა შეიცვალოს. საქართველო საკუთარ თავს, ქართველ ხალხს ეკუთვნის. მეოთხე საუკუნიდან ქრისტიანები ვართ. ამ უმნიშვნელოვანესმა ფაქტმა ბევრი რამ შეგვინარჩუნა. XII საუკუნეში ვთქვით ის, რაზეც დღესაც იბრძვიან ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო კომისიებში - "ლეკვი ლომისა სწორია"...

ამ გზაჯვარედინზე თავი უნდა შევინარჩუნოთ, ეს არის მთავარი.



სვეტი



# პირადი ბიბლიოთეკა

ორჰან ფამუქი,
"მე მქვია წითელი" (1995)

მალხაზ ხარბედია

ეს ამბავი იმ დროისაა, როცა სტამბული შედარებით პატარა და ღარიბული, მაგრამ სამაგიეროდ, უფრო ბედნიერი ქალაქი იყო, როცა ფადიშაჰები მოცალეობისას წიგნების კითხვასა და მინიატურების ჭვრეტაში ატარებდნენ დროს: ძლიერი, ჭკვიანი და სასტიკი მმართველები, რომელთაც მხოლოდ თავიანთი ქალიშვილები და თავიანთივე შეკვეთით შექმნილი წიგნები უყვარდათ.

ერთ-ერთი ასეთი ფადიშაჰის მიერ შეკვეთილი წიგნის გარშემო ტრიალებს რომანის მთელი სიუჟეტი და ყველა მთხრობელი სწორედ ამ წიგნის შექმნასთან დაკავშირებულმა მოვლენებმა გააერთიანა.

მთხრობელთა შორის, ბევრი უსულო არსებაცაა, მაგრამ სიუჟეტს ძირითადად სულიერები ქსოვენ. პირველ რიგში, ესაა ყარა, ადამიანი, ვინც რომანში გამომძიებელიცაა (ეს ტიტული ძალზე პირობითად შეგვიძლია მივანიჭოთ მას) და ეჭვმიტანილიც, შეყვარებული გმირიცა და გულმოდგინე მხატვარიც - თავისი ფილოსოფიური ჭვრეტებითა და აღსარებებით.

თორმეტწლიანი ყარიბობის შემდეგ ყარა მშობლიურ სტამბულს უბრუნდება: "ამბობენ, მიცვალებულებს მიწა უხმობს, მე კი სიკვდილმა მომიხმო. ვბრუნდებოდი ქალაქში და მხოლოდ სიკვდილზე ვფიქრობდი, მაგრამ სიყვარული დამხვდა, რომელიც ისეთივე შორი და მივიწყებული იყო, როგორც ჩემი ქალაქი". ამ ძველ სიყვარულს შექიურე ჰქვია, იგი ყარას ბიძაშვილია და თავის დროზე სწორედ ამ სიყვარულის გამო წავიდა ყარა ქალაქიდან, რადგანაც ბიძამისმა, ოსტატმა ენიშთემ (ვინც ყარას ხატვას ასწავლიდა) არ მოიწონა მათი საქციელი და ნათესავი სახლიდან გააძევა... და ყარაც თორმეტი წლით დაემშვიდობა თორმეტი წლით უმცროს მიჯნურს, შექიურესა და წაბლის ჩრდილში ჩაფლულ ქუჩებს. ამის შემდეგ შექიურე მალე გაათხოვეს, მეომარზე, რომელიც რამდენიმე წლის შემდეგ ერთ-ერთი ლაშქრობისას დაიკარგა და ვისგანაც შექიურემ ორი შვილი, შევქეთი და ორჰანი გააჩინა.

ამათგან შევქეთი არაფერს ჰყვება, სამაგიეროდ ავტორის უფლებით აღჭურვილი პატარა ორჰანი თავიდანვე ერთვება თხრობაში, რომანის ბოლოს კი, დედამისის უცნაური შენიშვნა თავად ავტორის, ორჰან ფამუქის ჩანაფიქრის მოხდენილობასაც გაგვანდობს (ამაზე მოგვიანებით).

რომანში კიდევ არიან მთხრობელები: ენიშთე ეფენდის მოსწავლეები - ქელებექი, ლეილექი და ზეითინი, ებრაელი ქალი ესთერი, ოსტატი ოსმანი, ძაღლი - ყავახანაში დაკიდებული ნახატიდან, ოქროს მონეტა, ხე, ცხენი, სიკვდილი, შაითანი, ორი დერვიში (ასევე მინიატურებიდან) და რაც მთავარია - თავად წითელი ფერი, რომანის მთავარი ხმა.

ყველა ეს პერსონაჟი მკითხველთან, ანუ ჩვენთან ახლო ურთიერთობაში აცნობიერებს თავის არსებას. მაგალითად, თავიდანვე ყარა იმ მკითხველს მიმართავს, ვინაც ინტერესი გამოიჩინა მისი ამბავის მიმართ და ნახატისა და ბედნიერების შესახებ განსჯას შეუდგება, თავის მხრივ კი შექიურეც გვიზიარებს თავის გულისნადებს: "არ გაგიკვირდეთ, რომ თქვენ გესაუბრებით. მრავალი წლის მანძილზე, მამის წიგნების თვალიერებისას მუდამ ლამაზმანთა გამოსახულებებს ვეძებდი. ისინი ყოველთვის დარცხვენილნი ჩანდნენ, მათი შეწუხებული მზერა ყოველთვის უჭვრეტდა რაღაცას, ან ვიღაცას, თითქო პატიებას ითხოვენ თავიანთი სილამაზის გამოო. ისინი არასდროს უყურებენ სამყაროს ამაყად თავაწეულები - როგორც კაცები, მეომრები ან ფადიშაჰები. მაგრამ, სახელდახელოდ შექმნილ იაფფასიან წიგნებში, ზოგიერთი ქალი მიწას კი არ დაჰყურებს, რაიმე საგანს, არამედ პირდაპირ მკითხველისთვის მიუპყრია მზერა. და მე ყოველთვის ვფიქრობ ხოლმე: ვინაა ის მკითხველი, ვისაც ის უყურებს?"

რა თქმა უნდა, ეს თამამი მზერა თავად შექიურეს ეკუთვნის და არამხოლოდ მას; თითქმის ყველა მთხრობელი პირდაპირია და მოურიდებელი თავის მკითხველთან. აქვე ჩანს ავტორის თვითირონიაც, რომელიც ფაქტობრივად, სახელდახელოდ შექმნილ, იაფფასიან წიგნად ასაღებს თავის რომანს, საიდანაც ვარსკვლავიანი ზეცასავით - პერსონაჟთა მირიადი თვალი გვიყურებს, ჩვენი თანაგრძნობის იმედად რომ კიაფობენ ხოლმე.

ამ რომანში პერსონაჟები ხან მაგარი ყავის მოდუღებისკენ მოგვიწოდებენ, რათა ყურადღებით მოვისმინოთ და არაფერი გამოგვეპაროს მონათხრობიდან, ხან კი ჩვენსავე რეაქციაზე ხვდებიან, რომ უკვე ვიცით მომხდარის შესახებ და იძულებულნი ხდებიან ამჯერად მხოლოდ თავისი გრძნობები გაგვიზიარონ. ზოგჯერ ისინი უეცრად მოწყდებიან ხოლმე თავიანთ ამბავს, როგორც ფოთოლი ხეს და ამ დროს თხრობაში განსჯები იჭრება, იწყება ფილოსოფიური თუ სახელოვნებო საკითხების გარკვევა.

ასეთ ჩანართებში ყველაზე ხშირად ძველი ოსტატების შესახებ მოგვითხრობენ ხოლმე. თითქმის ყველა პერსონაჟს, ამა თუ იმ მოვლენის საილუსტრაციოდ თუ სანიმუშოდ სპარსული მინიატურის სცენები და მათი ავტორების უცნაურობანი აკერიათ პირზე. მაგალითად, როდესაც მკვლელი, ოთხი დღის შემდეგ დანაშაულის ადგილს დაუბრუნდება, რატომღაც XV საუკუნის დიდი ჰერატელი მხატვარი, ბეჰზადი ახსენდება: "ბეჰზადმა იცოდა თავისი ძალა; იგი არსად ტოვებდა ხელმოწერას - ნახატის ყველაზე მიმალულ კუთხეშიც კი... ბეჰზადი შედევრებს ქმნიდა და ყოველთვის ცდილობდა კვალი არ დაეტოვებინა, რის მიხედვითაც ამ საოცრებათა შემოქმედს ამოიცნობდნენ."

რომანში ბევრს საუბრობენ ხატვის აღმოსავლურ და დასავლურ მანერაზე; დეტექტიური სიუჟეტი კი ძირითადად ვენეციურ, გიაურთა სკოლასა და აღმოსავლურ სკოლებს შორის "ურთიერთობაზე" იგება.

აქ შეხვდებით შირაზელ მხატვრებს, რომელთაც ჰორიზონტის ხაზი ნახატში მაღლა ასწიეს და ახალი სტილი შექმნეს მხატვრობაში; გაიგებთ, რომ მხატვრობა ესაა სიჩუმე - გონებისთვის და მუსიკა თვალისთვის, რომ ალაჰისგან მხატვრისთვის ყველაზე დიდი წყალობა - სიბრმავეა, რადგან მხოლოდ ბრმა მხატვრის მეხსიერებით შეიძლება გაიგო, როგორ ხედავს ალაჰი სამყაროს. მხატვარი ხომ მთელი ცხოვრება ხელს იწაფავს, რათა სიბერეში ხელმა თავისით დახატოს შედევრი. ეს კი მაშინ მოხდება, როცა სიბრმავის უკუნში მას თვალწინ ალაჰის გამოსახულება დაუდგება და მხატვარსაც შთაგონება ეწვევა.

რომანში ბევრი იმ უკანასკნელ ნახატზე ოცნებობს, რომელსაც დაბრმავებამდე დაათვალიერებდა, თვალის ჩინს მისი ცქერისას გამოეთხოვებოდა და ნახატის უსასრულო დროში გაუჩინარდებოდა. ზოგი კი თავისი ხელით ითხრის თვალებს, ნემსით, რათა მისი მოწაფე, შემდეგ, ამ ნემსის წვერზე შერჩენილ წვეთს ლუპით დააკვირდეს, "როგორც სევდიან სასიყვარულო სცენას".

ორჰან ფამუქიც ასევე ლუპით აკვირდება თავის პერსონაჟებს, თუმცა ისინი ხშირად გამოდიან ამ საჭვრეტი სივრციდან და გათავისუფლებულნი არც მკითხველს ერიდებიან და არც ავტორს. რომანის ბოლოს მოთავსებული, პატარა ორჰანის დედის (შექიურეს) მონოლოგი ასეთი გათავისუფლების სიმბოლოდ შეგვიძლია მივიჩნიოთ და მასში თითქოს ავტორიც თავისუფლდება ამბისგან, რომლის თხრობაც ეს-ესაა დაასრულა:

"ჩემი ორჰანი - საბრალო, მუდამ ნერვიული, შეურიგებელი და უბედური; მას არ ეშინია, როცა ვინმეს უსამართლოდ აძაგებს ხოლმე. ამიტომაც არ დაუჯეროთ, თუკი ყარას უფრო დაბნეულს აღწერს, შევქეთს კი უფრო ბრაზიანს, ვიდრე სინამდვილეში. არც ისეთი ლამაზი და თავნება ვარ, როგორც წიგნში და ასეთი მძიმე ცხოვრებაც არა გვქონია. რას არ მოიგონებენ, რომ ამბავი უფრო საინტერესო იყოს და ჩვენც დავიჯეროთ ეს ყველაფერი."

წერილი ერთი ეპიზოდით მინდა დავასრულო ორჰან ფამუქის რომანიდან. ამ ეპიზოდში ოსტატი ოსმანი ჩვენს ქალაქს იხსენებს: "აჰ, ტიფლისი, იქ ახლა ალბათ თოვს!" და დასძენს, "როცა ტიფლისის ციხეში თოვლი მოდის, ქალები ყვავილებზე მღერიან ხოლმე, ბალღები კი თოვლს ბალიშის ქვეშ მალავენ - ზაფხულისთვის"-ო. ორჰან ფამუქმაც, როგორც ჩანს, ეს გადამალული თოვლი იპოვა თავის წარმოსახვაში, თოვლი კი წიგნად გადნა და თბილისშიც ჩამოაღწია, იმ ბალღების შორეულ მემკვიდრეებთან.

# მორჩა ჟურნალი - კინო დაიწყო

## ყველაზე მაღალკვალიფიციური კინოდარბაზი ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე

თინათინ ასათიანი

გუშინ, საღამოს 6 საათზე რეკონსტრუირებული კინოთეატრი "რუსთაველი" გაიხსნა - პრეზენტაცია ფილმ "ჩარლის ანგელოზები 2"-ის სამი კინოსეანსით აღინიშნა. ცნობილი გახდა, რომ კინო "რუსთაველს" კინოკომპანია Lukas-მა THX სერთიფიკატი გადასცა. დამფუძნებელთა თქმით, ეს მხოლოდ პრესტიჟის სერთიფიკატია, თუმცა ფილმის დაწყებამდე THX სერტიფიკატის სარეკლამო რგოლის გაშვება იმას ნიშნავს, რომ დღეიდან კინოთეატრი "რუსთაველი" მსოფლიო კინოთეატრების სტანდარტს შეესაბამება. ამერიკულ კინოთეატრებს შორისაც კი მხოლოდ 50 პროცენტია THX – ით სერთიფიცირებული.

65-წლიანი ისტორიის მქონე კინოთეატრის ძველი ინტერიერი ერთი დიდი სკვერივით გამოიყურება, სადაც შესაძლებელია ფილმის სეანსის დაწყებამდე მყუდრო და სასიამოვნო საუბრების გამართვა.

გუშინ ფილმის "ჩარლის ანგელოზები 3"-ის ჩვენება შვიდ საათზე უნდა დაწყებულიყო, მაგრამ ხალხი ერთი საათით ადრე უკვე შეკრებილი იყო და დამფუძნებლებს, რომლებმაც უამრავი ენერგია და ფული დახარჯეს კინოთეატრის განსაახლებლად, მის გახსნას ულოცავდნენ.



თეიმურ სახიჩაშვილის ფოტო

განახლებული "რუსთაველის" ფოიე

კინოთეატრის დიზაინი კონცეფციურად დამფუძნებლებმა დაამუშავეს, შემდეგ კი ორმა დიზაინერმა - ზვიად ციკოლიამ და ალექსანდრე ზერცალოვმა, განახორციელა.

"პირველი სართულის დარბაზი Show West-ში ნანახი სასტუმროს გავლენით გავაკეთეთ. იქ ვნახეთ სასტუმრო, სადაც პირველი სართული ქუჩას ჰგავს, ამიტომ გავაკეთეთ ქუჩა შუაში შადრევნით", - ამბობს ნიკოლოზ ნიკოლაიშვილი - კინოთეატრის ერთ-ერთი დამფუძნებელი.

ფოიე, მართლაც, ქუჩასავით გამოიყურება - ცენტრის გარშემო "კოდაკისა" და აუდიო-ვიდეო კასეტების მაღაზიები, ჩინური, იტალიური და ქართული სწრაფი კვების რესტორნებია განლაგებული; ჭერიც ცას ჰგავს - თეთრი ღრუბლებითა და ცისფერი საღებავითაა მოხატული. ერთი სიტყვით, კინოთეატრი მნიშვნელოვნადაა შეცვლილი. დამფუძნებლები ძალიან ამაყობენ ახალი ეკრანით, რომელიც გიგანტურების კატეგორიას მიეკუთვნება. ის ოთხი მეტრით გაიზარდა და ახლა მისი სიგანე 18 მეტრს აღემატება. გაუმჯობესებულია აპარატურაც - პროექტორის ნათურა, რომელიც გამოსახულების ხარისხის მაჩვენებელია, ადრე ოთხკილოვატიანი იყო, ახლა კი შვიდიანია. სკამები მოხერხებული სავარძლებით შეიცვალა; რიგებს შორის მანძილი გაიზარდა - ეს ყველაფერი, ბუნებრივია, მაყურებელს ძალიან მოეწონება და, ალბათ, წარმატებული ბიზნესის საწინდარიც გახდება.

მეორე სართულზე, კინოდარბაზის წინ, ფოიეში (სადაც ადრე ბარი იყო) მომავალში სათამაშო ცენტრის გაკეთებას აპირებენ, რომლის მსგავსიც თბილისელ მაყურებელს ჯერ არ უნახავს. მანამდე კი 25 დეკემბრისთვის კინოთეატრის დამფუძნებლები ორ სიახლეს ამზადებენ - სამგანზომილებიანი ფილმის ("ჯაშუში ბავშვების" III სერია) ჩვენება სათვალეებით გაიმართება. საგანგებო სათვალეები კინოთეატრს უკვე შეძენილი აქვს. მალე ფილმს ჩამოიტანენ და ქართველებს პირველად მიეცემათ საშუალება, სრულყოფილად აღიქვან სამი განზომილების ეფექტები. ამავე დღეს დაგეგმილია მეორე კინოთეატრის გახსნაც, რომელიც გლდანში მდებარეობს. ეს ყოფილი კინოთეატრის "მეგობრობა" შენობაა, რომელიც გლდანის I – სა და II მიკრორაიონებს შორის მდებარეობს და მას, სავარაუდოდ, "ახმეტელი" დაერქმევა.

დამფუძნებელთა თქმით, სულ მალე კინოთეატრის დარბაზის იარუსი VIP-ის ლოჟად გადაკეთდება. წინათ 274-ადგილიანი იარუსი ახლა 38 ტყავის კომფორტულ სავარძლით შეივსება; იქვე დაიდგმება მაგიდებიც. აქვე იქნება ბარი, სადაც უფრო მაღალი კლასის მომსახურება იქნება, ვიდრე პირველ სართულზე და, შესაბამისად - მნიშვნელოვნად კომფორტული.

დამფუძნებლებს უამრავი შორეული გეგმაც აქვთ - კინოთეატრის ბიზნესგანვითარების ჯგუფის უფროსის ირაკლი ჩიკვაიძის თქმით, ცვლილებები გაგრძელდება, რეალური გეგმები კი იგივე შენობაში, სულ ცოტა – 2, შესაძლოა, 4 კინოდარბაზის დამატებას გულისხმობს. "ჩვენ ყოველ წელს ახალი დარბაზის დამატებას ვგეგმავთ", - ამბობს ნიკოლოზ ნიკოლაიშვილი.

კინოთეატრი რუსთაველი საერთაშორისო ორგანიზაცია National Association Theater Owners (NATO)-ში გაწევრიანდა, რომელიც მსოფლიო კინოთეატრებსა და მათ მფლობელებს აერთიანებს. "არსებობს დიდი და პატარა კინოთეატრების სტანდარტები. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ეს ყველაზე მაღალკვალიფიციური დარბაზია ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, მით უმეტეს, რომ რუსეთში ამ სფეროს ნაკლებ ყურადღებას უთმობენ", - ამბობს ირაკლი ჩიკვაიძე. მას შემდეგ, რაც კინოთეატრი ე.წ. Multiplex-ად (რამოდენიმე დარბაზიანი კინოთეატრი) გარდაიქმნება, მას, ბ-ნი ირაკლის თქმით, ეტაპობრივი განვითარებით, საშუალება მიეცემა IV კატეგორიის და IV თაობის კინოთეატრების სიაში შევიდეს. მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ არსებობს Multiplex კინოცენტრი, რომელსაც თან შესაბამისი ინფრასტრუქტურა არ ახლავს. "რასაც თქვენ დღეს ხედავთ, ეს პირველი ნაბიჯია იმისა, რომ ინფრასტრუქტურა შეიქმნას და შემდეგ ის მიმზიდველი ფაქტორები დაემატოს, როგორიცაა - დამატებითი დარბაზები, ლოჟა და ა. შ. ეს ყველაფერი ცალსახად ხალხის მოსაზიდად მოქმედებს, რაც შემდეგ, უშუალოდ, ბიზნესის წარმატებაზე აისახება".

"რუსთაველის" კინოთეატრის მიმართ ხალხის ინტერესი რომ გაიზარდა, ამაზე ისიც მეტყველებს, რომ გუშინ დაგეგმილი ერთსეანსიანი პრეზენტაცია, ხალხის სიმრავლის გამო, სამად განაწილდა. ბიზნესის წარმატებულობას კი დრო გვიჩვენებს.

# შოუ ჯუჯების, ელფებისა და ვიკინგების მონაწილეობით

## დიზაინერ გვანცა ჯანაშიას ძიებები სკანდინავიურ მითოლოგიაში

ვერა ნეფარიძე

*სკანდინავია, მგონი, ნამდვილად ახალი თემატიკაა ქართულ მოდაში. ახალგაზრდა დიზაინერის გვანცა ჯანაშიას ინოვაციამ რამდენიმე ადამიანიც აიყოლია, რაც კიდევ უფრო აძლიერებს მოლოდინს. სკანდინავიური მითოლოგიის თემაზე ამაღამ დაგეგმილი სანახაობისთვის ფეხსაცმლის კოლექცია შექმნა თათა ვარდანაშვილმა; შოუს ნიკა მემანიშვილის მუსიკა გააფორმებს; ამ ყველაფერს კი თინა მენაბდის რეჟისურით გადაწყვეტილი სანახაობა გააერთიანებს.*

"როგორც კინორეჟისორი, კინემატოგრაფიული ხერხებით ვიხელმძღვანელებ", - გვითხრა დღევანდელი ჩვენების რეჟისორმა თინა მენაბდემ. აქედან გამომდინარე, რეჟისორის ძირითადი იარაღი ამაღამ მონიტორები იქნება. თუმცა, რას იხილავს "აჭარა მიუზიკ ჰოლში" მისული მაყურებელი კონკრეტულად ამ ეკრანებზე, ჯობს, სიურპრიზად



გვანცა ჯანაშია ჩვენებისთვის ემზადება

დარჩეს. იმედია, ასევე, სასიამოვნო მოულოდნელობა იქნება საზოგადოებისთვის ნიკა მემანიშვილის მუსიკაც (რომელსაც ორკესტრი ცოცხლად შეასრულებს), თათა ვარდანაშვილის ფეხსაცმელებისა და გვანცა ჯანაშიას ტასაცმლის კოლექციაც. თუმცა, ჩვენების თემატიკა გარკვეული წარმოსახვების საშუალებას გვაძლევს.

თემატიკიდან გამომდინარე, ცხადია, დიზაინერი ზამთრის კოლექციის ჩვენებას აპირებს. სულ წარმოდგენილი იქნება სკანდინავიური მითოლოგიის ზეგავლენით შექმნილი ყოველდღიური (ე.წ. "პრეტ-ა-პორტე") ტანსაცმლის 50-მდე კოლექცია და ათი საპატარძლო კაბა. საბოლოო ჯამში, ეს არის დიზაინერის უკანასკნელი ერთი წლის ნამუშევარი. "იდეა ერთი წლის წინათ დამებადა. შემდეგ დავიწყე მუშაობა, მასალის მოძიება, გადავათვალიერე ენციკლოპედიები; ეს ყველაფერი კი სამი თვის განმავლობაში იკერებოდა", - ამბობს კოლექციის ავტორი. დიზაინერის თქმით, კოლექციები სკანდინავიური მითოლოგიის პერსონაჟთა - ჯუჯების, ელფებისა და ვიკინგების ასოციაციას აღძრავს. "გამოყენებული მაქვს ბეწვი და ტყავი. ეს ნაზავი ძალიან მომწონს. ვფიქრობ, რომ სამივე თემა ძალიან საინტერესოა. სამივე ერთმანეთისგან დამოუკიდებელია; მართალია, მათ სკანდინავიური მითოლოგია აერთიანებს, მაგრამ თავისუფლად მუშაობის საშუალებას იძლევა. სულ სხვადასხვა დეტალები და ფერებია", - გვითხრა გვანცა ჯანაშიამ და დაამატა, რომ, აქსესუარების სახით, თემატიკა სხვა დეტალებითაც გამდიდრდება.

ყოველდღიური სამოსის გარდა, გვანცა ჯანაშია ამაღამ ათ საპატარძლო კაბასაც აჩვენებს საზოგადოებას. ავტორის წარმოსახვაში საქორწილო კაბიანი მოდელები ათ ელფს განასახიერებენ. შეკითხვაზე, თუ რატომ აირჩია კოლექციის ჩვენებისთვის მაინცდამაინც სკანდინავიური თემა, გვიპასუხა: "იმიტომ, რომ ვეძებ ყოველთვის საინტერესოს. შემდეგ კოლექციას როდესაც გავაკეთებ, ისიც საინტერესო უნდა გამოვიდეს. ამასთან ერთად, უნდა იყოს ღრმა, ბევრი დეტალისგან შედგებოდეს და აუცილებლად თანამედროვედ უნდა გამოიყურებოდეს." რამდენად აკმაყოფილებს ამ პირობებს დიზაინერის ახლანდელი კოლექცია, ამას დღეს ღამით ვნახავთ. სკანდინავიური მითოლოგიის პერსონაჟებს კი ჩვენებაზე სამოდელო სააგენტოების – "იმიჯ-ცენტრისა" და "ნატალის" გოგონები განასახიერებენ.

# როკ-ჭორები

60-70-ანი წლების როკისთვის ჭორები ისეთივე გარდაუვალი მოვლენა იყო, როგორც სექსი და ნარკოტიკები. ბუნებრივია, რომ ეს ძალიან ადამიანური ფენომენი გვერდს ვერ აუვლიდა მსოფლიოში ყველაზე ცნობილ ოთხეულს - **"ბითლზს"**. აქ რომ ყველა ის ჭორი გავიხსენოთ, რაც ამ ჯგუფზე არსებობდა, ცხადია, გაზეთის მთელი დღევანდელი ნომრის ათვისება დაგვჭირდებოდა. ამიტომ შევახსენებთ მხოლოდ ერთს.

ჭორი პოლ მაკარტნის სიკვდილის შესახებ, იმდენად პოპულარული იყო, რომ პოლს ტელევიზიით მოუხდა გამოსვლა, სადაც განაცხადა: "ჭორები ჩემი სიკვდილის შესახებ ერთობ გადაჭარბებულია".

როკის სამყაროში აბსოლუტურად საპირისპირო შემთხვევებიც არსებობს: 1971 წელს პარიზის პერ ლაშეზის სასაფლაოზე დაკრძალული **ჯიმ მორისონი**, რომლის საფლავი ისე წაბილწეს როკ-ფანებმა, რომ მისი ნეშტის შტატებში გადასვენებაზეა ლაპარაკი, თურმე ცოცხალია!

არსებობს აგრეთვე სქესობრივ ნიადაგზე აღმოცენებული ჭორები: **მარკ ბოლანს** სქესი შეუცვლია და თავისი ჯგუფის, T.REX-ის წევრს, მიკი ფინს გაჰყოლია ცოლად; ხოლო გრეის ჯონსი, თურმე მამაკაცია.

როკ-მუსიკაში საკმაოდ საფუძვლიანად არის გავრცელებული ჭორები ბნელ, არამიწიერ ძალებთან კავშირების შესახებ. ეს ბნელი ძალა კი, ძირითადად, ეშმაკია. მხედველობაში თუ არ მივიღებთ **პაგანინის**, რომელიც თვითონ დემონი იყო, სიაში პირველია ელექტრო-ბლუზის პიონერი, **რობერტ ჯონსონი** - მან სული ეშმაკს მიჰყიდა. "ლედ ზეპელინელი" **ჯიმი პეიჯის** ურთიერთობა ეშმაკთან მხოლოდ ხელშეკრულებით შემოიფარგლა. და საერთოდ, მძიმე როკის ყოველი შემსრულებელი ეშმაკის მოციქულია. აი თუნდაც **ოზი ოსბორნი**: როგორც ამბობენ, ის ღამურებს თავებს აჭამს; თუმცა, როგორც თვითონ ამბობს, მას მტრედები ურჩევნია, რადგან ღამურები იკბინებიან.

არის კიდევ გარკვეული ხასიათის, ე.წ. გენეტიკური ჭორები. მაგალითად, ძალიან ბევრს სჯერა, რომ **მაიკლ ჯექსონი** დაიანა როსის ნაბიჭვარია. ეს ჭორი კაცს შეიძლება დაეჯერებინა, რომ არა მეორე, მისი გამომრიცხავი ამბავი, რომლის მიხედვითაც დაიანა ლესბოსელია და ცხოვრებაში არ გაჰკარებია მამაკაცს. და კიდევ ერთი ჯექსონ-ჭორი: ლატოია ჯექსონი სინამდვილეში მაიკლია! ისე, სხვაზე რა უნდა ვთქვა, როცა მე თვითონ მაქვს ჭორის საკუთარი ვერსია მაიკლ ჯექსონზე - ის ადამიანი კი არა, ხელოვნური, კომპიუტერული ინტელექტია. და კიდევ ერთი ამავე კატეგორიის ჭორი: U-2-ს **ბონო** ირლანდიელი საპროტესტო სიმღერების ავტორ-შემსრულებლის, კრისტი მურის შვილია.

არის კიდევ ჭორების ისეთი სახეობა, რომელსაც ჩემთვის "კაგებეშნიკურს" ვეძახი: მაგალითად, **ჯონ ლენონი** ცენტრალური საგამოძიებო სააგენტოს (CIA) მოკლულია.

კიდევ უფრო უარესია, როდესაც ვიღაცას ფულებს უთვლი: ინგლისური ჯგუფი **Dire Straits**, თურმე ავსტრალიას ფლობს. ეს, დაახლოებით, იმის ტოლფასია, რომ თქვა **"სოფთ ეჯექტი"** დილომს ფლობსო.

"როლინგსტოუნზის" გიტარისტი **კიტ რიჩარდსი** კი ისეა მოწამლული ნარკოტიკებით, რომ წელიწადში ორჯერ შვეიცარიის რომელიღაც საიდუმლო კლინიკაში მთლიანად იცვლის სისხლს.

მოკლედ ასეთი საზიზღარი რამ არის ჭორი. ჰოდა, ძალიანაც რომ არ გავრეკოთ, ერთ ისტორიასაც შეგახსენებთ და ამით დავამთავროთ: აშშ-ს მოსახლეობის 9 (ცხრა) პროცენტს დღესაც სჯერა, რომ **ელვის პრესლი** ცოცხალია. აშშ-ს მოსახლეობა დღეს 290 მილიონია; ამ რიცხვის 9 პროცენტი 26 მილიონზე მეტია. ეს კი საქართველოს მოსახლეობას ექვსჯერ აღემატება! აი რა სავალალო შედეგები შეიძლება მოჰყვეს ბიგ-მაკების და დიეტური კოკა კოლას ჭარბ მოხმარებას.



მაიკლ ჯექსონი

# უცნობი ფოტოების ახალი პარტია

## All Shook Up

სანამ უშუალოდ ორ უცნობ და ძალიან ძვირფას ფოტო-არქივზე მოგითხრობდეთ, ჯერ ამ ფოტოების მთავარი პერსონაჟის შესახებ მოგახსენებთ:

წარმოიდგინეთ 1950-იანი წლები. ამერიკა. პატარა, პროვინციული ქალაქი, სადაც მოწყენილობა სუფევს და არავის არავინ არ უყვარს. ამ მომაბეზრებელ ცხოვრებაში მოულოდნელად გამოჩნდება ახალგაზრდა, რომელსაც თავით ფეხებამდე ტყავები აცვია, ყოველ მომხიბვლელ ქალს ეშმაკურად აყოლებს თვალს და თან ღიღინებს. ქალაქს ინფექციასავით ედება რიტმული მელოდიები, რომლებიც მუსიკალური ზარდახშიდან იღვრება.

თუ ამ სცენას ზუსტად წარმოიდგენთ, საკმაოდ ლოგიკური ასოციაციებით ელვის პრესლიმდე მიხვალთ და მართალიც იქნებით. ეს ხომ ეპიზოდია ბროდვეის ახალი მიუზიკლიდან, რომლის პრემიერაც 2005 წლის გაზაფხულზე იგეგმება. მანამდე კი, 2004 წლის მაისში მას შედარებით პატარა სცენაზე, კონექტიკუტის შტატში გაითამაშებენ.

სპექტაკლს, რომელიც ელვის პრესლის კომპანიამ შეუკვეთა, საკმაოდ თემატური სათაური აქვს – მომღერლის ერთ-ერთი მთავარი "მოთხოვნა" ფანებისადმი – All Shook Up. თუმცა, პროდიუსერების ცნობით, ეს არ იქნება ბიოგრაფიული შოუ პრესლიზე. შესაბამისად, არც მის როლს შეასრულებს ვინმე. უბრალოდ, სიუჟეტი მთლიანად პრესლის ისეთ ჰიტებზე აიგება, როგორებიცაა: Heartbreak Hotel, Love Me Tender, Burning Love.

მიუზიკლის იდეა მას შემდეგ გაჩნდა, რაც ბროდვეიზე დიდი წარმატებით დაიდგა "მამა მია!" – ABBA-ს სიმღერებით გაფორმებული სპექტაკლი. სწორედ ამ ანშლაგით ჩავლილი შოუების შემდეგ დარწმუნდნენ ელვის პრესლის კომპანიის ხელმძღვანელები, რომ საზოგადოება პრესლის მიუზიკლსაც აიტაცებდა. რაც შეეხება კომპანიას, მას მთლიანად პრესლის ერთადერთი ქალიშვილი ლიზა მარი ფლობს და განაგებს. მის მფლობელობაში შედის გრეისლენდის რეზიდენციაცა და სუვენირების რამდენიმე მაღაზიაც, რომელსაც ყოველწლიურად 600 ათასზე მეტი სტუმარი ჰყავს.

### 17 წლის ფოტოგრაფი და უმანკო ელვისი

ასე რომ, ელვის პრესლის სახელით მისი გარდაცვალების შემდეგაც უზარმაზარი ბიზნესი კეთდება. სწორედ ამ ბიზნესის ნაწილია ის ფოტოგამოფენა, რომელზეც თავში მოგახსენებდით. ექსპოზიცია სახელწოდებით "ელვისის თითის ანაბეჭდები" ლივერპულში მიმდინარეობს, მომავალ წელს კი ლონდონში გადაიტანენ. ის მომღერლის დღემდე უცნობ ფოტოებს შეიცავს. მათი ავტორი 17 წლის უცნობი ბიჭი გახლავთ. თავად პრესლი კი ამ სურათებზე სულ ახალგაზრდა და ფართო საზოგადოებისთვის ჯერ კიდევ საკმაოდ უცნობი მომღერალია.

ფოტოების ავტორი ლიუ ალენი მაშინ სკოლის მოსწავლე იყო. 1956 წელს, რამდენიმე კონცერტის დროს კლივლენდის ადგილობრივი გაზეთები გაიფიცნენ და აღმოჩნდა, რომ პრესლის კონცერტებზე ერთადერთი ფოტოაპარატიანი კაცი პატარა ლიუ იყო. "ჩემს სკოლაში კამერის გამოყენება სხვამ არავინ იცოდა. მეც შემთხვევით ვისარგებლე. ახლა საოცრებაა იმის გააზრება, რომ ელვისის კარიერის დასაწყისში მისი უცნობი ფოტოების ავტორი სწორედ მე ვარ", - აცხადებს მოყვარული ფოტოგრაფი 40-წლიანი დუმილის შემდეგ. ის თავის ძვირფას არქივს აქამდე სარდაფში ინახავდა. ორიოდე წლის წინ გრეისლენდში მოწყობილ გამოფენაზე მისი მხოლოდ რამდენიმე ფოტო იყო გამოფენილი. ასე რომ, დღეს ლიუ ალენის ძვირფასი კოლექცია ლივერპულში პირველად იხსნება სრულად.

ალენის ფირზე სხვა ლეგენდარული პირებიც არიან აღბეჭდილნი, მათ შორის დუეტი Everly Brothers, დიონი (50-იანი წლების ჯგუფიდან "დიონ ენდ ბელმონთზ") და ბადი ჰოლი. ფოტოგრაფისთვის ყველა ფოტო ძალიან ძვირფასია, მაგრამ მას რამდენიმე გამორჩეულად საყვარელი ნამუშევარი მაინც აქვს. მაგალითად, 1958 წელს გადაღებული სურათი, რომელზეც ბადი ჰოლი ავტობუსში მოწყენილი ზის – საშინელ ქარბუქში ოთხსაათიანი მგზავრობის შემდეგ დაღლილია. "ეს საოცარი სცენა იყო. მძღოლის გვერდზე ვიდექი, როცა შევნიშნე, რომ ბადი ჰოლი მოწყენილი იჯდა... ის ერთი წლის შემდეგ დაიღუპა", - იხსენებს ალენი.

მისი თქმით, ამ ფოტოებს ერთადერთი უმთავრესი ღირსება აქვთ – ისინი ვარსკვლავებს უმანკოების ხანაში აღბეჭდენ. "თითოეულ ჩემი პერსონაჟი დიდი ვარსკვლავია, მაგრამ როცა მე მათ ფოტოებს ვუღებდი, ისინი ვარსკვლავებივით არ იქცეოდნენ, პირიქით, მე ფირზე მათი უმანკოება გადამქონდა".


ელვის პრესლი მოდელებთან ერთად


ბიბი კინგი - 1968 წელი


სკიპ ჯეიმსი ნიუპორტის ფესტივალზე - 1964 წელი


ბადი გაი

### დაბრუნება მისისიპიზე

ელვისის ეს გამოფენა უცილობლად გაგახსენებთ რამდენიმე კვირის წინანდელ ინფორმაციას, როცა მეგობრებმა გარდაცვლილი ინგლისელის სხვენში "როლინგ სტოუნზის", მუჰამედ ალის და კიდევ სხვა ცნობილი სახეების უცნობი ფოტოების მთელი დასტა აღმოაჩინეს. როგორც ხედავთ, მსგავსი ისტორიები არც თუ იშვიათად ხდება. და თანაც არა მხოლოდ როკ-ენ-როლის სფეროში. 13 დეკემბრამდე, ვაშინგტონში მიმდინარე გამოფენა სტუმრებს საშუალებას აძლევს, ბლუზის ვარსკვლავების უიშვიათესი ფოტოები დაათვალიერონ. ექსპოზიციას ასე ჰქვია: "შუაღამესა და დღეს შორის: ბლუზის უკანასკნელი გამოუქვეყნებელი არქივი".

ეს ფოტოები დიკ უოტერმენს ეკუთვნის. მისი ნამუშევრები რამდენიმე წლის წინ ვაშინგტონელმა გალერისტმა მიზურის შტატში, ქალაქ ოქსფორდში აღმოაჩინა ყოფილი ფოტოჟურნალისტისა და კონცერტების ორგანიზატორის კერძო კოლექციაში. იქ, თურმე, ყველა იყო, ბლუზის აბსოლუტურად ყველა დიდი სახე – ახალგაზრდა ბი. ბი. კინგი, ბადი გაი, "ბიგ ბოი" კრადაფი, მისისიპი ფრედ მაქდაუელი... ბობ დილანი – 60-იანი წლების პირველ ხანებში, რეი ჩარლზი – ვარსკვლავობამდე ცოტა ხნით ადრე, ერიკ კლეპტონი და მიკ ჯაგერი – ჯერ კიდევ მაშინ, როცა ისინი ბლუზს ასრულებდნენ. ალბომში ჯაგერის ოთხი ფოტოა შესული. ჰარმონიკას ვირტუოზი შემსრულებელი ჯუნიორ უელში მას დაკვრას ასწავლის და თან ეუბნება: ბლუზზე ვერ იფიქრებ, ბლუზი უნდა იგრძნო.

უოტერმენის კოლექციაში 1964 წლის ნიუპორტის ფესტივალის კადრებიც ინახება. მაგალითად, ასეთი უნიკალური ფოტო: სკიპ ჯეიმსი ჩაფიქრებული სახით რაღაც მელოდიას გიტარაზე აწყობს, იქვე ჯონ ჰარტი მიწოლილა და ჯეიმსს ყურადღებით უსმენს. ფოტოზეც კი აშკარად იგრძნობა ის ურთიერთგაგება და პატივისცემა, რაც მათ შორის არსებობდა.

ეს სურათები იმიტომაც არის ძალიან ძვირფასი, რომ ამ ფესტივალზე ხელახლა აღმოაჩინეს სკიპ ჯეიმსი. არენიდან ხანგრძლივად გამქრალი დელტას ბლუზმენი ტუნიკაში, მისურის შტატის საავადმყოფოში ვაშინგტონელმა ბლუზის მოყვარულებმა იპოვეს. მათ მუსიკოსი ვაშინგტონში ჩაიყვანეს, სადაც ჯეიმსმა სიმღერებიც ჩაწერა და პარალელურად კიბოს სამკურნალო კურსიც ჩაიტარა. შემდეგ ჯეიმსი ნიუ პორტში ჩავიდა, სადაც ის 30-წლიანი შესვენების შემდეგ პირველად წარდგა მსმენელის წინაშე. უნდა ითქვას, რომ ერთი წლით ადრე ნიუ პორტში აღმოაჩინეს ჯონ ჰარტიც.

აი, მოკლედ იმ ფოტოების შესახებ, რომელთა ნახვასაც, თუ გაგიმართლებთ, ლივერპულსა და ვაშინგტონში შეძლებთ. ჩვენ კი მომავალ დიდ აღმოჩენამდე დაგემშვიდობებით.

# "ახდენილი ოცნება" – ჟურნალი მამაკაცებისთვის 50 წლის ხდება

ნინო ჭანიშვილი

1953 წელს, როცა ჰიუ ჰეფნერი "პლეიბოის" პირველ ნომერს უშვებდა, მასზე № 1 არც მიუთითებია. პირველი ნომრის გარეკანს მერილინ მონროს ფოტო ამშვენებდა. ეროტიკული ჟურნალის ბედნიერ მომავალს არავინ წინასწარმეტყველებდა. მაგრამ, სექსუალური რევოლუცია შედგა.

"როცა 1953 წლის შემოდგომაზე ხელში მეჭირა ჟურნალის პირველი ნომერი ეს ერთ-ერთი უდიდესი მომენტი იყო ჩემს ცხოვრებაში. ის, რაც აუხდენელი ოცნება მეგონა, ხელშესახებ რეალობად იქცა. ეს ჩემი ოქროს ოცნება იყო, ის როგორც ოქრო არასდროს გაცვეთილა" – იხსენებს "პლეიბოის" დამაარსებელი ჰიუ ჰეფრენი ჟურნალის 50 წლისთავზე.

გართობის, ამბიციური ჟურნალისტიკის, ლიტერატურის, მოდის, ჯაზის, მხატვრობის და სექსის უნიკალურმა კომბინაციამ ჟურნალი 50-ანი და 60-ანი წლების არაჩვეულებრივად წარმატებულ ყოველთვიურ გამოცემად აქცია. "პლეიბოის" ფურცლებზე ცნობილი მწერლების, მათ შორის ჯონ სტაინბეკის წერილები იბეჭდებოდა; 1957 წელს დაიბეჭდა პიკასოს მანამდე უცნობი ნახატები. 1960-იან წლებში ჟურნალთან პოპ-თაობის ცნობილი მხატვრები ჯეიმს როზენკვისტი, როი ლიხტენშტეინი, ენდი უორჰოლი და ტომ ვასელმანი თანამშრომლობდნენ.

16 დეკემბერს ნიუ იორკში გრანდიოზული და ნოსტალგიური გაყიდვა გაიმართება - წერილები, ეროტიკული კარიკატურები და ფოტოები, სამახსოვრო ნივთები მთლიანობაში სამასზე მეტი ლოტი - ყველაფერი, რაც "პლეიბოისთან" არის დაკავშირებული.

50-იანი და 60-იანი წლების კარიკატურები და ჩანახატები, რომლებიც კრისტიზე იყიდება, მსუბუქად ეროტიკული და იუმორით სავსეა. ზოგიერთი კარიკატურა საბავშვო წიგნების გაფორმებასაც კი ჰგავს. აუქციონზე გაიყიდება pin up-ის ჟანრში მომუშავე ალბერტო ვარგასის ეროტიკული ნახატები. "ვარგასის ქალებს" დიდი ფასი ადევს - 2-3 ათასი დოლარიდან იწყება და 25-35 ათას დოლარამდე აღწევს. იყიდება ცნობილი ფოტოგრაფების ჰელმუტ ნიუტონის და ჰერბ რიტის მიერ "პლეიბოისთვის" გადაღებული ეროტიკული ფოტოები. "ჰელმუტის ანგელოზების" საწყისი ფასი 6 ათას დოლარს აღწევს.

ნამდვილი მოულოდნელობაა ჯენის ჯოპლინის რეალისტურ-მოდერნისტული პორტრეტი სახელწოდებით All She Needs is Love ("ერთადერთი რაც მას სჭირდება - სიყვარულია") დახატული ჰერბ დავიდსონის მიერ. ჯოპლინის ეს ზეთის საღებავებით შესრულებული პორტრეტი (საწყისი ფასი 3-5 ათასი დოალრი) 1971 წელს დაიბეჭდა "პლეიბოის" ფურცლებზე. 15-20 ათას დოლარადაა შეფასებული ვლადიმირ ნაბოკოვის მიერ ფანქრითა და პასტელით დახატული პეპელა, რომელიც 1976 წელს დაიბეჭდა ჟურნალში. "თუ შეგიმჩნევიათ ოდესმე, რომ თქვენი კურდღლის თავი და ყურები ფორმით პეპელას ჰგავს?" - წერდა ჰერბარიუმების მოყვარული და მგზნებარე მეცნიერი ვლადიმირ ნაბოკოვი.

1965 წელს "პლეიბოის" ჟურნალისტმა ჯინ შეფერდმა ინტერვიუ ჩამოართვა "ბითლზის" ოთხივე წევრს. ჩანაწერის პირველადი განაშიფრი, რომელიც 47 ფურცელს შეადგენს 2-3 ათასს დოლარადაა შეფასებული. ამ ხელნაწერთან ერთად იყიდება ჯგუფის ოთხივე წევრის ფოტოსურათი. და ბოლოს იყიდება თავად ჰიუ ჰეფრენის მერსედეს ბენცის ფირმის შავი ლიმუზინი (საწყისი ფასი 30-50 ათასი დოლარი).

ჰიუ ჰეფრენის მოწოდება კი ჟურნალის 50 წლისთავზე ასეთია - "შემოგვიერთდით, რათა ერთად აღვნიშნოთ ჩვენი წარსული, აწმყო და მომავალი. ჯერ ყველაფერი წინ გვაქვს."


ჯენის ჯოპლინი


ჰელმუტის ანგელოზები


ვარგასის ქალები

მოკლედ

## საუკეთესოთა სიას ესპანელები ლიდერობენ

"ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ორგანიზაციამ", რომელიც ყოველთვიურად აქვეყნებს მსოფლიოს საუკეთესო კლუბების სიას, ნოემბრის მონაცემები შეაჯამა და პლანეტის უძლიერესი გუნდების ახალი სია გამოაქვეყნა. საუკეთესო გუნდად ფრანგული "მონაკო" დასახელდა. ჩემპიონთა ლიგაში და საფრანგეთის ჩემპიონატში ბრწყინვალე თამაშმა მას საშუალება მისცა, 71-ე ადგილიდან 33-ეზე გადაენაცვლა. "ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ორგანიზაციის" სიის პირველ ასეულში ყველაზე დიდი რაოდენობით ბრაზილიური კლუბები არიან წარმოდგენილი (10). შემდეგ მოდიან ესპანეთი (9), იტალია (7) და გერმანია (5).

საუკეთესოთა სიას სათავეში ჩაუდგა მადრიდის "რეალი", რომელიც ოქტომბერში მეორე პოზიციაზე იყო. მადრიდელებმა ადგილი გაუცვალეს წინა თვის ლიდერს, იტალიურ "მილანს".

**პირველი ოცეული:**

| | |
|---|---|
| 1. რეალი (ესპანეთი) | 309,02 |
| 2. მილანი (იტალია) | 307,03 |
| 3. სანტოსი (ბრაზილია) | 296,04 |
| 4. ბოკა ხუნიორსი (არგენტინა) | 262,05 |
| 5. პორტო (პორტუგალია) | 260,06 |
| 6. სელტიკი (შოტლანდია) | 255,07 |
| 7. არსენალი (ინგლისი) | 249,08 |
| 8. დეპორტივო (ესპანეთი) | 244,09 |
| 9. მანჩესტერი (ინგლისი) | 239,10 |
| 10. ლაციო (იტალია) | 232,012 |
| 12. რივერ პლეიტი (არგენტინა) | 224,013 |
| 13. აიაქსი (ჰოლანდია) | 217,514 |
| 14. კრუზეირო (ბრაზილია) | 216,015 |
| 15. ანდერლეხტი (ბელგია) | 214,516 |
| 16. ოსერი (საფრანგეთი) | 212,017 |
| 17. ბარსელონა (ესპანეთი) | 205,018 |
| 18. რომა (იტალია) | 201,019 |
| 19. ჩელსი (ინგლისი) | 199,020 |
| 20. ბაიერნი (გერმანია) | 198,0 |

## მაკინროი დროს მისტირის

უიმბლდონის სამგზის გამარჯვებულს, ჩოგბურთის ლეგენდას, ამერიკელ ჯონ მაკინროის კორტზე იმდენი ურბენია, ერთ-ორ სხვა ჩოგბურთელსაც ეყოფოდა, მაგრამ ბოლო დროს ხმა დაირხა, მაკინროის კორტზე დაბრუნება სურს, უფრო სწორად, ტომი ოკერისა და ტოდ ვუდბრიჯის რეკორდის დამხობა უნდაო. საქმე ისაა, რომ ოკერს და ვუდბრიჯს წყვილთა თანრიგში 78-78 ტიტული აქვთ მოგებული. კერძოდ, ვუდბრიჯმა ოკერის მიღწევა იონა ბიორკმანთან ტანდემში აშშ-ის ღია პირველობის მოგებით გაიმეორა.

რაც შეეხება მაკინროის, წყვილთა თანრიგში მას 77 ჯილდო აქვს მოგებული, ანუ, ოკერთან და ვუდბრიჯთან გასათანაბრებლად მაკინროის ერთი ტიტული კიდევ სჭირდება, თუმცა... ორშაბათს ამერიკელმა ვეტერანმა ყველას გასაგონად განაცხადა: რაოდენ მაცდურიც არ უნდა იყოს დიდ ჩოგბურთში დაბრუნება, ასეთ ნაბიჯს არ გადავდგამო. "ამაზე არც მიფიქრია, - აცხადებს 44 წლის მაკინროი, რომელმაც 1992 წელს დაანება თამაშს თავი. - მაშინაც კი, თუ წყვილთა თანრიგში შეჯიბრებებს დავუბრუნდებოდი, ეს რეკორდის დასამყარებლად არ იქნებოდა გამიზნული. როდესაც დიდი სპორტიდან წავედი, არ ვიცოდი, თუ ამ თანრიგში რეკორდამდე ერთი ტიტული მაკლდა. სამწუხაროა, რომ ამის შესახებ 10 წლის წინ არ მითხრეს. მაშინ, ალბათ, რამდენიმე ასპარეზობაში მივიღებდი მონაწილეობას".

## საგა გრძელდება



ხუან-პაბლო მონტოია

სამეფო რბოლების თითქოს მთვლემარე სეზონთაშორისი ხანა თუ შეიძლება რაიმეთი გამოირჩეს, ეს "უილიამსის" კოლუმბიელი პილოტის ხუან-პაბლო მონტოიას 2005 წლისთვის "მაკლარენში" გადაბარგებაა. კოლუმბიელის მიერ "მაკლარენთან" დადებულმა ხელშეკრულებამ, ფაქტია, ფორმულა 1-ის სამყაროში დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია. ექსპერტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ამ ინფორმაციის ერთი წლით ადრე გამჟღავნება საზიანო იქნება როგორც "უილიამსისა" და "მაკლარენისთვის", ისე თავად მონტოიასთვის. ამასობაში BMW-მოტოსპორტის დირექტორი მარიო ტეისენი ყველას არწმუნებს, რომ 2005 წელს მონტოიას "მაკლარენ-მერსედესში" გადასვლა საგაისო სეზონში "BMW-უილიამსზე" არავითარ გავლენას არ მოახდენს. თანაც, საჯინიბოც და მრბოლიც მომავალ ჩემპიონატში მოგებისთვის არიან განწყობილნი. მოვლენებში უკეთ გასარკვევად ტეისენისგან აღებული ინტერვიუც დაგვეხმარება:

**- ფორმულა 1-ის სამყარო კვლავაც განიხილავს მონტოიას "მაკლარენთან" დადებული კონტრაქტის შესაძლო ზემოქმედებას თქვენს გუნდზე. თავად როგორ შეაფასებთ შექმნილ ვითარებას?**

- ამ შეთანხმებას ძალზე მშვიდად აღვიქვამ. ჩვენ ხუან-პაბლო მონტოიასთან ერთად ერთი მიზანი გვამოძრავებს – ვიბრძოლოთ ჩემპიონის ტიტულისთვის. მთელი გულისყური სწორედ ამისკენ გვაქვს მიმართული, რადგან წარმატების შანსი ახლა ბევრად მეტი გვაქვს, ვიდრე ოდესმე. პირველი ტესტირებისას მივხვდი, რომ ხუან-პაბლოს მოტივაციასთან არანაირი პრობლემა არა აქვს.

**- არსებობს თუ არა იმის საშიშროება, რომ პილოტმა კონკურენტებს ბოლიდის განვითარების მნიშვნელოვანი ცნობები გადასცეს? რაკი ასე ადრე გაცხადდა ინფორმაცია პილოტის სხვა გუნდში გადასვლის შესახებ, ალბათ, გუნდს მოუწევს მისი მნიშვნელოვანი ტესტირებებიდან მოკვეთა...**

- თუ საკითხს ამ ჭრილში განვიხილავთ, მაშინ გუნდიდან ინჟინრის წასვლა უფრო დიდ დანაკლისად შეიძლება ჩაითვალოს, ვიდრე პილოტის წასვლა. რა თქმა უნდა, პილოტმაც კარგად იცის მანქანის შესაძლებლობები, მაგრამ ცოტა რამ თუ იცის ტექნიკის შესახებ.

**- ხომ შეიძლება, რომ პილოტმა გარკვეული მსჯელობით თუ მინიშნებებით ახალი გუნდის ინჟინრებს უბიძგოს, ზოგიერთ საკითხზე გაამახვილონ ყურადღება?**

- ყველაფერი შეიძლება მოხდეს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც არსებობს საიმედო საშუალებები, რომელთა მეშვეობით შესაძლებელია ყოველივეს თავიდან აცილება: ბოლიდის უფრო სწრაფად განვითარება. და მაინც, თუ პილოტი შეძლებს გარკვეული ინფორმაციის გადატანას, მის სისრულეში მოსაყვანად კონკურეტებს წელიწადნახევარი მაინც დასჭირდებათ. უზარმაზარი შრომაა საჭირო იმისთვის, რომ საკუთარი უპირატესობა გამოიმუშაო. ყველაფერ ამაში კი, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ პილოტებიც.

**- იმ შემთხვევაში, თუ მონტოია 2004 წელს "BMW-უილიამსს" მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს მოუტანს და შემდეგ პრესტიჟულ სასტარტო ნომერს "1" "ვერცხლის ისრებთან" წაიღებს, გული გეტკინებათ?**

- ის უფრო მეწყინება, თუ საერთოდ ჩემპიონის ტიტულის გარეშე დავრჩებით.

TV–სპორტი

### ხუთშაბათი. 4 დეკემბერი

**НТВ+ФУТБОЛ**
13:00 თავისუფალი დარტყმა
13:15 ესპანეთის ჩემპიონატი
15:00 ესპანეთის ჩემპიონატი
16:40 თავისუფალი დარტყმა
16:55 "FUTBOL MUNDIAL"
17:25 "დარტყმა გოლისთვის"
17:40 მსოფლიო ჩემპიონატი არაბეთის გაერთიანებულ სახალიფოში. იუნიორები. ბრაზილია – ავსტრალია. პირდაპირი ტრანსლაცია
19:35 "FUTBOL MUNDIAL"
20:05 თავისუფალი დარტყმა
20:20 სახვალიო ტელეპროგრამა
20:25 მსოფლიო ჩემპიონატი არაბეთის გაერთიანებულ სახალიფოში. იუნიორები. ესპანეთი – უზბეკეთი. პირდაპირი ტრანსლაცია
22:20 საუიკენდო მატჩების ანონსი
22:25 "ფეხბურთი ა-დან წ-მდე"
22:55 მსოფლიო ჩემპიონატი არაბეთის გაერთიანებულ სახალიფოში. იუნიორები. არგენტინა – მალი. შესვენებისას (23:45) თავისუფალი დარტყმა
00:55 მსოფლიო ჩემპიონატი არაბეთის გაერთიანებულ სახალიფოში. იუნიორები. კანადა – ჩეხეთი
02:40 "FUTBOL MUNDIAL"
03:10 03:10-დან 04:00-მდე შესვენება
04:00 NBA TV. "PHILADELPHIA 76 ERS" - "CHICAGO BULLS". პირდაპირი ტრანსლაცია
06:30 NBA TV. NBA-ს დღიური

**НТВ+СПОРТ**
11:00, 14:00, 17:10, 20:15 პრესცენტრი
11:15, 20:30 "ოლიმპის შვილები"
11:20, 14:15 აერობიკა
14:40 ათენის გზაზე
15:40 "ყველაზე ძლიერი ადამიანი" კანადაში. მეორე ნაწილი
16:35 "თოვლის სამყარო"
17:25 მაგიდის ჩოგბურთი – "China Open 2003"
18:20 "Power week – NHL-ის კვირა"
18:50 ტრიატლონი. მსოფლიო თასი
19:45 "ჩქაროსნული სამყარო"
20:35 სახვალიო ტელეპროგრამა
20:45 ATP-ს საჩოგბურთო მიმოხილვა
21:15 "მოტოვებული კვირა"
22:00 "სპორტის აკვატორია"
22:30 NBA-ს საკალათბურთო მიმოხილვა
23:15 ჰოკეი. NHL-ის ჩემპიონატი. "DETROIT RED WINGS" - "MIGHTY DUCKS OF ANAHEIM". შესვენებისას (01:00) ახალი ამბები
01:45 "ჩქაროსნული სამყარო"
02:15 ATP-ს საჩოგბურთო მიმოხილვა
02:45 02:45-დან 04:00-მდე შესვენება
04:00 ჰოკეი. NHL-ის ჩემპიონატი. "TAMPA BAY LIGHTNING" - "OTTAWA SENATORS". პირდაპირი ტრანსლაცია

**EUROSPORT**
11:30 ბადმინტონი. საერთაშორისო ასპარეზობა გერმანიაში
12:30 ბიატლონი. მსოფლიო თასი ფინეთში
14:30 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა
15:00 მულტისპორტი
15:15 ბიატლონი. მსოფლიო თასი ფინეთში
16:45 კრივი. საერთაშორისო ასპარეზობა
18:30 ბადმინტონი. საერთაშორისო ასპარეზობა გერმანიაში
21:00 ბიატლონი. მსოფლიო თასი ფინეთში
22:15 ბიატლონი. მსოფლიო თასი ფინეთში
23:30 კიკბოქსინგი. შეჯიბრება საფრანგეთში
02:00 ახალი ამბები
02:15 სნუკერი. ჩემპიონატი დიდ ბრიტანეთში
03:15 სპორტული ცეკვები. ლეტინ მასტერსი ავსტრიაში

ფეხბურთი

## "ფეირ პლეის" გზაზე

მიხეილ აბაიშვილი

ფეხბურთში საქართველოს ჩემპიონატის პირველი ეტაპის ბოლოსწინა ტურს, წესით, ბევრ შეკითხვაზე უნდა გაეცა პასუხი და ზეექვსეულისთვის თითქმის სრულყოფილი სახე მიეცა, მაგრამ ასე არ მოხდა. მეტიც: ისეთი შედეგები დაფიქსირდა და იმდენად აირია ყველაფერი, რომ ეშმაკიც ვერაფერს მიხვდება. დღეს დანამდვილებით მხოლოდ ის შეიძლება ითქვას, რომ ბოლო ტურის წინ სანერვიულო არა აქვთ "დინამოს", "სიონს" და "ვიტ ჯორჯიას", რომლებმაც საუკეთესო ექვსეულში კარგა ხნის წინ დაიბევეს ადგილი. "ლოკომოტივს", "თბილისს", "დილას", "ბათუმს" და "ტორპედოს" კი მეტ-ნაკლებად თანაბარი შანსი დარჩათ 3 ვაკანტური ადგილის დასაკავებლად.



გოგიტა ბახსაძის ფოტო

"თბილისელი" გეწაძისა და "ვიტ ჯორჯიელი" იმედაშვილის ორთაბრძოლა

ყველაზე სასიხარულო, ალბათ, ის არის, რომ საქართველოში "ჩაწყობილ" თამაშებს ბოლო ელება, რაც ძალზე თვალსაჩინო გახადა სწორედ ბოლოსწინა ტურის ორმა ცენტრალურმა მატჩმა, რომელშიც "დილა"-"დინამო" და "თბილისი"-"ვიტ ჯორჯია" ხვდებოდნენ ერთმანეთს.

იყო მითქმა-მოთქმა, რომ "დინამო" "დილას" 3 ქულას "ასესხებდა" და საუკეთესო ექვსეულში გაიყვანდა. ეს საქართველოს ჩემპიონს, მართლაც, ხელს აძლევდა, რადგან ჩემპიონატის დასკვნით ეტაპზე "დინამო" სრულფასოვან 6 ქულას "ჩაისესხებდა". ხონჩით მირთმეული 6 ქულა კი საქართველოს ყველა დროის საუკეთესო გუნდის მიერ ჩემპიონობის შენარჩუნების შანსს თითქმის 100 პროცენტამდე ზრდიდა.

"ფეირ პლეის" პრინციპი არც ავლაბარში, "ოლიმპის" სტადიონზე დაირღვა, სადაც "თბილისმა" "ვიტ ჯორჯიას" უმასპინძლა. აქაც, წარმატების შემთხვევაში, მასპინძელთა გუნდი საუკეთესო ექვსეულის საგზურს ინაღდებდა. "ვიტ ჯორჯიაც" პირველი ეტაპის ბოლოს დაკარგული 3, რეალურად კი 1,5 ქულის ნაცვლად ჩემპიონატის დასკვნით ეტაპზე 6 მნიშვნელოვან ქულას მიითვლიდა.

აი, ასეთი არითმეტიკა იყო ამ თამაშებამდე, მაგრამ, ქართული ფეხბურთისა და მისი გულშემატკივრისთვის საბედნიეროდ, გარიგებაზე არც ერთი გუნდი არ წასულა. ამ ოთხი გუნდის საქციელი კი იმის გარანტიაა, რომ საქართველოს ჩემპიონატი ფეხბურთში ძალიან მალე დაიბრუნებს ავტორიტეტს და ნდობას.

ახლა, რაც შეეხება ხსენებულ და ტურის სხვა მატჩებს. გორში "დილა", მართლაც, ბევრს ეცადა, რომ მეტოქე დაემარცხებინა და სანუკვარი 3 ქულა მოეპოვებინა, რასთანაც საკმაოდ ახლოს იყო. საქმე ის არის, რომ პირველ ტაიმში შეხვედრის არბიტრმა სტუმართა ერთი ფეხბურთელი, კერძოდ, ლადო ბურდული, გულშემატკივრებთან გამართული "ზრდილობიანი პოლემიკისთვის" მოედნიდან გააძევა. შუშაკის გუნდს 10-კაციანი შემადგენლობით მოუხდა მატჩის დამთავრება. მართალია, გოლის გატანა ვერ მოახერხა, მაგრამ საკუთარი კარიც "მშრალად" შეინარჩუნა და პატიოსანი ქულა მიითვალა.

"ვიტ ჯორჯია" თავიდან დაწინაურდა: მე-17 წუთზე ანგარიში დეკანოსიძემ გახსნა, მაგრამ "თბილისის" ახალგაზრდულმა გუნდმა მეორე ტაიმში მოახერხა თამაშში გარდატეხის შეტანა, 55-ე წუთზე ჭელიძის გოლით თანაფარდობა აღადგინა და დარჩენილ წუთებში, მეტოქესთან შედარებით, უფრო ახლოს იყო წარმატებასთან. თუმცა, გოლის გატანა ველარ მოახერხა და ბოლო ტურში ძნელი მატჩი უწევს თბილისის "ლოკომოტივთან".

"მცხეთამ", რომელმაც პირველ წრეში სტუმრად დაამარცხა ქუთაისის "ტორპედო", ამჯერად ქუთაისელთა გუნდს ვერავითარი კონკურენცია ველარ გაუწია და დიდი ანგარიშით, 1:5 დათმო მატჩი.

მოიგო "ბათუმმაც", თუმცა, ექვსეულში მოსახვედრად რთული ამოცანის გადაჭრა მოუწევს - ზღვისპირელებმა თბილისში "დინამო" უნდა დაამარცხონ.

**21-ე ტური**

| | | |
|---|---|---|
| დილა | 0:0 | დინამო |
| თბილისი | 1:1 | ვიტ ჯორჯია |
| ბათუმი | 2:1 | სპარტაკი |
| ოზურგეთი | 1:2 | ლოკომოტივი |
| სიონი | 2:0 | კოლხეთი |
| მცხეთა | 1:5 | ტორპედო |

**სატურნირო მდგომარეობა**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 21 | 14 | 5 | 2 | 43-8 | 47 |
| სიონი | 21 | 11 | 7 | 3 | 30-15 | 40 |
| ვიტ ჯორჯია | 21 | 11 | 6 | 4 | 25-15 | 39 |
| ლოკომოტივი | 21 | 10 | 4 | 7 | 32-23 | 34 |
| დილა | 21 | 10 | 4 | 7 | 28-19 | 34 |
| თბილისი | 21 | 9 | 5 | 7 | 40-26 | 32 |
| ბათუმი | 21 | 10 | 2 | 8 | 26-22 | 32 |
| ტორპედო | 21 | 9 | 4 | 7 | 26-24 | 31 |
| კოლხეთი | 21 | 6 | 3 | 12 | 18-31 | 21 |
| მცხეთა | 21 | 6 | 2 | 13 | 23-53 | 20 |
| სპარტაკი | 21 | 3 | 4 | 14 | 12-47 | 13 |
| მერცხალი | 21 | 2 | 4 | 15 | 18-43 | 10 |

## ფლორენტინო პერესი: "კოლეჯში რომ ვსწავლობდი, "ბარსა" არ არსებობდა"

### "რეალი" ანრის შეძენას აპირებს

*გუშინ ესპანეთის ჩემპიონატში მადრიდული დერბი გაიმართა - "რეალმა" "ატლეტიკოს" უმასპინძლა. "ბარსელონასა" და "ატელტიკოს" წინააღმდეგ დაპირისპირება მუდამ უმნიშვნელოვანესია სამეფო კლუბისთვის. გუშინდელი მატჩის წინ "რეალის" პრეზიდენტი ფლორენტინო პერესი, რადიოსადგურ RNE-ს სტუმარი, "ატლეტიკოსა" და "ბარსელონას" წინააღმდეგ მატჩებზე საუბრობდა.*

"ატლეტიკოს" წინააღმდეგ მატჩის წინ ფლორენტინო პერესი გამოტყდა, რომ უკანასკნელ ხანს ის ხშირად იხსენებდა იმ ავად მოსაგონარ გოლს, რომელიც "რეალმა" ერთი წლის წინათ გაუშვა "ატლეტკოსთან" მატჩში. "მთელი წლის განმავლობაში თავში მიტრიალებდა დემეტრიო ალბერტინის მიერ ჩვენს კარში გატანილი გოლი, რომელმაც ორი ქულა დაგვაკარგვინა", - განაცხადა პერესმა. "მართალია, ეს მხოლოდ სამი ქულა იყო, მაგრამ... "ატლეტიკო" ყოველთვის ჩვენი უმთავრესი მეტოქე იყო. როდესაც კოლეჯში ვსწავლობდი, არავითარი "ბარსა" არ არსებობდა. ყველაფერი მარტივად იყო: თუ შენ არ იყავი "რეალის" გულშემატკივარი, ესე იგი, "ატლეტიკოს" ქომაგობდი. ყველაფერს, რაც "ბარსელონასთან" იყო დაკავშირებული, ტელევიზორით ვიგებდით", - იხსენებს პერესი.

"რეალის" პრეზიდენტმა თავისი კმაყოფილება გამოთქვა იმ ფაქტით, რომ მიმდინარე სეზონში მადრიდის "ატლეტიკო" ესპანეთის ჩემპიონატის ზედა საფეხურებზე იმყოფება და რომ მას ისევ აქვს ევროტურნირებზე ასპარეზობის შანსი. ქების სიტყვები პერესმა არც "ბარსელონას" ხელმძღვანელთა მისამართით დაიშურა: "წინა კვირას ხუან ლაპორტამ ბარსელონაში მიმიწვია - ფეხბურთში არსებული ძალადობის წინააღმდეგ მიძღვნილ ღონისძიებაზე. ლაპორტამ და როსელმა "ბარსელონასა" და "რეალის" მომავალ მატჩს დადებითი მუხტი შესძინეს".

პერესის რადიოინტერვიუში მთავარი მაინც მომავალი ტრანსფერის თემა იყო. ესპანური პრესა მხოლოდ იმით არის დაკავებული, დროზე გაიგოს, თუ ვის გულისხმობდა პერესი, როდესაც "რეალის" მომავალ შენაძენზე საუბრობდა. ამას წინათ "რეალის" პრეზიდენტმა განაცხადა, რომ მომავალ ზაფხულს სამეფო კლუბი კიდევ ერთ სუპერ-ვარსკვლავს შეიძენს, თუმცა, ვარსკვლავის ვინაობა არ გაუმხელია. ესპანური პრესა ყველაზე ხშირად ტიერი ანრის გვარს ასახელებდა. ამ რადიოინტერვიუში პერესი გამოტყდა, რომ მისი ინტერესის მთავარი ობიექტი, მართლაც, "არსენალის" ფრანგი თავდამსხმელია. "რეალის" პრეზიდენტმა საიდუმოს ფარდა ახადა და განაცხადა: "თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, 30 ივნისს ტიერი ანრი "რეალში" ჩაირიცხება". თუმცა, თავის ნათქვამს პერესმა ისიც დაამატა, რომ ანრის ტრანსფერის ჩაშლის შემთხვევაში, "რეალი" აუცილებლად შეიძენს სხვა ვარსკვლავს.

მადრიდელთა თავკაცმა კიდევ ერთხელ ისარგებლა შემთხვევით და შეაქო თავისი გუნდის კაპიტანი რაული: "რაულის ენთუზიაზმი არასოდეს ქრება. რაული – ეს არის კლუბი... ის თანამედროვე "რეალის" სიმბოლოა".

ინტერვიუს ბოლოს პერესმა ეკონომიკურ საკითხებზეც ისაუბრა და განაცხადა, რომ მომავალ წელს "რეალი" სამ მილიონ მაისურას გაყიდის. საინტერესოა, იქნება თუ არა მათ შორის ტიერი ანრის მაისურა?

## რაული: "ბარსელონას" დამარცხება სამ ქულაზე მეტს ნიშნავს„

*საფეხბურთო სამყარო 7 დეკემბრის მოლოდინშია. სწორედ ამ დღეს გაიმართება "სუპერ-კლასიკოდ" წოდებული მატჩი - "ბარსელონა" მადრიდის "რეალს" უმასპინძლებს. მიუხედავად იმისა, რომ ეს ესპანეთის ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩია, მის მიმართ ინტერესი ყოველთვის გაათმაგებულია. და არა მარტო ესპანეთში. გულშემატკივრის მსგავსად, "სუპერ-კლასიკო" უმნიშვნელოვანესია მისი მონაწილე გუნდებისთვისაც. ამ მატჩში გამარჯვება "ბარსელონასა" და "რეალისთვის" სამკვდრო-სასიცოცხლო საქმეა. მადრიდელთა კაპიტანი რაული ამბობს, რომ ამ თამაშის მოგება ბევრად უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე, უბრალოდ, სამი ქულა.*



**- როგორ გრძნობ თავს ტრავმის შემდეგ?**

- ამ ტრავმის გამო დიდად არ ვღელავდი, ახლა კი თავს, მართლაც, კარგად ვგრძნობ.

**- ოთხშაბათს "ატლეტიკოსთან" მატჩი, შაბათს კი - "ბარსელონასთან"... წლევანდელ სეზონში მეტისმეტად გადატვირთული გრაფიკი გაქვთ.**

- ცხადია, კარგი იქნებოდა, რომ მატჩებისთვის მოსამზადებლად და დასასვენებლად მეტი დრო გვქონოდა. გულშემატკივარი უკეთეს ფეხბურთს იხილავდა. მაგრამ რას იზამ, კალენდარი ისეთია, როგორიც არის. ჩვენ ვერაფერს შევცვლით.

**- უკანასკნელ მატჩებში არც ისე ეფექტურად თამაშობდი...**

- "მარსელის" წინააღმდეგ მატჩის გამოკლებით. უკანასკნელ შეხვედრებში ჩვენ საერთოდ არ გვქონდა თამაშის კონტროლის საშუალება. ეს ტრაგედიაა ჩვენი გუნდისთვის. უკანასკნელ შეხვედრებში ძალიან გაგვიჭირდა ბურთის დაჭერა.

**- ახლანდელი სიტუაციით კმაყოფილი ხარ?**

- დიახ. ჩემპიონთა ლიგაში, ჯგუფში, პირველ ადგილზე ვართ, ლიდერები ვართ ესპანეთის ჩემპიონატშიც. მთავარი სწორედ ეს არის.

**- რას იტყვი იმ ჯგუფზე, რომელშიც ევროპის ჩემპიონატზე მოგიწევთ თამაში?**

- ჩვენს ჯგუფში არც ერთი გუნდი არ არის იოლი დასამარცხებელი. ყველაფერი ჩვენს მონდომებასა და ძალისხმევაზე იქნება დამოკიდებული. თუმცა, დარწმუნებული ვარ, ესპანეთი მეოთხედფინალში გასვლას შეძლებს.

**- შაბათს "ბარსელონას" შეხვდებით. კატალონიელებს არ ეყოლებათ რონალდინიო.**

- მე კი მინდოდა, რომ მას ეთამაშა. ამ მატჩში ყველა საუკეთესო ფეხბურთელი მოედანზე უნდა იყოს. ძალიან გამეხარდება, თუ მატჩის წინ გავიგებ, რომ რონალდინიო განაცხადშია.

**- ბარსელონაში გამარჯვებისთვის იბრძოლებთ?**

- მე ყველა მატჩში გამარჯვება მინდა. მთავარი სამი ქულის მოპოვებაა. თანაც, დიდი ხანია, "ნოუ კამპზე" აღარ მოგვიგია. ჩვენთვის ეს დიდი სტიმულია. ყოველთვის, როდესაც "ბარსელონას" წინააღმდეგ ვთამაშობთ, მატჩი მეტისმეტად პრინციპულ ხასიათს ატარებს, არა აქვს მნიშვნელობა, ეს ესპანეთის ჩემპიონატში ხდება თუ ჩემპიონთა ლიგაში. "ბარსელონას" წინააღმდეგ გამარჯვება მეტს ნიშნავს, ვიდრე, უბრალოდ, სამ ქულას. მეტოქეობა კარგია, მაგრამ ეს მხოლოდ სპორტულ ხასიათს უნდა ატარებდეს.

ინფოთეკა

**ფეხბურთი.** საქართველოს ნაკრების ფეხბურთელი კახა კალაძე გამოჯანმრთელდა და უახლოეს დღეებში დაიცავს "მილანის" ღირსებას. კახამ უაღრესად სერიოზული ტრავმა ჯერ კიდევ აგვისტოში რუმინეთის "ნაციონალთან" ამხანაგურ შეხვედრაში მიიღო და მას შემდეგ მკურნალობს. კერძოდ, იტალიის საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩების გარდა, მას მოუხდა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩის გამოტოვებაც რუსეთის ნაკრების წინააღმდეგ.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** გუშინ ფიფამ გამოაქვეყნა მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის ოფიციალური განრიგი, რომელიც გერმანიაში გაიმართება. ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამ ოფიციალურად დაადასტურა, რომ ჩემპიონატის პირველი მატჩი 9 ივნისს მიუნხენში გაიმართება. ზუსტად ერთი თვის თავზე კი ფინალურ მატჩს გერმანიის დედაქალაქი ბერლინი უმასპინძლებს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** სპორტულმა საარბიტრაჟო სასამართლომ, რომელიც შვეიცარიის ქალაქ ლოზანაში მდებარეობს, გააუქმა სტამბულის "ბეშიქთაშის" თხოვნა, რომელსაც სურდა, ჩემპიონთა ლიგის საშინაო მატჩი ლონდონის "ჩელსის" წინააღმდეგ მშობლიურ სტადიონზე ჩაეტარებინა. არბიტრაჟმა მხარი დაუჭირა გადაწყვეტილებას, თამაში გერმანიის ქალაქ გელზენკირხენში გაიმართოს. შეგახსენებთ, რომ ეს მატჩი "შავი არწივებისთვის" უაღრესად მნიშვნელოვანია. ისინი მერვედფინალში გასვლის შანსს ინარჩუნებენ.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** გადარჩა ინგლისის უძველესი კლუბი "ნოთს ქაუნთი". ეს გუნდი, რომელსაც ორი წლის შემდეგ ლიკვიდაცია ემუქრებოდა, გუშინ საგარეო მმართველობიდან გამოიყვანეს. ყველაფერი ეს კომპანია "ბლენჰეიმის" დამსახურებაა, რომელიც თანახმაა, მეორე დივიზიონის ბინადარი გუნდის უზრუნველყოფა იტვირთოს. აღსანიშნავია, რომ ადგილობრივი გულშემატკივრები თვითონ ცდილობდნენ, გადაერჩინათ საყვარელი გუნდი და ამ მიზნით 250 000 გირვანქა სტერლინგიც კი შეაგროვეს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ბრიტანულმა ჟურნალმა "4-4-2" გამოაქვეყნა ინგლისურ ფეხბურთში მოღვაწე უმდიდრესი ადამიანების ნუსხა. ტოპ-ლისტს სათავეში ჩაუდგა "ჩელსის" მფლობელი რომან აბრამოვიჩი. მისი ქონება 5 მილიარდ 500 მილიონ გირვანქა სტერლინგად არის შეფასებული. ის უსწრებს ჯო ლუისს, რომელსაც ეკუთვნის "ტოტენჰემ ჰოთსპურისა" და "გლაზგო რეინჯერსის" აქციათა მსხვილი პაკეტი. მდიდართა სიაში მწვრთნელთაგან მხოლოდ "მანჩესტერ იუნაიტედის" დამრიგებელი სერ ალექს ფერგიუსონი შევიდა. საინტერესოა, რომ უმდიდრეს მოღვაწეთა ასეულში რამდენიმე ფეხბურთელიცაა: დევიდ ბექჰემი (60 მილიონი), როი კინი, რიო ფერდინანდი, რაიან გიგზი, ალან შირერი, მაიკლ ოუენი და რობი ფაულერი.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** "მანჩესტერ იუნაიტედმა" დღემდე ვერ მოძებნა კარლუშ კეიროშის შემცვლელი, რომელიც მადრიდის "რეალში" გადასვლამდე ალექს ფერგიუსონის თანაშემწედ მუშაობდა. გაირკვა, რომ ამ თანამდებობას ესპანეთის "ვალიადოლიდის" მწვრთნელს ფერნანდო ვასკესს სთავაზობდნენ, მაგრამ ვასკესმა ინგლისში გამგზავრებაზე უარი განაცხადა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** მსოფლიო ჩემპიონატის ძირითად საკვალიფიკაციო ბადეში კიდევ ერთი ყოფილი საბჭოთა ქვეყანა გავიდა. ყირგიზეთის ნაკრებმა საკუთარ მინდორზე – 4:0 დაამარცხა პაკისტანის ნაკრები და საკვალიფიკაციო ეტაპზე თამაშის უფლება მოიპოვა. ამ გუნდების პირველი მატჩი ყირგიზთა გამარჯვებით – 2:0 დასრულდა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** გგჟ-სთვის მიცემულ ინტერვიუში რივალდოს აგენტმა ჟორჟე გამამ განაცხადა, რომ მისი კლიენტი ერთდროულად სამი ინგლისური გუნდის წინადადებას განიხილავს. სწორედ ისინი არიან მსოფლიო ჩემპიონისთვის პრიორიტეტები. ეს გუნდები არიან: "ჩელსი", "ნიუკასლი" და "მიდლსბრო". გამამ ისიც თქვა, რომ ახლახან რივალდომ მეტად სარფიანი წინადადება მიიღო ყატარიდან. თუმცა, გაირკვა, რომ ხელფასის საკითხი რივალდოსთვის უმთავრესი არ არის. მას, უბრალოდ, კარგ კლუბში უნდა თამაში.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** კლოზემ განაცხადა, რომ სეზონის ბოლოს "კაიზერსლაუტერნის" დატოვებას აპირებს და მაშინვე გამოჩნდნენ მასზე მონადირე კლუბები. ბრემენის "ვერდერი" ერთ-ერთი მათგანია, რომელიც კლოზესთვის რიგში ჩადგა. ბრემენში დარწმუნებულნი არიან, რომ კლოზე შესანიშნავად მოერგება "ვერდერის" სათამაშო სქემას.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** უეფას თასის მრავალტანჯული განმეორებითი მატჩი ჰაიფას "მაკაბისა" და ესპანეთის "ვალენსიას" შორის, 11 დეკემბერს, როტერდამში, "სპარტას" სტადიონზე გაიმართება. შეგახსენებთ, რომ თავიდან ეს მატჩი ისრაელიდან თურქეთში გადაიტანეს. თუმცა, სტამბულის ცნობილი ტერაქტების შემდეგ ებრაელებს ისევ სტადიონის მოძიება მოუხდათ.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** იტალიის "რომას" პრეზიდენტმა ფრანკო სენსიმ განაცხადა, რომ თანამდებობის დატოვებაზე ფიქრობს და იმედი აქვს, კლუბში საპატიო და, ამავე დროს, ნაკლებად მნიშვნელოვან პოსტზე დარჩება. 77 წლის პრეზიდენტი რომაულ კლუბში თავის მოვალეობას 1993 წლიდან ასრულებს. მისი ხელმძღვანელობით "რომამ" 2001 წელს ქვეყნის ჩემპიონატი მოიგო.

## ინფოთეკა

**ჩოგბურთი.** ადამიანი, რომელმაც მოკლა დები უილიამსების და იეტუნდა პრაისი, სასამართლოს წინაშე წარდგება. სასამართლო ხელისუფლებამ დაასკვნა: მართალია, აარონ ჰამერი ორგანიზებულ დანაშაულთან კავშირში იმყოფებოდა, მაგრამ ამ ორგანიზაციის წევრი არ იყო. ამიტომ მის წინააღმდეგ აღძრულია საქმე მხოლოდ მკვლელობისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების მუხლით. როდის გაიმართება სასამართლო პროცესი, ჯერჯერობით უცნობია. შეგახსენებთ, რომ პრაისი 14 სექტემბერს შემთხვევით დაცხრილეს მას შემდეგ, რაც ის მეგობართან ერთად სპორტულ მანქანაში იჯდა.

■ ■ ■

**კრივი.** სააგენტო "ფრანს პრესის" ცნობით, უახლოეს მომავალში რინგზე შეიძლება ერთმანეთს შეხვდეს ორი ის მოკრივე, რომელთა გამოჩენაც ბოლო დღეების ყველაზე თვალსაჩინო მოვლენა გახდა. მენი პაკვიაომ (38-2-1) კრივის სამყარო გააოცა იმით, რომ დაამარცხა ქვემსუბუქი წონითი კატეგორიის მეფედ საყოველთაოდ აღიარებული მარკო ანტონიო ბარერა. სკოტ ჰარისონმა კი (20-2-1) WBO-ის ვერსიით ჩემპიონის ქამარი იმავე წონით კატეგორიაში მას შემდეგ მოიპოვა, რაც 2003 წლის ივლისში გამოცდილ მანუელ მედინასგან განცდილი მარცხისთვის რევანში აიღო.

■ ■ ■

**მძლეოსნობა.** ბრიტანელმა მარკ რიჩარდსონმა, რომელიც 400 მეტრ დისტანციაზე რბენის სპეციალისტად მიიჩნევა და რომელსაც დოპინგის მიღების გამო დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს, გადაწყვიტა, დაასრულოს სპორტული კარიერა. ამ გადაწყვეტილების ირიბი მიზეზი სპორტსმენის მრავალრიცხოვანი ტრავმებიც გახდა. "არ მჯერა, რომ ჩემი ორგანიზმი სრულად აღდგება. რაც უფრო მეტად ვიტვირთები, მით უფრო ხშირია ტრავმა", – განაცხადა დაღონებულმა სპორტსმენმა, რომლის ანგარიშზეცაა ამ დისტანციაზე ინგლისის ისტორიაში მეორე შედეგი (44,37).

■ ■ ■

**ფორმულა 1.** გუშინ ცნობილი გახდა, რომ ჯასტინ უილსონის ადგილს "იაგუარში" კრისტიან კლინი დაიკავებს. ამის შემდეგ "მინარდის" (სადაც უილსონს 2003 წლის სეზონის დასაწყისში დებიუტი ჰქონდა) შეფმა პოლ სტოდარტმა, განაცხადა, რომ მზად არის, პილოტი ისევ მიიღოს. "არავის შეუძლია წარმოიდგინოს, თუ როგორ ძალიან მინდა, ჯასტინი ფორმულა 1-ში შევინარჩუნოთ. "იაგუარს" უკვე ვესაუბრე, თუმცა, რაიმე დასკვნის გამოტანა ჯერჯერობით ადრეა. მოხარული ვიქნები, თუ ჯასტინი გუნდში დაბრუნდება. შარშან, სეზონის დასაწყისში, ჩვენ ფანტასტიკურად ვთანამშრომლობდით", – განაცხადა სტოდარტმა. სტოდარტი არ მალავს, რომ "მინარდიში" დასაბრუნებლად უილსონს სპონსორის პაკეტი აუცილებლად დასჭირდება.

■ ■ ■

**ჰოკეი.** "პიტსბურგის" კაპიტანი მარიო ლემიე გუნდს გასვლით მატჩებზე არ გაჰყვება, რაც იმას ნიშნავს, რომ ლემიეს რეაბილიტაციის პერიოდი, სულ ცოტა, კიდევ 10 დღით გაგრძელდება. ამ ხნის განმავლობაში "პინგვინები" ხუთ მატჩს გამართავენ - ფილადელფიის, ედმონტონის, კალგარის, ვანკუვერისა და ატლანტის გუნდებთან. ბარძაყის პრობლემების გამო, 1 ნოემბრიდან მოყოლებული, როცა გუნდი ბოსტონის წინააღმდეგ თამაშობდა, ლემიემ 13 მატჩი უკვე გამოტოვა. ამის შემდეგ ლემიე მხოლოდ ორჯერ შეეცადა ევარჯიშა. უკანასკნელად - 10 ნოემბერს. 2 დეკემბერს გუნდის მწვრთნელმა ედ ოლჩიკმა განაცხადა, რომ დიდი ხანია, რაც სუპერმარიოს სამედიცინო შემოწმება არ ჩატარებულა. უკანასკნელად ეს 17 ნოემბერს მოხდა. ცნობილი მხოლოდ ის არის, რომ "ლემიე ჰოკეის განუსაზღვრელი ვადით გამოეთიშა". "პინგვინების" გენერალურმა მენეჯერმა კრეიგ პატრიკმა უარყო ხმები იმის შესახებ, რომ გუნდის მფლობელი უახლოეს პერიოდში სპორტული კარიერის დასრულებას გეგმავს, მაგრამ გუნდის ხელმძღვანელობა ლემიეს დაბრუნების სავარაუდო თარიღსაც კი ვერ ასახელებს. "ჩვენ ეს თარიღი უკვე 14-ჯერ დავასახელეთ", - თქვა პატრიკმა.

■ ■ ■

**ჰოკეი.** სერგეი ფიოდოროვის "დეტროიტში" დაბრუნებას პირადად აპირებს დეტროიტელი "წითელი ფრთების" ლეგენდარული მეკარე, ჩეხი დომინიკ ჰაშეკი, რომელსაც საზარდულთან დაკავშირებული პრობლემების გამო 15 ნოემბრის შემდეგ არ უთამაშია. როგორც ჩანს, სწორედ "დომინატორი" დაიკავებს ამ მატჩში "დეტროიტის" კარის დარაჯის ადგილს. ეს მაშინ, როცა გასული კვირის საუკეთესო მოთამაშის პრიზისთვის წარდგენილი მენი ლეგასი ჰაშეკის დუბლიორი იქნება და სათადარიგოთა სკამზე გადაინაცვლებს. "უკვე წესად ჩამოყალიბდა, შეგვახსენონ საპნის ოპერა, – განაცხადა ლეგასმა, – შექმნილი მდგომარეობა საუკეთესო არ არის, მაგრამ ჩვენ შევეცდებით, აქედან მაქსიმალურად კარგი შედეგი მივიღოთ". "მენი ისე თამაშობდა, როგორც მისგან ვითხოვდით, – ასეთი კომენტარი გაუკეთა მენის სტატისტიკას "დეტროიტის" მწვრთნელმა დეივ ლუისმა. ის თავის ძალაში დარწმუნებულია და ჩვენ მოხარული ვართ, რომ დომინიკიც ჩვენთან არის".

## რაგბი

# "დათვები" ვართ - მაგრები!

პაატა თოთაძე

გუშინწინ "ყოჩები"-"ლელოსა" და "ლოკომოტივი"-"აკადემია – იმედი L"-ის მატჩებით დასრულდა საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის პირველი ეტაპი. კვირას ეს გუნდები ("ლელოს" გამოკლებით) ჩემპიონობისთვის ბრძოლაში მეორე, პლეი-ოფად წოდებულ ეტაპს დაიწყებენ ("ლელოს" ბათუმის "დათვები" შეცვლის).

ამ ოთხეულის ვინაობა კარგა ხანია ცნობილია. გასარკვევი მხოლოდ ის იყო, სატურნირო ცხრილში გუნდები როგორ გაინაწილებდნენ ადგილებს, ანუ ვინ ვისი მეტოქე გახდებოდა. მოვლენები ვარკეთილის მეურნეობის და "ლოკომოტივის" სტადიონზე იმგვარად განვითარდა, როგორც მოსალოდნელი იყო – "ყოჩებმა" "ლელოს" სძლიეს და პირველობა არავის დაუთმეს, "ლოკომოტივმა" კი "აკადემია – იმედი L" დაამარცხა. ამ გამარჯვებით რკინიგზელებმა პლეი-ოფში "ყოჩებთან" თამაში გაინაღდეს, "აკადემიას" კი ბათუმში მოუწევს სტუმრობა. ქვეყნის ჩემპიონმა, ბათუმის "დათვებმა", პირველ ეტაპზე მესამე ადგილი დაიკავა, ასე რომ, ფინალში გასასვლელად ორი თამაშის მოგება მართებს – თუ "აკადემიას" სძლია, მეორე მატჩში "ყოჩები"-"ლოკომოტივის" წყვილში დამარცხებულს შეხვდება. ისე მოხდა, რომ "დათვებს", პირველზე თუ არა, მეორე ადგილზე მაინც შეეძლოთ გასვლა, რომ არა ერთი ფაქტი – "ყოჩებთან" მატჩზე გამოუცხადებლობისთვის ბათუმელებს წაგება ჩაეთვალათ და ჯარიმის სახით ქულაც ჩამოაკლდათ. სწორედ ეს ფაქტი გახდა ზღვისპირელთა აღშფოთების მიზეზი.

თავდაპირველი, 6 ოქტომბერს გამოგზავნილი ცვლილებით მე-9 ტურში 8 ნოემბერს "დათვებს" "ყოჩებთან", ხოლო "დათვები 2"-ს "აკადემია-იმედი L"-თან უნდა ეთამაშა – ნათქვამია აჭარის რაგბის კავშირის ღია წერილში - ნოემბრის დასაწყისში ტელეფონით ვიგებთ, რომ ეს თამაშები გაიმართება არა 8, არამედ 13 ნოემბერს. 11 ნოემბერს კი ისევ ტელეფონით ვიგებთ, რომ შეხვედრები 15 ნოემბრისთვისაა გადატანილი, რადგან 13-ში შეიძლება "გაწვიმებულიყო"! ამ შემთხვევაში გაურკვეველია, ჩემპიონატის დებულების რომელი მუხლით ისარგებლა კავშირმა. დებულების მე-4 თავის 4.19 მუხლის თანახმად, მატჩის გადატანა შესაძლებელია შემდეგი მიზეზებით:

ა) გაუთვალისწინებელი ფორსმაჟორული მდგომარეობა (წყალდიდობა, ხანძარი, ავარია ტრანსპორტზე, მიწისძვრა და სხვა)

ბ) მეტეოპირობები, რომლებიც, მსაჯისა და მეთვალყურის აზრით, საშიშროებას უქმნიან სპორტსმენთა ჯანმრთელობას

გ) ეროვნულ ან სხვა რომელიმე ნაკრებ გუნდში, მათ შორის, რეგიონულში სამი ან მეტი მოთამაშის გაწვევა. თუ ამ მიზეზით გუნდი მოითხოვს 2 ან მეტი თამაშის გადატანას, საკითხს განიხილავს სრკ-ს დირექტორატი

"დათვების" ხელმძღვანელობამ ოფიციალურად წერილობით აცნობა რაგბის კავშირს, რომ აჭარის რეგიონული ნაკრები, რომელიც "დათვების" 19 და "დათვები 2"-ის 11 მოთამაშით არის დაკომპლექტებული, ევროპის რეგიონთა თასის ნახევარფინალისთვის მოსამზადებლად შეკრებაზე იყო და ერთი ტურის გამოტოვება ითხოვა (ჩემპიონატის დებულება. მუხლი 4.19. დ) კავშირში ბათუმელთა არგუმენტი მატჩის გადატანის თაობაზე არ გაითვალისწინეს და, სადისციპლინო კოდექსის 2.1 მუხლის თანახმად, "თამაშზე არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის გამო", "დათვებს" და "დათვები 2"-ს მიესაჯა წაგება. 17 ნოემბრისთვის დაგეგმილი შეხვედრა "ლოკომოტივსა" და "ლელოს" შორის კი 27 ნოემბერს გაიმართა, ანუ მატჩი 10 დღით გადაიტანეს.

იმ 13 ნოემბრის კალენდრით ჩემპიონატის ფინალი 13 დეკემბერს უნდა გამართულიყო. საქართველოში მიმდინარე პროცესების გამო აჭარის რეგიონის ნაკრებმა ვერ მოახერხა საფრანგეთში გამგზავრება ევროპის რეგიონთა თასის ნახევარფინალის სათამაშოდ.

მომხდართან დაკავშირებით საქართველოს რაგბის კავშირის ვიცე-პრეზიდენტი ზაზა ქასაშვილი არაერთხელ ესაუბრა FIRA-AER-ის ხელმძღვანელობას და ამ ორგანიზაციამ მიიღო გადაწყვეტილება, 22 ნოემბერს გაუმართავი ნახევარფინალი 20 დეკემბრისთვის გადაეტანა. თუმცა, ახალი, ამჯერად უკვე 27 ნოემბრის კალენდრით, ჩემპიონატის ფინალის გამართვის თარიღად, ნაცვლად 13 დეკემბრისა, 17 დეკემბერი დასახელდა - ევროპის რეგიონთა თასის ნახევარფინალზე გამგზავრებამდე ორი დღით ადრე.

ამასთან დაკავშირებით კომენტარი ვთხოვეთ საქართველოს რაგბის კავშირის საშეჯიბრებო კომიტეტის თავმჯდომარეს ზურაბ ხარშილაძეს.

"ამასთან დაკავშირებით პირადად ვესაუბრე აჭარის რაგბის კავშირის ხელმძღვანელობას. თავდაპირველად დამეთანხმნენ, თუმცა, მერე აზრი შეიცვალეს და მატჩის გადატანა ითხოვეს. რაც შეეხება იმას, თუ რატომ არ გადავიტანეთ შეხვედრა, ჩავთვალეთ, რომ ერთი კვირა, რომელიც საფრანგეთში წასვლამდე იყო დარჩენილი, საკმარისი იყო მოსამზადებლად, თანაც, "ყოჩებთან" მატჩი ერთგვარი რეპეტიცია იქნებოდა. ახლა "ლოკომოტივი"-"ლელოს" მატჩზე ვთქვათ. იმ მატჩის მომსახურებაზე მსაჯებმა განაცხადეს უარი. უამრავი მიზეზი იყო, რომელთა გამო მსაჯებმა მოედანზე გასვლა არ ისურვეს. საინტერესოა, რა უნდა გვექნა ასეთ შემთხვევაში? და ბოლოს: აჭარის რაგბის კავშირის ხელმძღვანელობას შევუთვალეთ, თუ გუნდი ფინალში გავიდოდა, მაშინ მატჩს გადავუდებდით, რადგან გუნდი საფრანგეთში აპირებს გამგზავრებას. ასე რომ, ნურავინ იფიქრებს, თითქოს ჩვენ შეგნებულად ვჩაგრავდეთ ბათუმელებს", - "24 საათთან" საუბარში აღნიშნა ზურაბ ხარშილაძემ.

## კალათბურთი

# ცოტაც, ბიჭებო, და რეკორდი თქვენია!

სანდრო ნავერიანი

"ორლანდო მეჯიქი" ახლოს არის ანტირეკორდთან. თუ უახლოესი ხუთი თამაშის განმავლობაში ორლანდოელთა მთავარმა მწვრთნელმა ჯონი დევისმა რაიმე არ მოიმოქმედა, მაშინ ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის ყველა დროის ანტირეკორდი გარდაუვალია. ჯერჯერობით "ორლანდო მეჯიქს" 17 თამაშიდან 16 აქვს წაგებული, თანაც, ზედიზედ, რეკორდი კი "ფილადელფია სევენთისიქსერზს" ეკუთვნის - 1971-72 წლების სეზონში მან ზედიზედ ოცი მატჩი წააგო.

ამჯერად ტიმაკისა და კომპანიის დამმარცხებლად "ნიუ-ორლეან ჰორნეთსი" მოგვევლინა. ორლანდოელებმა მატჩი კარგად დაიწყეს, მაგრამ უკანასკნელი მეოთხედი საშინლად ითამაშეს. ზაზა ფაჩულიამ მოედანზე 20 წუთი გაატარა და გუნდს 4 ქულა შესძინა. მაკგრეიდიმ 16 ქულა, 15 მოხსნა და 5 შედეგიანი გადაცემა გააკეთა. ყველაზე შედეგიანი "მეჯიქის" შემადგენლობაში გირიჩეკი იყო (25 ქულა). 16 ქულა გააკეთა ჯუვეინ ჰოვარდმა. ნიუორლეანელთა რიგებში ყველაზე შედეგიანები იყვნენ ბაირონ დევისი და დევიდ უესლი. მათ, შესაბამისად, 21 და 17 ქულა სესძინეს საკუთარ გუნდს. საინტერესოა, რომ სწორედ ნიუორლეანურმა გუნდმა ჩაუყარა საფუძველი "ორლანდო მეჯიქის" წაგებათა სერიას. 28 ოქტომბერს "ნიუ-ორლეან ჰორნეთსმა" ჩემპიონატის მეორე მატჩში დაამარცხა "ორლანდო მეჯიქი", რის შემდეგაც ფლორიდელმა კალათბურთელებმა ვერც ერთი მატჩი ვერ მოიგეს.

ნიკოლოზ ცქიტიშვილის "დენვერ ნაგეთსმა" საკუთარ "პეფსი ცენტრში" ლებრონ ჯეიმსი და კომპანია მიიღო. კლივლენდელმა კალათბურთელებმა ვერაფერი მოუხერხეს დენვერულ თავდასხმას და მატჩი 115:103 დათმეს. სამწუხაროდ, ამ მატჩში მონაწილეობა არ მიუღია ცქიტიშვილს, მაგრამ ის მაინც ყველაზე შედეგიან ქართველად რჩება ნაციონალურ საკალათბურთო ასოციაციაში. როგორც ადრე აღვნიშნე, ქართველთათვის ყველაზე ბედნიერი სწორედ "პეფსი ცენტრი" გამოდგა. ამ მოედანზე უფრო მეტი გამარჯვებაა, ვიდრე მარცხი.

ნაციონალურ საკალათბურთო ასოციაციაში თითქმის 20 ტური ჩატარდა და უკვე საუბრობენ იმაზე, თუ ვის რა შანსი აქვს პლეი-ოფში გასასვლელად. შანსები და შეფასებები ხვალისთვის გადავდოთ, აქ კი სატურნირო ცხრილს შემოგთავაზებთ.



ბაირონ დევისისა და ტრეისი მაკგრეიდის ორთაბრძოლა

**აღმოსავლეთ კონფერენცია**

| | მ | წ | % |
|---|---|---|---|
| ინდიანა | 15 | 3 | 0.833 |
| დეტროიტი | 13 | 6 | 0.684 |
| ნიუ-ორლეანი | 11 | 6 | 0.647 |
| ტორონტო | 8 | 8 | 0.500 |
| ფილადელფია | 9 | 9 | 0.500 |
| მილუოკი | 8 | 9 | 0.471 |
| ნიუ-ჯერსი | 7 | 10 | 0.412 |
| ბოსტონი | 7 | 10 | 0.412 |
| ნიუ-იორკი | 7 | 11 | 0.389 |
| ვაშინგტონი | 6 | 10 | 0.375 |
| ატლანტა | 6 | 11 | 0.333 |
| ჩიკაგო | 5 | 12 | 0.294 |
| მაიამი | 5 | 12 | 0.294 |
| კლივლენდი | 4 | 13 | 0.235 |
| ორლანდო | 1 | 15 | 0.063 |

**დასავლეთ კონფერენცია**

| | მ | წ | % |
|---|---|---|---|
| ლ.ა.ლეიკერსი | 14 | 3 | 0.824 |
| დალასი | 11 | 6 | 0.647 |
| საკრამენტო | 12 | 4 | 0.750 |
| იუტა | 10 | 6 | 0.625 |
| დენვერი | 10 | 6 | 0.625 |
| სიეტლი | 8 | 6 | 0.571 |
| ჰიუსტონი | 9 | 7 | 0.563 |
| გოლდენ სთეითი | 8 | 7 | 0.533 |
| პორტლენდი | 8 | 7 | 0.533 |
| მინესოტა | 9 | 8 | 0.529 |
| მემფისი | 8 | 8 | 0.500 |
| სან-ანტონიო | 9 | 9 | 0.500 |
| ფენიქსი | 7 | 9 | 0.438 |
| ლ.ა.კლიპერსი | 5 | 8 | 0.385 |

## ფორმულა 1

# ბრაზილიას სიამაყე დაუტოვეს

გიგა გურასაშვილი

*ცოტა ხნის წინათ მოსამართლე ჟოაო ანდრე დე ვინჩენცომ გადაწყვიტა, სან-პაულუში ფორმულა 1-ის ბრაზილიის გრან-პრის გათამაშება გაეუქმებინა, რადგან, როგორც თავად აცხადებს, ამ შეჯიბრების მასპინძლობა ქალაქისთვის დიდი ფუფუნებაა. თუმცა, საკითხის სკრუპულოზურად შესწავლის შემდეგ სასამართლო პალატამ სხვაგვარად განსაჯა და ვიჩენცოს გადაწყვეტილება გააუქმა. ჩვენ ჩავატარებთ ამ რბოლას, მაგრამ რა მოყვება ამას, ეს მერე გამოჩნდება, - აცხადებს სან-პაულუს სპორტის მინისტრი პაულო ნალია კამპეო. – ჩვენ მზად ვართ, საკუთარი გადაწყვეტილება დავიცვათ, რადგან გვაქვს არგუმენტები იმასთან დაკავშირებით, თუ რა სარგებელი შეიძლება მოუტანოს რბოლებმა ქალაქს".*

ერთი სიტყვით, ბრაზილიელები ფორმულა 1-ის გარეშე არ დარჩენილან. 2004 წლის კალენდარში კვლავაც შეტანილია ბრაზილიის გრან-პრი. სან-პაულუს შტატის მოსამართლემ სერხიო კოიმბრა შმიდტმა ნოემბრის დასაწყისში მეთორმეტე საოლქო სასამართლოში მისი კოლეგის მიერ მიღებული გადაწყვეტილება გააუქმა და, შესაბამისად, ქვეყნის ერთ-ერთი უმთავრესი სიამაყე არქივში მოხვედრისგან იხსნა. არადა, ყველამ კარგად იცის, თუ რა გააფთრებული ბრძოლაა გაჩაღებული რიგ ქვეყნებს შორის, რათა სამეფო რბოლების მასპინძლობის უფლება მოიპოვონ. ტრიბუნალის აზრით, ვინჩენცოს მიერ გამოტანილ ვერდიქტს არავითარი იურიდიული საფუძველი არ ჰქონდა. გარდა ამისა, რბოლის დაწყებამდე თერთმეტი თვით ადრე მსოფლიო ჩემპიონატის ეტაპის გაუქმება ქალაქის ხაზინას ბევრად დიდ ზარალს მიაყენებდა, ვიდრე რბოლის მასპინძლობა.


ბრაზილიის გრან-პრის სტარტის წინ

რაც შეეხება ბრაზილიის გრან-პრის გაუქმების დეტალებს, მას სახელმწიფოს სარჩელით მივყავართ. სახელმწიფო კი საკუთარ პოზიციას შტატისა და ქალაქის პრეფექტურის ღრმა ეკონომიკური კრიზისით ხსნის, რომელსაც არ შესწევს უნარი, გრანდიოზულ ღონისძიებას უმასპინძლოს.

გრან-პრის მასპინძლობაზე აკრძალვის განაჩენი კი 9 ნოემბერს იქნა გამოტანილი. უფრო სწორად, სასამართლომ ქალაქის ადმინისტრაციასა და ფრომოუშენ კომპანია - International Promotions-ს შორის, რომელიც ბოლო წლების განმავლობაში "ბრაზილიის გრან-პრის" ერთ-ერთი მთავარი მასპინძელი გახლდათ, მოქმედი კონტრაქტი შეუწყდა. ამასთან, სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში ერთგვარი მუქარაც გაურია: თუ გრან-პრის მასპინძლობისთვის მზადებას მაინც გააგრძელებდნენ, მაშინ ორგანიზატორები ვალდებულნი გახდებოდნენ, წინასწარ გაწეული მუშაობისთვის ყოველდღიურად 17 ათასი დოლარი გადაეხადათ.

არადა, გაისად აირტონ სენას დაღუპვიდან ათი წელი სრულდება. რომ არა სერხიო კოიმბრა შმიდტის მიერ გაუქმებული გადაწყვეტილება, ბრაზილიის გრან-პრი, რომელიც კალენდრის მიხედვით 24 ოქტომბერს უნდა ჩატარდეს, სრულიად რეალურად ამგვარი საფრთხის წინაშე იდგა.

ამიტომაც იყო, რომ ქალაქის პრეფექტურამ ვინჩენცოს მიერ გამოტანილ განაჩენზე უმალ აპელაცია შეიტანა, რასაც შემდგომ კოიმბრას გადაწყვეტილებაც მოჰყვა.

"გრან-პრი გადარჩენილია. ესაა მთავარი", - იტყობინება სან-პაულუს სპორტის მინისტრი პაულო ნალია კამპეო და იქვე დასძენს, რომ დიდი საქმე გააკეთეს, რისთვისაც, დარწმუნებულია, მომავალში არაერთხელ გადაუხდიან მადლობას.

ნაფიფქი



ნინო I

## სამშობლოზე შემომწყრალნი

გერმანია, ალბათ, ერთადერთი ქვეყანაა, სადაც მდიდარი და სახელგანთქმული პიროვნებები თავს არცთუ ისე კარგად გრძნობენ და ხშირ შემთხვევაში სამშობლოდან შორს ცხოვრებას არჩევენ. რაც უნდა პარადოქსული იყოს, იტალიაში ან ესპანეთში ვარსკვლავებს არასოდეს ექმნებათ იმდენი პრობლემა, რამდენიც გერმანიაში. გერმანული საზოგადოება წესრიგის და მორალის დიდი დამცველია და კანონის დარღვევას არასოდეს არავის პატიობს, თვით ყველაზე ცნობილ ადამიანებსაც კი. სახელგანთქმულ პიროვნებებს ძალიან უჭირთ გერმანიაში ცხოვრება, მათ მიერ დაშვებული ყოველი უბრალო შეცდომაც კი უდიდესს რეზონანსს იწვევს. ვარსკვლავური ცოდვების შენდობა გერმანელებს არ ახასიათებთ. ამიტომ ეს შევიწროებული ვარსკვლავები გარბიან გერმანიიდან. შტეფი გრაფი, ბორის ბეკერი, იან ულრიხი, მიხაელ და რალფ შუმახერები - არც ერთს არა აქვს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი სამშობლოში. შტეფი გრაფი პირადმა ბედნიერებამ დაასახლა ლას ვეგასში, ბეკერი, ულრიხი და ძმები შუმახერები კი უზარმაზარ გადასახადებს გაექცნენ და შვეიცარიას შეაფარეს თავი. ამ მშვიდ ოაზისში ხომ მათ არავინ აიძულებს, სახელმწიფოს სასარგებლოდ შთამბეჭდავი თანხა გაიღონ. შვეიცარიელები სიხარულით იღებენ მდიდარ გერმანელებს და ცხოვრების შესანიშნავ პირობებს სთავაზობენ. შუმახერებს თუ ბეკერს აქ სრული გარანტია აქვთ იმისა, რომ მათ მილიონებს არაფერი დააკლდება. მეზობელი შვეიცარიელების საგადასახადო ლოიალობა გერმანელთა დიდ აღშფოთებას იწვევს. ჯერ ერთი, გერმანია ამით არაერთ მსხვილ გადამხდელს კარგავს, მეორე მიზეზი კი, უბრალოდ, ღირსების საკითხია. თუ არ უნდათ სამშობლოში ცხოვრება, მაშინ საერთოდ უარი თქვან გერმანიის მოქალაქეობაზეო, - მოითხოვენ უბრალო მოკვდავნი და, ალბათ, მართლებიც არიან. სულ მალე სამშობლოზე გამწყრალთა რიცხვს კიდევ ორი ცნობილი პიროვნება შეემატება - შტეფან ეფენბერგი ფლორიდაზე გადასახლებას აპირებს...


კლაუდია შტრუნცი და შტეფან ეფენბერგი მორიგ სკანდალში გაეხვნენ

### "საღამო მშვიდობისა" თუ შეურაცხყოფა?

2003 წლის 25 ნოემბერს გერმანული ფეხბურთის ყველაზე სკანდალური ვასრკვლავი შტეფან ეფენბერგი კიდევ ერთხელ წარდგა სასამართლოს წინაშე და მორიგი ჯარიმის გადახდა მოუხდა - 100 000 ევრო პოლიციელის შეურაცხყოფისთვის. აი, ასე ძვირი ჯდება გერმანიაში კანონის დამცველთა იგნორირება.

მაინც რაში იყო საქმე? ამა წლის 20 თებერვალს "ეფე" დასაშვებზე მეტი სიჩქარით მიაქროლებდა თავის მანქანას, რის გამოც საჭე ველარ დაიმორჩილა და სამშენებლო მოედანს შეასკდა. ეფენბერგისთვის სამწუხაროდ, იქვე აღმოჩნდა ბრაუნშვაიგის პოლიციის ორი თანამშრომელი, რომელთაც, რა თქმა უნდა, უყურადღებოდ არ დაუტოვებიათ "ყატარელი შეიხის" მიერ წესრიგის დარღვევა. უსიამოვნებაც აქედან დაიწყო. ორივე პოლიციელი ამტკიცებს, "ეფემ" შეურაცხყოფა მოგვაყენაო. ეფენბერგი და მისი მეგობარი კლაუდია შტრუნცი კი ირწმუნებიან, პოლიციელებს მხოლოდ საღამო მშვიდობისა ვუსურვეთო. საბოლოო სიტყვა სასამართლოს უნდა ეთქვა და თქვა კიდეც. მოსამართლე ქალბატონმა, დოქტორმა მატუსეკმა "ეფეს" და კლაუდიას არ დაუჯერა და დაზარალებულ პოლიციელს დაუჭირა მხარი. ჯარიმა 100 000 ევრო! ეფენბერგი ასეთმა განაჩენმა სასტიკად გააღიზიანა და დაიფიცა, ამ საქმეს ასე არ დავტოვებ, ჩემს სიმართლეს აუცილებლად დავამტკიცებო. ფეხბურთელის ადვოკატმა ჰანს მარტინ პრიოსლმა უკვე გაასაჩივრა სასამართლოს გადაწყვეტილება და იმედოვნებს, რომ მისი კლიენტი ამჯერად მაინც მოიგებს საქმეს.

### "შორს, ფლორიდაზე!"

ამდენმა სკნდალმა და ფულადმა ჯარიმებმა თვით ეფენბერგსაც კი მოაბეზრა თავი. "ეფე", რომელიც ადრე მთელ სამყაროს უპირისპირდებოდა, ისე დაიღალა, რომ ახალი ომის დაწყების თავი აღარა აქვს და ბრძოლის ნაცვლად გაქცევას არჩევს. ის და მისი მეგობარი კლაუდია, რომელიც ცოტა ხნის წინ ოფიციალურად გაშორდა თომას შტრუნცს და თავისი გვარი -კიოლერი დაიბრუნა, გერმანიიდან სამუდამოდ წასვლას აპირებენ. კლაუდია არ მალავს, რომ ველარ იტანს იმ საზოგადოებას, რომელიც მას და მის მეგობარს გამუდმებით აკრიტიკებს. თავის ექს-მეუღლესთან კლაუდიას აღარაფერი აკავშირებს, ბავშვებზე ის და ეფენბერგი ერთად ზრუნავენ. ფრაუ კიოლერი პირდაპირ აღმერთებს "ეფეს" და ხან ტელეეკრანიდან უხსნის სიყვარულს, ხანაც - ჟურნალ-გაზეთებიდან. "ვერ წარმომიდგენია, რას შეუძლია დაამსხვრიოს ჩვენი სიყვარული. შტეფანი არაჩვეულებრივია. ჩემთან ურთიერთობის შედეგად ის უფრო რბილი და მომთმენი გახდა", - ამბობს კლაუდია. "ეფე" კი ირწმუნება, კლაუდიას სიყვარულმა სულ სხვა ადამიანად მაქციაო. მოკლედ, მათ ძალიან უყვართ ერთმანეთი და აღარ უნდათ გერმანიაში ცხოვრება.

ახლახან კლაუდიამ ინტერვიუ მისცა გერმანულ "ბილდს". მან საჯაროდ განაცხადა, სამშობლოში იმდენი უსიამოვნება გადავიტანეთ, აქ დარჩენა საერთოდ აღარ გვინდაო. "ადრე ჰამბურგში გვინდოდა ბინის ყიდვა, რათა გერმანიაში მუდმივი საცხოვრებელი გვქონოდა, მაგრამ ახლა სხვა გადაწყვეტილება მივიღეთ. ყველა მაკლერი დავითხოვეთ. გერმანიაში აღარ ვიცხოვრებთ. აქ ყველა ძალიან ცუდად მოგვექცა. ჩვენ ამას არ ვიმსახურებდით.

**- საით აპირებთ წასვლას?**

- სასამართლო პროცესის შემდეგ ბევრი ვიმსჯელეთ ამ საკითხის ირგვლივ. შტეფანს სურს, რომ მე ბავშვებთან ერთად დოჰაში წავიდე მასთან. ჩემს ბინას ჰამბურგში 2004 წლის იანვრის ბოლოს დავცლი და თებერვალში ან მარტში დოჰაში წავალ.

**- მერე რა იქნება?**

- ზაფხულში ბავშვებთან ერთად ამერიკაში გადავსახლდები. როცა შტეფანი კარიერას დაასრულებს, ყველანი ერთად ვიცხოვრებთ ფლორიდაზე.

**- თქვენ რომ არა გაქვთ მწვანე ბარათი?**

- ეს პრობლემა არ არის. მე და შტეფანი მომავალ წელს დაქორწინებას ვაპირებთ. მწვანე ბარათი მას აქვს და ესეც საკმარისია.

**- როგორი იქნება ქორწილი?**

- ყოველთვის ძალიან გვინდოდა, პლაჟზე მოგვეწყო ქორწილი. ბოლოს და ბოლოს, მომავალ წელს ეს ოცნება რეალობად იქცევა.

**- შტეფანმა უკვე გთხოვათ ხელი?**

- ჯერ არა, მაგრამ მისმა მშობლებმა და მეგობრებმა უკვე იციან, რომ დაქორწინებას ვაპირებთ. ერთხელ მკითხა, რა ზომის ბეჭდებს ატარებო. ალბათ, უკვე იცის, როგორ საქორწინო ბეჭედს მიყიდის...

# O, tempora! O, mores!





ლია ბაგრატიონი

XIX საუკუნის საქართველო; ევროპული პოლიტიკის ემისრებმა ერი ორ ნაწილად გაყვეს. რუსულ მუნდირებში გამოწყობილი, ჩინ-მედლებით დახუნძლული ერთი ნაწილი ქართულად ლაპარაკსაც კი თაკილობდა. მეორე ნაწილი კი, ერეკლეს ნაბოლარა ვაჟის, ალექსანდრე ბატონიშვილის მეთაურობით, ეროვნული დროშის ქვეშ დარაზმულიყო.

"რუსეთუმე" ქართველებისგან განსხვავებით, ჭვრეტითი უნარით დაჯილდოებული ალექსანდრე გრძნობდა, თუ რა საშინელი საფრთხის წინაშე აღმოჩნდა მისი სამშობლო. სრულიად კავკასიის უგვირგვინო მეფე, მსოფლიოს იმპერიის რისხვა, მამისგან განსხვავებით, კარგად არჩევდა მტერსა და მოყვარეს.

1828 წელს, ახალციხის აღების შემდეგ პასკევიჩის მიერ მოტყუებულმა თავადაზნაურობამ, რომელიც მანამდე დასაჭერად დასდევდა ალექსანდრე ბატონიშვილსა და მისი დროშის ქვეშ გაერთიანებულ პატრიოტებს, 1832 წელს ჩრდილოელ ბატონს შეთქმულება მოუწყო. შეთქმულების თავკაცები ბაგრატიონთა ტახტის აღდგენას ცდილობდნენ, ინანიებდნენ წარსულ შეცდომებს და ქვეყნის საპატრონოდ ალექსანდრეს ეპატიჟებოდნენ. სიცოცხლეშივე ლეგენდადქცეული ალექსანდრე ბატონიშვილი შეთქმულებიდან 12 წლისთავზე უცხოეთში მიიცვალა.

"ჩვენი პირველი მამულიშვილი" – ილია ჭავჭავაძე – პოეტი, რომანისტი, პუბლიცისტი, ეკონომისტი, სოციოლოგი, საქართველოს გუშაგი მთელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში.

1907 წელი. წიწამურთან გაუგონარი ტრაგედია დატრიალდა... "აი, ამ ერმა თვით მოჰკლა თავის საკუთარი ძე და ყოვლად უგვანონი, უმსგავსონი და სულელნი დაიტოვა თავისი ცხოვრების წინამძღოლებადო, - აი, რას იტყვიან, - მართლაც, რას უნდა გამოელოდოს ადამიანი ამ ერისაგან, რომელსაც მონური სილაჩრე შეჰპარვია". – იტყვის მიხაკო წერეთელი ილია ჭავჭავაძის დასაფლავებაზე.

სწორედაც რომ, უგვანოთა, უმსგავსოთა და სულელთა წინამძღოლობით ჩვენი ქვეყანა აღმოჩნდა ჩარიცხული მოდერნიზებულ რუსულ საბჭოთა იმპერიაში.

რამდენჯერ მითქვამს: მადლობა ღმერთს, ჩემი გაჩენა დიადი საბჭოეთის დაბადებას რომ არ დაემთხვა, რომ არ მომიხდა იმ ავბედით დროში ცხოვრება, როცა დაბეზღება და ტყუილი ჯალათებმა თავის გადარჩენის ერთადერთ საშუალებად აქციეს. თუმცა, იყვნენ გმირებიც? – მათი სახელი ლეგიონი არ არის. ასე ავცდი განსაცდელს, რომელსაც 20-30-იანი წლების დამნაშავე ჰქვია.

დანაშაულის ჩადენა კი, ყოველ დროს არის შესაძლებელი. გამოგიტყდებით, უამრავი დამიშავებია (განსაკუთრებით მძიმე დანაშაულს არ ვგულისხმობ), ძირითადად, დაუსჯელი დავრჩენილვარ, სიტყვებით ისე გამიფორმებია, რომ დანაშაულს გარკვეული ხიბლიც შეუძენია. ხშირად ვიცოდი, რომ ვტყუოდი, უფრო ხშირად კი თავი მართალი მეგონა.

ამბობენ, რომ მტყუან-მართლის გარჩევა იოლიაო, ოღონდ მართლის გარჩევა და სიმართლით სიარული ძნელდებაო. ამიტომ, ადამიანი ამოცანას იადვილებს ხოლმე და სიმართლეს ტყუილს ამჯობინებსო.

სხვისი არ ვიცი, და მე კი, მტყუან–მართლის გარჩევა იოლი არა მგონია. საბედნიეროდ, ეს მაძლევს საშუალებას არ მქონდეს მენტორის ტონი და დაუსრულებლად ჭკუა არ ვასწავლო ყველას, ყოველთვის და ყველგან. საქართველოში მენტორები ყველგან არიან. მათი სიმრავლის მიზეზი უცნობია.

1897 წელი. საფრანგეთი. ჟურნალისტმა ბერნარ ლაზარმა ემირ ზოლას წარუდგინა დოკუმენტები კაპიტან დრეიფუსის საქმის შესახებ, რომელიც სამხედრო ტრიბუნალმა უსამართლოდ დაადანაშაულა სახელმწიფო ღალატში. "რუგონ-მაკარების" ავტორის სახელი ვაჟკაცობის, პატიოსნების და მოუსყიდლობის სიმბოლოდ იყო უკვე ქცეული. მწერალი დაინტერესდა კაპიტნის საქმით და დოკუმენტების შედეგად დაასკვნა, რომ დრეიფუსი უდანაშაულო იყო. ამის შემდეგ გაზეთში დაიბეჭდა ზოლას წერილი რესპუბლიკის პრეზიდენტის მიმართ ცნობილი სახელწოდებით "მე ვადანაშაულებ". იგი ბრალს სდებდა საფრანგეთის არმიის მესვეურთ და ფრანგულ სასამართლოს მძიმე დანაშაულებში, ასევე ამხილა ხელისუფალნი. "მე ჩავდივარ რევოლუციურ აქტს, რათა მივუახლოვდეთ სიმართლისა და სამართლიანობის ზეიმს," – განაცხადა მწერალმა.

მისი საგაზეთო პუბლიკაციისათვის ზოლას მიუსაჯეს ერთი წელაწადი ციხე და ფულადი ჯარიმა. მწერალი განაჩენის სისრულეში მოყვანას არ დაელოდა, დატოვა საფრანგეთი და ლონდონში დასახლდა.

საბედნიეროდ, მსოფლიოს მრავლად ჰყავს ჭეშმარიტი მოქალაქეები.

ჩვენი უახლესი ისტორია. 1990 წელი. ხმათა უმრავლესობით ავირჩიეთ ეროვნული ხელისუფლება. ხელისუფლება, რომელსაც ასე ნატრობდა ქართველი ერი. ორასი წლის მონობის შემდეგ, ყოველგვარი გაყალბების გარეშე, პირველად მრავალპარტიული არჩევნების შედეგად ხმა მივეცით და ავირჩიეთ დამოუკიდებლობა. დამოუკიდებლობა, თავისუფლება – ასე სათაყვანებელი, მაგრამ ჩვენთვის შეუცნობი სიტყვები. ადამიანს თუ ჭეშმარიტად აქვს შეგნებული ამ სიტყვის მნიშვნელობა, არ შეიძლება კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს მისი პირველობა. ძნელი წარმოსადგენია, დემოკრატიის დაბადება არათავისუფალ ხალხში მოხდეს. ვფიქრობ, პრობლემა ისაა, რომ ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი ორასწლიანი მონობის შედეგად ჩამოყალიბებული ჩვენივე აზროვნებისათვის უცხო ბატონი არ არის. არ ვიცი, ეს მხოლოდ აზროვნების ბრალია, თუ კონფორმიზმის ბაცილაც შეჰპარვია? ყოველ შემთხვევაში ამას კონფორმისტები ასე აგიხსნიან, ისეთი სიტყვებით გაგიფორმებენ, ისეთ ხიბლს შესძენენ, რომ თუ მტყუან-მართლის გარჩევის დიდოსტატი არა ხარ, იმ წამს ყველაფერი ერთმანეთში აგერევა და იფიქრებ: ჯერ დემოკრატიაა და მერე თავისუფლებაო.

1991 წელი. ეროვნულმა ხელისუფლებამ გამოაცხადა დამოუკიდებლობა. საწყალი საქართველო – მას "დემოკრატიისათვის არ მიუღწევია და რა დროს თავისუფლებაა". "ჯერ დემოკრატია" – ასე გაიძახოდა საზოგადოების ერთი ნაწილი.

"იქნებ, აკვანში ის ყრმა წევს
ვისიც არ ითქმის სახელი,
ვისაც დღედაღამ ჰნატრულობს
ჩუმის ნატვრითა ქართველი?"

ბევრი რამ ამრევია, მაგრამ ქართველის ნატვრის ობიექტი ზემოთ მოყვანილი ლექსის მიხედვით, რომ დემოკრატია არ არის, ყოველთვის ზუსტად ვიცოდი. ეს დედამ უფრო ადრე მითხრა, ვიდრე პატივცემული საზოგადოება დამმოძღვრავდა.

ჯერ არ მიგვეღწია დემოკრატიისათვის, როცა ეროვნულმა ხელისუფლებამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ჰოდა, ავიღეთ და დავამხეთ ეს ჩვენი ეროვნული ხელისუფლება! ვუწოდეთ მას მხდალი, უპატიოსნო და გაყიდული. "ვაჟკაცმა", "პატიოსანმა" და "მოუსყიდველმა" სამხედრო ტრიბუნალმა იგი სახელმწიფო ღალატში დაადანაშაულა და მიუსაჯა სიკვდილი. "მხდალი", "უპატიოსნო" და "გაყიდული" ხელისუფლება არ დაელოდა განაჩენის გამოტანას და დატოვა საქართველო. სამხედრო ტრიბუნალმა გაქცეულ ხელისუფლებას დაადევნა ასეთივე ვაჟკაცი, პატიოსანი და მოუსყიდავი არბიტრები.

საკვირველი არ არის ვაჟკაცობის, პატიოსნების და მოუსყიდველობის სიმბოლოს – მწერალ ემილ ზოლას საფრანგეთში და მხდალ, უპატიოსნო და გაყიდულ ხელისუფლებას საქართველოში ერთნაირი განაჩენი ერგოთ.

ამას ნუ ვაქცევთ მსჯელობის საგნად, რადგანაც ბევრი რამ ერთმანეთში მერევა-მეთქი. ერთი კია, გუმანით ვგრძნობ, რაღაც საერთო მათ შორის უნდა ყოფილიყო. კარგია, ასეთ რთულ საკითხებზე პასუხი მე რომ არ მომეთხოვება. თუ შემეშალა რამე, ჩემს მეტი არავინ დაშავდება.

მენტორებს ეშინოდეთ შეცდომებისა, მენტორებს! ამასობაში, ჟამთა სვლამ ჭეშმარიტებას წარუდგინა "დოკუმენტები" დამხობილი ეროვნული ხელისუფლების საქმის შესახებ, რომელიც სამხედრო ტრიბუნალმა სახელმწიფო ღალატში დაადანაშაულა. ჭეშმარიტება "რუგონ-მაკარების" ავტორისა არ იყოს, ყურადღებით შეისწავლა ეროვნული ხელისუფლების საქმის შესახებ "დოკუმენტები" და დაასკვნა: ეროვნული ხელისუფლება უდანაშაულოა, დამნაშავენი კი, დღევანდელი ხელისუფლების მესვეურნი არიან!

მარსელ პრუსტის რომანში "დაკარგული დროის ძიებაში" ერთ-ერთი ხაზია კაპიტან დრეიფუსის საქმე. მწერალი აღწერს დრეიფუსისდროინდელ საფრანგეთის საზოგადოებას, რომელიც ამ საქმის ირგვლივ გაიყო ორ ნაწილად; დრეიფუსელებად და ანტიდრეიფუსელებად. საინტერესოა, რომ ამბის თხრობის ბოლოს ყველა დრეიფუსელი ხდება ანტიდრეიფუსელი და პირიქით. ჩვენშიაც ასე მოხდა, ოღონდ მცირე განსხვავებით. ცხადია, რეალური ცხოვრება ვერასოდეს სრულად ვერ გაიზიარებს ლიტერატურულ მაგალითებს.

ტყუილ-მართლის გარჩევა, ჩემი არ იყოს, ბევრს გასჭირვება. მადლობა ღმერთს, ჭეშმარიტების მეშვეობით ბევრს ტყუილისთვის ტყუილი დაურქმევია, მართლისათვის კი მართალი. "ამოვისუნთქეთო, ასე არ გვეგონაო, ჩვენ ტყუილ-მართალი აგვრევიაო"... აკი გითხარით, ჩვენშიაც ასე მოხდა. ანტრიდრეიფუსელი ხდება დრეიფუსელი და პირიქით. მაგრამ, დარჩა საზოგადოების ნაწილი, რომელიც კვლავაც მოითხოვს დრეიფუსის გასამართლებას. ალბათ, ადვილი მისახვედრია, რომ ვამბობ დრეიფუსს და ვგულისხმობ ეროვნულ ხელისუფლებას, რომელმაც დროს გაუძლო და ჭეშმარიტება მოითხოვს, ვუწოდოთ მას უდანაშაულო. მაშ ვინღა არის ის ნაწილი, რომელიც კვლავაც მოითხოვს ეროვნული ხელისუფლების გასამართლებას? რაც დრო გადის, მით უფრო ხმამაღლა ისმის ამ შეკითხვაზე პასუხი, რომ ეს ნაწილი "საკუთარი უმეცრებით განაწყენებული"... "კონფორმიზმის სიმსივნით დაავადებულნი... ამ სიბინძურეს მხოლოდ გამორჩენისათვის არ აკეთებს. მათ უმეტესობას გულითა და გონებით სჯერა საკუთარი "ჭეშმარიტებისა", რასაც თან ერთვის მონური ძრწოლა".

2003 წელი. საქართველო. ისევ არჩევნები, ოღონდ გაყალბებული. სახალხო მღელვარება, განახლების მოლოდინი. იმედი მაქვს, ეს მოვლენები უახლოვდება იმ კონდიციას, როდესაც შესაძლებელი ხდება, ითქვას: "დაკარგულია ყველაფერი ღირსების გარდა". თუმცა, ხელისუფლება და ღირსება ერთმანეთთან მწყრალად არიან. ულირს ხელისუფლებაზე უარესი კი მხოლოდ უღირსი ხელისუფლებაა.

**P.S.** ყოველთვის მეგონა, რომ მოხუცებულობისას მაინც, ადამიანს უდგება ჟამი, როცა სამშობლო განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. ეს, ალბათ, არ ვრცელდება ხანდაზმულ მუშაკზე, რომელსაც სამშობლო საბჭოეთისდროინდელი სამსახური ჰგონია.

# წინ წყარო ჩამოდიოდა...

## ანუ რატომ ეძახდა ძველი ხელისუფლება მიხეილ სააკაშვილს გიჟს!

### დეპეშის სტილში გამოთქმული აზრი





ხელჩაქნეული

საქართველოში საყოველთაო წახდენით და წაყრუებით ხელისუფლებამ მკვიდრად ააშენა კლეპტოკრატიული, ანუ ქურდული რესპუბლიკა. ბუნებრივია, რომ ამ ქურდული რესპუბლიკის მშენებლები და მათი ("კარმუშკასთან" მიმჯდარი) ახლობლები კბილებით იცავენ საქურდალ ტერიტორიას.

და, როცა გვეგონა, რომ ამ წახდენას საზღვარი აღარ ჰქონდა, როცა გვეგონა, რომ ქართველ კაცს გენებში ჰქონდა გამჯდარი სიგლახე, სრულიად მოულოდნელად ქვეყანაში გამოჩნდა კაცი, რომელმაც გადაულახავი ზღვარი გაავლო თითოეული ჩვენთაგანის აზროვნებაში. ზღვარს იქით დარჩნენ ქურდული რესპუბლიკის შემოქმედნი. ზღვარს აქეთ დარჩა მიხეილ სააკაშვილი, რომელმაც გადაწყვიტა, ქართული ქურდული რესპუბლიკა გადმოაკეთოს პატიოსან ქართველთა რესპუბლიკად. ამის საპასუხოდ კი მიიღო გესლიანი შეძახილები – გიჟია ეგ, გიჟია!

ქურდულ რესპუბლიკას ბუნებრივად ახლავს თან ქურდული ცხოვრების წესი და ქურდული ზნეობის ნორმები. ამ ნორმების მიხედვით კაცს, რომელსაც თანამდებობა უჭირავს, შეუძლია ფულის უწესოდ კეთება და არ აკეთებს, (თან სხვასაც არ ანებებს ამის ქმნას), ნამდვილად გიჟია. ამიტომ, როდესაც მავანი გაჰკივის, რომ მიხეილ სააკაშვილი გიჟიაო, ამით იგი შეუფარავად და ყოველგვარი ქარაგმების გარეშე აცხადებს – მე ქურდი ვარ და ვიცავ ქურდული ცხოვრების წესს! ეს ისე ცხადია, რომ უკვე ღიმილის მომგვრელი გახდა.

მიხეილ სააკაშვილმა დაამხო ძველი, ქურდული ხელისუფლება. ეს უდავოდ გმირული საქციელია. თუმცა, პირადად ვფიქრობ, რომ არაჩვეულებრივი და არგაგონილი არაფერი მომხდარა. დასამხობი დაემხო. ამის გამო მიხეილ სააკაშვილს ძეგლს არავინ დაუდგამს.

მიხეილ სააკაშვილმა მოაწყო ცეცხლოვანი დრაკონის საოცარი მარში. ასეთი რამის გადაღება ჰოლივუდშიც სცადეს, მაგრამ ჩვენებური ცეცხლის ნიაღვართან მათი ნახელავი ახლოსაც ვერ მოვა. ამბობენ, თანამგზავრიდანაც ჩანდაო თბილისისკენ მომდინარე გავარვარებული ლავის ნაკადიო. თუმცა, არც ამისთვის დაუდგამენ ძეგლს მიხეილ სააკაშვილს.

მაგრამ, დარწმუნებული ვარ, რომ მიხეილ სააკაშვილს მაინც დაუდგამენ ძეგლს. ძელგს დაუდგამენ ბევრად უფრო მნიშვნელოვანი რამის გამო, ვიდრე ქურდული ხელისუფლების დამხობაა. მან ქართველ კაცში ღირსების ის ისტორიული მუხტი გააღვიძა, რომელიც, ღმერთო შეგცოდე და, კიდევ თუ იყო შემორჩენილი ქართველ კაცში, აღარც კი მეგონა.

მიხეილ სააკაშვილს სასწაულებრივი მისია დააკისრა განგებამ.

მან ქართველი კაცი მისაბაძი გახადა მთელი მსოფლიოსთვის. ქცევის საერთაშორისო ნორმებში გაჩნდა ღირსების ქართული ფენომენი.

არადა, სულ ახლახან უცხოეთში ქართველი და ქურდი სინონიმებად იყო ქცეული.

დღეს უკვე ქართველ კაცს შეუძლია, იამაყოს თავისი წარმომავლობით და ხმამაღლა განაცხადოს: მე ქართველი ვარ!

ჩვენს საქციელს გაოცებული და აღტაცებული შეჰყურებს მთელი მსოფლიო.

აი, სწორედ ამისთვის დაუდგამენ ძეგლს მიხეილ სააკაშვილს.

იმ დიდებულ საღამოს სახლში მობრუნებულს ხალხური სიმღერის მოსმენა მომინდა.

წინ წყარო ჩამოდიოდა...

# საბრალო ოზი



ოზი ოსბორნი

ოსბორნების ოჯახის ბიოგრაფიაში "ჩვეულებრივი ხალხი", შარონ ოსბორნმა გაამხილა, რომ ერთხელ თავის ქმარს, ოზის უღალატა. 80-იანი წლების დასაწყისში ოსბორნებს ოჯახი კინაღამ დაენგრათ, რადგან შარონმა თავის მეუღლის გიტარისტთან, რენდი როუდსთან დაიჭირა საქმე.

51 წლის შარონის თქმით, ოზის ამ თემაზე საუბარი არ სურს – მეტისმეტად მტკივნეულად განიცდის. როუდსი კი, რომელთანაც ცოლ-ქმარი ძალიან მეგობრობდა, 1982 წელს ავიაკატასტროფაში დაიღუპა. "როცა ჩემი და ოზის სასიყვარულო ურთიერთობის დასაწყისის შესახებ ვყვები, უნდა ვაღიარო, რომ ჩვენ ორნი არ ვყოფილვართ. ამ ზღაპრის მნიშვნელოვანი ნაწილი რენდი იყო. როცა მე და ოზი ერთმანეთს არ ველაპარაკებოდით, რენდის მივმართავდით ხოლმე. როცა ვრიგდებოდით, ის კვლავ ჩვენთან ერთად იყო". ტურნეების დროს ისინი ხშირად ერთად იძინებდნენ ხოლმე ავტობუსში, მაგრამ არავის არაფერი არ მოსვლია აზრად. "ჩვენ სექსი არ გვქონია. მე და რენდი მხოლოდ ერთხელ ვიყავით ერთად. ოზიმ იცის, რომ ის "ერთხელ" სიყვარული იყო და არა ვნება. მას რენდი ისევე უყვარდა, როგორც მე. რენდის როცა ვიხსენებთ ხოლმე, ის ისევე ტირის, როგორც მე".

თავის მხრივ, ჟურნალ People-სთვის მიცემულ ინტერვიუში ოზი ოსბორნი თავის ცხოვრების ტრაგედიას ჰყვება: მას ორი ყმაწვილი ორი წლის განმავლობაში უმწარებდა სიცოცხლეს. ის თერთმეტი წლისა ყოფილა, როცა მწვალებლებმა სკოლაში პირველად მიაკითხეს. "არ გავუუპატიურებივარ, მაგრამ ათასგვარ საშინელებას მიკეთებდნენ: შარვალს მაწევინებდნენ და რა ვიცი... საშინელება იყო". ოზის თქმით, ბავშვობის განცდები ადამიანის მთელ ცხოვრებას გასდევს.

შეშინებულ ბიჭს მშობლებისთვის არაფერი უთქვამს. 50-იანი წლების ინგლისში ასეთ თემებზე საერთოდ არ ლაპარაკობდნენ და ოზიმ მხოლოდ მრავალი წლის შემდეგ შეძლო თერაპევტისთვის თავის საიდუმლოს განდობა. მაგრამ საბოოლოდ ამ ტვირთისგან ოზი მისმა მეუღლემ, შარონმა გაათავისუფლა.

უნდა აღინიშნოს, რომ მომღერლის ცხოვრების ეს ეპიზოდი "ჩვეულებრივ ადამიანებში" მოთხრობილი არაა - როგორც ჩანს, უფრო მტკივნეულია, ვიდრე ცოლის ერთჯერადი ღალატის ამბავი.

# ჯარიმა



მერლინ მენსონი

შვეიცარიაში გამართული კონცერტის შემდეგ მუსიკოსი მერლინ მენსონი დააჯარიმეს, რადგან მან აღსარების თავისუფლება შელახა. ყოველ შემთხვევაში, ასე ჩათვალა ერთმა რელიგიურმა ჯგუფმა იმის შემდეგ, რაც მენსონმა მაყურებელს დაუფარავი ძალადობისკენ მოუწოდა.

"ანტიქრისტე სუპერვარსკვლავად" მონათლული მენსონი თვლის, რომ სატანისტია. ამის დასამტკიცებლად მან 2001 წლის თებერვალში გამართული შოუს დროს სცენაზე ბიბლია დახია. გაერთიანებამ "ქრისტიანები ჭეშმარიტებისთვის" მას ეს ამბავიც გაახსენა.

უნდა ითქვას, რომ 1 დეკემბერს, ციურიხში, მერლინ მენსონის გამოსვლას მრავალი რელიგიური დაჯგუფება და ადვოკატი ეწინააღმდეგებოდა, იმ მიზეზით, რომ თავის ექსცენტრული შოუს დროს ის ძალადობისკენ მოუწოდებს ხოლმე. მიუხედავად ამისა, კონცერტი გაიმართა და ახლა ისეთი პირი უჩანს, რომ მენსონს არცთუ სახუმარო ჯარიმის გადახდაც მოუწევს.

ცხადია, მენსონი ძალიან უკმაყოფილოა და თავს იმით იმართლებს, რომ ხელოვანი თავისუფალია, და რომ ამ აქციით მას მხოლოდ დებატების გამოწვევა უნდოდა, თემაზე "რელიგია და ძალადობა".

# უკვდავყოფა

შეერთებულ შტატებში ამერიკული პანკ-როკის პიონერის ჯოი რამონის სახელი უკვდავყვეს. სწორედ მისი, სკანდალური ჯგუფის The Ramones-ის დამაარსებლის სახელი დაარქვეს ისტ-ვილიჯში ორი ცენტრალური ქუჩის კუთხეში მდებარე სკვერს. იქვე ახლოს კი მდებარეობს კლუბი CBGB, სადაც The Ramones-ის წევრები კარიერის დასაწყისში გამოდიოდნენ.

ჯგუფი 1976 წელს ქუინსში ჩამოყალიბდა და პანკ-როკის ისტორიაში იშვიათ წარმატებებს მიაღწია. მისი ლიდერი, წარმოშობით ებრაელი ამერიკელი ჯოი რამონი (რომლის ნამდვილი სახელი და გვარია ჯეფრი ჰიმანი) შარშანწინ 49 წლის ასაკში კიბოსგან გარდაიცვალა.

## სკანვორდი



№313-ში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხი: [illegible]

## TV პროგრამა

4 დეკემბერი

### რუსთავი - 2

**07.00** დილა მშვიდობისა **07.10** სერიალი "ჯადოქარი" **09.40** სერიალი "ასულ ტეკილა" **10.20** დოკ. ფილმი "გურმანთა მეგზური" **11.00** სერიალი "სოპრანოს კლანი" **12.00, 15.00** კურიერი **12.15** სერიალი "სასტიკი ანგელოზი" **13.30** მხ. ფილმი **15.20** მხ. ფილმი **17.30** სერიალი "ასულ ტეკილა" **18.00, 21.00, 02.00** კურიერი **18.25** სერიალი "ჯადოქარი" **19.00** სერიალი "მაშველები" **19.45** სერიალი "სასტიკი ანგელოზი" **22.00** სერიალი "შავი ზეცა" **22.50** ღამის კურიერი **00.30** სერიალი "სექსი დიდ ქალაქში" **01.00** მხ.ფილმი "ჩვეულებრივი ეჭვიმტანილები". მთ. რ-ში: სტივენ ბოლდუინი, გებრიელ ბირნი.

### პირველი არხი

**07.30** ალიონი **09.45** დოკ. სერიალი "ბუნების სამყაროში" **09.55** მხ. ფილმი "ერთი ეპიზოდი პოლიციელის ცხოვრებიდან" **11.45, 23.25** კრიმინალური ქრონიკა **12.00, 15.00, 20.00, 23.00** მოამბე **12.15** ტელესერიალი "სოლედადი" **13.00** ნაშუადღევს **14.00** მოამბე ინგლ. ენაზე **14.05** ინგლისური ენის გაკვეთილი **14.30** დოკ. სერიალი "მაიმუნის ნიშნით" **15.15** მხ. ფილმი "ლიფტიდან ხელმარცხნივ" **16.35** დოკ. ფილმი "პოპარტი და კომპანია" **17.40** რამპა **17.45** ერთი თეთრიც ფულია **18.00** ვესტნიკი **18.20** ტელესერიალი "სოლედადი" **19.15** ჯანმრთელობა **19.40** ბასტი-ბუბუ **21.00** ტელეთამაში "იმღერე რამე" **21.35** ეკონომიქსი **22.20** სერიალი "ფორსაიტების საგა" მე-11ს. **23.35** მხ. ფილმი "ჯეინ ეარი"

### პირველი სტერეო

**08.00** მუსიკა **09.00** ტოროლა **12.00** ფილმი **14.00** მუსიკა **16.00** ფილმი "რა სურთ ქალებს". მთ. რ-ში მელ გიბსონი, ჰელენ ჰანტი. **18.00, 19.15** ქართული მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **20.50** ათი ლექსი **21.15** უცხ. მუსათეული **22.35** მუსიკა **23.00** აბა გამოიცანი მელოდია **00.00** "ბრავო" "ერთადერთი ქვეყანაზე". მთ. რ-ში პეტსი კენსიტი, ჯასტინ უოდელი. **01.50** "ღამურა" მხ. ფილმი. **03.00** პაუზის გარეშე

### მზე

**09.00** "ღამის მზერა" (გან) **10.00** სერიალი "მარია ემილია" **11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** მხ. ფილმი "ოსკარი" **14.10** მხ. ფილმი "შოუ იწყება" **16.10** მხ. ფილმი "დროის მანქანა" **18.30** მულტსერიალი "ჯადოსნური ტყე" **19.00** სერიალი "მარია ემილია" **20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **20.45** მხ. ფილმი "პიკის საათი" **22.45** საინფ. გამოშვება "ღამის მზერა" **23.45** მხ. ფილმი "ყბები"

### მეორე არხი

**19.00, 22.00** "მოამბე" მეორე არხზე **19.10** მულტფილმი **19.30** მხ. ფილმი "ფულის მეფენი" **21.00** დოკ. ფილმი "იზაბელ იუპორი" **22.10** მხ. ფილმი "თეთრი დედოფალი"

### კავკასია

**12.00** მხ. ფილმი "მართალი ტყუილი" **15.00** მხ. ფილმი "მის კონგენიალობა" **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.15** მხ. ფილმი "ტაქსი 2" **19.20** სპექტრი **21.00** მხ. ფილმი "ფორესტ გამპი"

### იბერია

**08.00** ანონსი **08.05** დიალოგი **11.00** სერიალი "ზაგა-ზაღი" **12.30** დოკ. ფილმი **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 22.45** ახალი ამბები **13.10, 17.30** მულტსერიალი "კაპიტანი სიმიანი და კოსმიური მაიმუნები" **13.30, 18.00** დოკ. ფილმი **14.50, 17.20, 17.50, 21.55** მუსიკა **15.15** მხ. ფილმი "ჩემი ბრალი არ არის" **18.45** ბუნების ფერები **20.00** ტელე-სინე-ვიდეო (განმ.) **21.00** სერიალი "ზაგა-ზაღი" **22.15, 23.00** დიალოგი **23.45** მხ. ფილმი "ლიფტი ეშაფოტზე"

### მეცხრე არხი

**08.00** პროგრამა "დილა" **10.00, 14.30, 17.30, 20.30, 00.00** დღის ამბები **10.15, 16.20, 17.50, 22.10** მუსიკა **10.30** სერიალი "მოჯადოება" **11.30** მხ. ფილმი "1914 წლის მშვენიერი ზაფხული" **13.30** მოკლ. მხ. ფილმი **14.00** მულტსერიალი "სიმბა მეფე ლომი" **14.50** "ევროპის სტადიონებზე" **15.10** სერიალი "პატარა აინშტაინები" **15.35** სერიალი "ქალთა სავანე" **16.35** დოკ. სერიალი "ამოუცნობი ცოცხალი ორგანიზმები" **17.00** მხ. სერიალი "სამოდელო სკოლა" **18.00** მულტსერიალი "სიმბა მეფე ლომი" **18.30** სერიალი "პატარა აინშტაინები" **19.00** სერიალი "ქალთა სავანე" **20.00** "ქართული ფეხბურთი" **21.15** სერიალი "მოჯადოება" **22.20** "ტელემეტრი" **22.30** "ყვითელი კვადრატი" **23.00** მოკლ. მხ. ფილმი **23.20** "ცხელი ცხრიანი" **00.30** რუს. მხ. ფილმი "იდიოტების ოცნებები"

### იმედი

**07.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00** ქრონიკა **07.15, 09.10, 13.15, 14.40, 17.20, 00.40** იმედის მელოდიები **07.45** "იმედის" დილა **09.30** სერიალი "სიყვარული უდაბნოში" **10.30** ერთხელ ჰოლივუდში **11.05** დოკ. სერიალი "ბრძოლა გადარჩენისათვის" **12.10** სერიალი "კლონი" **13.30** სერიალი "უკიდურესი ზღვარი" **14.05** სერიალი "ნეშ ბრიჯისი" **15.15** მხ. ფილმი "სარას განქორწინება" **17.00, 18.00, 19.00, 21.00, 22.00, 00.25** ქრონიკა **17.30** დოკ. სერიალი "ისტორიის ერთი კვირა" **18.05** სერიალი "სიყვარული უდაბნოში" **19.30** სერიალი "კლონი" **20.30** სერიალი "ნეშ ბრიჯისი" **21.30** სპ. პროგრამა "ესტაფეტა" **22.50** მხ. ფილმი "გოგონა ხიდზე"

### არხი

**08.00, 03.00** საინფორმაციო დაიჯესტი **08.40** მუსიკა **09.00, 12.00, 16.00** საინფ. გამოშვება "დღეს" **09.20, 12.10, 16.10** საინფ. გამოშვება "ნოვოსტი" **09.30** სათავგადავსალო ფილმი "ჰაერის-მეფე" **11.00** მუსიკა **11.10** დოკუმენტური ფილმი **12.20** კომედია "სახლი თავდაყირად" **14.00, 18.00** საინფორმაციო დაიჯესტი **14.05** კომედია "სახლი თავდაყირად" (გაგრძ.) **14.15** მხატვრული ფილმი "ოკეანის ფსკერზე" **16.20** მულტფილმი "მდიდარი ძაღლები" **17.40, 21.40** მუსიკა **17.45** სათავგადასავლო ფილმი "უკანასკნელი რაინდი" 1 ს. **19.00, 22.00, 00.00** საინფორმაციო გამოშვება "დღეს" **19.15, 22.30, 00.20** საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" **19.30** "დღეს მსოფლიოში" **20.00** კომედია "როგორც მაიკი" **23.00** საინფ. გამოშვება აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე **23.20** "ექსკლუზივი" **00.40** საინფ. გამოშვება ინგლისურ და ფრანგულ ენებზე **01.00** ისტორიული ფილმი "მეფური წყალობა" **03.40** მელოდრამა "ჰავანა"

### VII არხი

**09.10** მელოდია **09.15** "აჩიკუდა" **09.35** მობილურები **10.00** სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი" - ესპანეთის ჩემპიონატის მიმოხილვა (განმეორებით) **10.30** საყოფაცხოვრებო ტექნიკა **10.50** მელოდია . **11.30** აუდიო-ვიდეო-ტელე **12.20** ტელესერიალი - "აღმოსავლეთ -დასავლეთი" **13.05** დისნეი და მისი მეგობრები **13.30** მელოდია **13.45** კომპიუტერული ტექნიკა **18.20** მობილურები **19.00** "აჩიკუდა" **19.30** მელოდია - მოკლე შეტყობინებები **20.25** კომპიუტერული ტექნიკა **21.00** "ღამის კაპრიზი" **21.50** აუდიო-ვიდეო-ტელე **22.30** "კინოკლუბი " - "ბარი "განრისხება". დრამა . რეჟ. რობერტ ალანი. როლებში: რობ ლოუ, ჯენიფერ გრეი . **00.00** მელოდია **00.20** ტელესერიალი - "აღმოსავლეთ - დასავლეთი" **01.00** საყოფაცხოვრებო ტექნიკა

### ОРТ

**07.00** "Доброе утро" **09.30** Выборы-2003 **10.00, 13.00, 16.00, 19.00** Новости **10.10 "Раскаленная суббота". 1-я с. 11.20, 20.00 Сериал "Земля любви, земля надежды" 12.20** "Ералаш" **12.40** Дисней-клуб: "Базз и его команда" **13.20** Город женщин **14.10 Мелодрама "Любовь по заказу" 16.20, 02.00** "Фабрика звезд-3" **16.30** "Угадай мелодию" **17.00 Сериал "Берег мечты" 18.00** "Большая стирка" **19.30** Выборы-2003 **21.00** "Чтобы помнили..." Памяти Леонида Филатова **22.00, 00.30** Время **22.30 Худ. фильм "Раскаленная суббота". 2 с. 23.40** "Человек и закон" **01.00** Новые чудеса света. "Биг Бен"**01.30** Теория невероятности. "Часы жизни" **02.20 Коломбо возвращается в детективе "Звено в преступлении" 03.40 Боевик "Тени воинов: Атака на гору смерти" 05.30 Сериал "Полтергейст-IV"** "Шутка за шуткой"

### РТР

**06.00** Доброе утро, Россия! **09.45 Сериал "ЛИНИИ СУДЬБЫ" 10.45** Комната смеха. **11.45, 14.50, 17.30, 01.25** Вести. Дежурная часть **12.00, 15.00, 18.00, 21.00** Вести **12.30, 15.10, 17.40, 21.30** Местное время. Вести-Москва **12.50** "Короткое замыкание" **13.50 Сериал "СПАСТИ И ВЫЖИТЬ" 15.30** "Что хочет женщина" **16.30 Сериал "ЛЕДИ МЭР" 18.10 Сериал "БАНДИТСКИЙ ПЕТЕРБУРГ"ПЕТЕРБУРГ" 19.10 Сериал "УНДИНА" 20.00** Выборы-2003. **21.50** Спокойной ночи, малыши! **21.55 Сериал "ЛИНИИ СУДЬБЫ" 23.00 Сериал "СПАСТИ И ВЫЖИТЬ" 00.00** Вести+ **00.20** "Исторические хроники" "1910. Лев Толстой" **01.15** Народный артист **01.40 Джим Керри в фильме "ЧЕЛОВЕК НА ЛУНЕ" 04.05** Дорожный патруль **04.20** Агентство одиноких сердец **04.45 Сериал "АНГЕЛЫ ЧАРЛИ"**

### НТВ

**07.00** Утро на НТВ **09.45 сериал "ЧЕРНЫЙ ВОРОН-2" 11.00** Сегодня утром. **11.25** Квартирный вопрос: внимание, экран! **12.15** Ток-шоу "Страна советов". **13.00, 16.00, 18.00, 20.00, 02.10** "Сегодня" **13.35** Памяти Леонида Филатова. **Криминальный фильм "ГРАЧИ" 15.30** По праву. **16.35** Ток-шоу "Принцип домино". **18.30 Сериал "ОНА НАПИСАЛА УБИЙСТВО" 19.35** "Возвращение самураев". "Профессия - репортер". **20.35 Сериал "АГЕНТСТВО "ЗОЛОТАЯ ПУЛЯ".** Закл. серия. **21.45 сериал "ЧЕРНЫЙ ВОРОН-2". 26 с. 23.00** "Страна и мир". **23.35** Красная стрела. **23.50** "К барьеру!" Ток-шоу **01.05 Сериал "АГЕНТСТВО "ЗОЛОТАЯ ПУЛЯ". 02.35** Гордон **03.20 Сериал "ЗА ГРАНЬЮ ВОЗМОЖНОГО"**

# დისნეის ბიძაშვილმა დატოვა კომპანია ვოლტ დისნეი


როი დისნეი და მაიკლ ეიზნერი

კვირას კომპანია Walt Disney Company-ის ვიცე-პრეზიდენტმა როი დისნეიმ დირექტორატის საბჭოს შემადგენლობიდან წასვლის შესახებ განაცხადა.

დისნეის ბიძაშვილმა თავისი გადაწყვეტილება საბჭოს ხელმძღვანელთან და გენერალურ დირექტორთან მაიკლ ეიზნერითან "კომპანიის მართვის მეთოდების სერიოზული უთანხმოებით" განმარტა. როი დისნეიმ ასევე სრულმეტრაჟიანი ანიმაციის განყოფილების უფროსის პოსტიც დატოვა.

ეიზნერისთვის მიმართულ წერილში როი დისნეი კომპანიის ხელმძღვანელს მისთვის "სამუშაო პირობების გაუსაძლის მდგომარეობის შექმნაში" ადანაშაულებს. "გაურკვეველი მიზეზების გამო, თქვენ ჩემ წინააღმდეგ ჩემივე თანამშრომლები მომართეთ, თქვენ რამოდენიმე მათგანს აიძულებდით, რომ ყოველი ჩემი მოქმედება და მოლაპარაკება თქვენთვის ემცნოთ", - წერია დისნეის მიერ მაიკლ ეიზნერთან მიმართულ წერილში.

ყოფილმა ვიცე-პრეზიდენტმა მოუწოდა მისთვის მიებაძა კომპანიის ხელმძღვანელს: "მე აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ არა მე, არამედ თქვენ უნდა დაგეტოვებინათ კომპანია და სწორედ ამიტომ კვლავ მოგიწოდებთ ამის გაკეთებას".

დისნეიმ ასევე აღნიშნა, რომ სანომინაციო კომისიამ ის შემდეგი წლის დირექტორატის საბჭოს საწევროს კანდიდატთა სიიდან გამორიცხა.

როი დისნეი ადრეც არაერთხელ გამოსულა კომპანიის ხელმძღვანელის მიმართ მძაფრი კრიტიკით, იმის მტკიცებით, რომ ბოლო 10 წლის განმავლობაში დაშვებულმა შეცდომებმა Walt Disney Company იქამდე მიიყვანა, რომ "მან მთელი შემოქმედებითი ენერგია დახარჯა და დაკარგა კავშირი წყაროებთან".

# გვინეტმა მადონა გაანაწყენა


მადონას სტილში გადაწყვეტილი გვინეტ პელტროუ

მადონა და გვინეტ პელტროუ კარგი მეგობრები იყვნენ. მოდების ჩვენებაზე ერთად დადიოდნენ, და მადონა იმხანად გვინეტის ახალი შეყვარებულის, მომღერალ კრის მარტინის დიდებას გალობდა. მაგრამ, როგორც ჩანს, მადონას ერთ დღეს ყელში ამოუვიდა მსახიობი ქალი, რომელიც მის ჩაცმის სტილს მეტისმეტად დაუფარავად ბაძავდა და გადაწყვიტა, რომ მასთან მეგობრობაც აღარ უნდა. დასკვნის სახით პელტროუმ მადონას კინოში როლიც წაართვა, რამაც მათი მეგობრობის გამყარებას არაფრით შეუწყო ხელი.

32 წლის მსახიობი სახელგანთქმული ბრიტანელი სამკაულების ქურდი ქალის, ჯოან ჰენინგტონის როლს თამაშობს. 80-იან წლებში "ნათლიდედამ" ერთი მილიონის ღირებულების სამკაული მოიპარა: თავს შეძლებულ მყიდველად ასაღებდა, და როცა იუველირები ზურგს წამით მაინც აქცევდნენ, სამკაულს ყალბით ცვლიდა. ჰენინგტონმა შემდეგ ავტობიოგრაფია დაწერა, "მე ვარ ის, რაც ვარ", რომლის მიხედვით გადასაღებ ფილმში მთავარი როლის შემსრულებლად ორი ქალი – მადონა და გვინეტ პელტროუ იყვნენ არჩეული.

დღეს თავად ჯოან ჰენინგტონი 46 წლისაა. მან კარგა ხანი ციხეში გაატარა და ამჟამად ანტიკვარიატით მოვაჭრე გახლავთ. ჟურნალ "ჰელოუსთვის" მიცემულ ინტერვიუში მან განაცხადა, რომ ძალიან კმაყოფილია, რომ მის როლს პელტროუ შეასრულებს, რადგან მადონას მსახიობურ მონაცემებში სულ არაა დარწმუნებული. "გვინეტი ყველაფერს შეძლებს. ის ისეთივეა, როგორიც მე ვარ. ვფიქრობ, შედეგით კმაყოფილი დავრჩები".




# ნამდვილი ჯემი ლი კერტისი



ამერიკელი მსახიობი, ჯემი ლი კერტისი, თავისი სამუშაო ადგილით სულ არაა აღტაცებული. მან ბრძანა, ჰოლივუდში ყველაფერი ტყუილზეა აგებულიო.

ამასთან დაკავშირებით 45 წლის ჯემიმ ჟურნალ TV Movie-ს მისცა ინტერვიუ. "აი, ნახეთ," ამბობს ის, "ჰოლივუდი ქალების სურათს გვიხატავს, რომლებიც 40-იოდე წლისანი არიან, უნაკლო კანი და ზღაპრული მკერდი აქვთ. ეს სულ ტყუილია". ამიტომ, კერტისმა გასულ წელს შეერთებული შტატების ჟურნალებისთვის სურათები მაკიაჟის გარეშე გადაიღო და თავისი სხეულის კომპიუტერული კორექციაც აკრძალა. "რომ ადამიანებს ის დაენახათ, რაც ნაღდია".

ის თავის სიყმაწვილეს არ მისტირის: "მილიონ დოლარადაც აღარ ვარ იმაზე თანახმა, რომ თინეიჯერი ვიყო". მსახიობის თქმით, ეს მისი ცხოვრების "ველური ხანა" იყო: "ვსვამდი, ნარკოტიკებს ვიღებდი." ყველაფერი მისი ქალიშვილის, ენის დაბადებამ შეცვალა. ჯემი თვლის, რომ თავისი ქალიშვილისთვის ის სამაგალითო დედაა.
















## წამალი "სალხინო"
### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.